


LUDWIG WITTGENSTEIN
ლუდვიგ ვითგენშტაინი

TRACTATUS
LOGICO-PHILOSOPHICUS
ლოგიკურ-ფილოსოფიური
ტრაქტატი



LUDWIG WITTGENSTEIN

TRACTATUS
LOGICO-PHILOSOPHICUS

Translated and comments by Iva Mindadze

ILLUMINATI.GE



© 2004, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023, 2024, 2025

ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი

თარგმნა და კომენტარი დაურთო ივა მინლაძემ

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოსოფიის ფაკულტეტი
ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი
თარგმნა და კომენტარი დაურთო ივა მინლაძემ
თბილისი, 1981 წელი
1981 წელს გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფიის ფაკულტეტის მიერ. ტრაქტატი შედგება
დამატებითი კომენტარებისა და კომენტარებისგან.
ტრაქტატი შედგება შემდეგ ნაწილებისგან: I. ლოგიკის
ფილოსოფია; II. ფილოსოფიის ლოგიკა; III. ფილოსოფიის
ლოგიკის საკითხები; IV. ფილოსოფიის ლოგიკის
საკითხები; V. ფილოსოფიის ლოგიკის საკითხები.
ტრაქტატი შედგება შემდეგ ნაწილებისგან: I. ლოგიკის
ფილოსოფია; II. ფილოსოფიის ლოგიკა; III. ფილოსოფიის
ლოგიკის საკითხები; IV. ფილოსოფიის ლოგიკის
საკითხები; V. ფილოსოფიის ლოგიკის საკითხები.
ტრაქტატი შედგება შემდეგ ნაწილებისგან: I. ლოგიკის
ფილოსოფია; II. ფილოსოფიის ლოგიკა; III. ფილოსოფიის
ლოგიკის საკითხები; IV. ფილოსოფიის ლოგიკის
საკითხები; V. ფილოსოფიის ლოგიკის საკითხები.
ტრაქტატი შედგება შემდეგ ნაწილებისგან: I. ლოგიკის
ფილოსოფია; II. ფილოსოფიის ლოგიკა; III. ფილოსოფიის
ლოგიკის საკითხები; IV. ფილოსოფიის ლოგიკის
საკითხები; V. ფილოსოფიის ლოგიკის საკითხები.

შისავალი

ლუდვიგ ვითგენშტაინის *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი* ერთ-ერთი იმ წიგნთაგანია, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დაამჩნია XX საუკუნის ფილოსოფიური აზრის განვითარებას. უეჭველია ტრაქტატის გავლენა ენის ფილოსოფიის, ფორმალური ლოგიკის, ლინგვისტიკის გარკვეული დარგების განვითარებაზე. ტრაქტატი ითარგმნა და გამოიცა მრავალ ენასა და ქვეყანაში, დაიწერა უამრავი კომენტარი, მაგრამ ინტერესი ამ წიგნის მიმართ დღესაც არ ცხრება. ეს ყველაფერი მით უფრო გასაკვირია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ თავად ვითგენშტაინი მისი ცხოვრების უკანსკნელი ოცი წლის განმავლობაში ერთგვარად ცდილობდა უარეუო ტრაქტატში გამოთქმული იდეები.

ტრაქტატის კითხვა რთული საქმეა, ზოგიერთი დებულება რამდენიმე განსხვავებული ნაკითხვის საშუალებას იძლევა, შესაბამისად, ტრაქტატის თარგმნაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან მთარგმნელი ძალაუნებურად ტექსტის კომენტატორიც ხდება, როდესაც რამდენიმე ალტერნატივიდან ერთ-ერთს ირჩევს. ამრიგად, თარგმანიც ტექსტის გააზრების მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად იქცევა. ამიტომ წინამდებარე წიგნში მკითხველს ტრაქტატის ქართული თარგმანის გვერდით ვთავაზობ როგორც გერმანულ ორიგინალს, ასევე 1961 წელს პირსისა და მაკგინესის მიერ შესრულებულ და 1974 წელს შესწორებულ ინგლისურ თარგმანს (Ludwig Wittgenstein, *Tractatus Logico-Philosophicus*; Translated by D. F. Pears and B.F McGuinness, 1974), რითაც გვინდა შედარების შესაძლებლობა მიცვეთ მათ, ვინც იცის გერმანული ან ინგლისური ენა. გარდა ამისა, შენიშვნების სახით, ზოგიერთი დებულების გასწვრივ, მოცემულია ამონარიდები ვითგენშტაინის 1914-1916 წლების დღიურებიდან, რაც, იმედია, გარკვეული პასაჟების უკეთ გააზრებას შეუნწყობს ხელს.

ტრაქტატის ტექსტს წინ ერთვის ბერტრან რასელის წინასიტყვაობა, რომელიც მან ტრაქტატის გერმანულ-ინგლისური 1922 წლის გამოცემისათვის დაიწერა და რომელიც თავისთავად ფილოსოფიური აზროვნების საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს.

ასევე საჭიროდ მივიჩნეე რამდენიმე სიტყვა მეტეკვა თავად ავტორზე, რადგან ტექსტის უკეთ გააზრებისათვის, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს თუ როდის, რა პირობებში და ვის მიერ დაინერა ტრაქტატი. ამდენად, წინამდებარე წიგნს თან ერთვის მოკლე ცნობები ლუდვიგ ვითგენშტაინის ცხოვრების შესახებ.

როგორც უკვე ითქვა, ტრაქტატის თარგმნა იმავდროულად მის კომენტირებას გულისხმობს და მთარგმნელი ვერ გაეკუა ცდუნებას არ დაწერა მოკლე კომენტარი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე წიგნს.

ტრაქტატის ქართულ თარგმანს არა აქვს და ვერ ექნება სრულყოფილებაზე პრეტენზია, ამიტომ მთარგმნელი წინასწარვე პატიებას თხოვს მკითხველს, დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობებისთვის

დაბოლოს, მინდა ყველას გულითადი მადლობა ვუთხრა, ვინც დამეხმარა ამ თარგმანის შესრულებასა და წიგნად გამოცემაში.

ივა მინდაძე

თბილისი, 31.12. 2010

Introduction

By Bertrand Russell

Mr Wittgenstein's *Tractatus Logico-Philosophicus*, whether or not it prove to give the ultimate truth on the matters with which it deals, certainly deserves, by its breadth and scope and profundity, to be considered an important event in the philosophical world. Starting from the principles of Symbolism and the relations which are necessary between words and things in any language, it applies the result of this inquiry to various departments of traditional philosophy, showing in each case how traditional philosophy and traditional solutions arise out of ignorance of the principles of Symbolism and out of misuse of language.

The logical structure of propositions and the nature of logical inference are first dealt with. Thence we pass successively to Theory of Knowledge, Principles of Physics, Ethics, and finally to the Mystical (*das Mystische*).

In order to understand Mr Wittgenstein's book, it is necessary to realize what is the problem with which he is concerned. In the part of his theory which deals with Symbolism he is concerned with the conditions which would have to be fulfilled by a logically perfect language. There are various problems as regards language. First, there is the problem what actually occurs in our minds when we use language with the intention of meaning something by it; this problem belongs to psychology. Secondly, there is the problem as to what is the relation subsisting between thoughts, words, or sentences, and that which they refer to or mean; this problem belongs to epistemology. Thirdly, there is the problem of using sentences so as to convey truth rather than falsehood; this belongs to the special sciences dealing with the subject-matter of the sentences in question. Fourthly, there is the question: what relation must one fact (such as a sentence) have to another in order to be *capable* of being a symbol for that other? This last is a logical question, and is the one with which Mr Wittgenstein is concerned.

შისავალი

ბერტრან რასელი

მისტერ ვითგენშტაინის *Tractatus Logico-Philosophicus*, იმისდა მიუხედავად, დაადგინა მან განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო ჭეშმარიტება თუ არა, თავისი ფართო ხედვის, გაქანებისა და სიღრმის გამო, უდავოდ იმსახურებს იმას, რომ განხილულ იქნას, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ფილოსოფიურ სამყაროში. იწყება რა ის სიმბოლიზმის პრინციპებისა და იმ მიმართებების განხილვით, რომლებიც ნებისმიერი ენის სიტყვებსა და საგნებს შორის აუცილებლად არსებობს, მისტერ ვითგენშტაინი არგებს ამ გამოკვლევის შედეგებს ტრადიციული ფილოსოფიის სხვადასხვა სფეროს, და ყოველ მორიგ შემთხვევაში აჩვენებს, თუ როგორ წარმოიშვება ტრადიციული ფილოსოფია და ტრადიციული გადაწყვეტილებები სიმბოლიზმის პრინციპებისა და ენის არასწორი გამოყენების შედეგად.

პირველ რიგში განიხილება წინადადებების ლოგიკური სტრუქტურა და ლოგიკრი დასკვნის ბუნება. შემდეგ თანმიმდევრობით გადავდივართ შემეცნების თეორიის საკითხებზე, ფიზიკის პრინციპებსა, ეთიკასა და ბოლოს მისტიკურზე (*das Mystische*).

მისტერ ვითგენშტაინის წიგნის გასაგებად აუცილებელია იმ პრობლემის გააზრება, რომელსაც ის განიხილავს. თეორიის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება სიმბოლიკას, ის განიხილავს იმ პირობებს, რომლებიც დაცული უნდა იქნას ლოგიკურად სრულყოფილ ენაში. ენასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის პრობლემა არსებობს. პირველი, არსებობს პრობლემა, რომელიც ყოველ ჯერზე ჩვენ გონებაში ჩნდება, როდესაც ენას რაიმე შინაარსის გამოსახატავად ვიყენებთ, ეს პრობლემა ფსიქოლოგიას ეკუთვნის. მეორეც, არსებობს აზრების, სიტყვების ან წინადადებების იმასთან მისადაგების პრობლემა, რასაც ისინი გამოხატავს ან აღნიშნავს, ეს პრობლემა განეკუთვნება ეპისტემოლოგიას. მესამეც, არსებობს პრობლემა თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ წინადადებები, რომ გამოვხატოთ ჭეშმარიტება და არა მცდარობა, ეს პრობლემა იმ სპეციალურ მეცნიერებებს განეკუთვნება, რომელთა სფეროსაც ეხება წინადადებების შინაარსი. მეოთხეც, საკითხავია, თუ რა მიმართებაში უნდა იყოს ერთი ფაქტი (ისეთი, როგორიცაა წინადადება) მეორესთან, რათა *შეხატლებელი* გახდეს, რომ პირველი მეორეს სიმბოლოდ იქცეს? ეს უკანასკნელი შეკითხვა ლოგიკას განეკუთვნება, და სწორედ მას შეისწავლის მისტერ ვითგენშტაინი. ის განიხილავს *ზუსტი* სიმბოლიკის პი-

He is concerned with the conditions for *accurate* Symbolism, i.e. for Symbolism in which a sentence 'means' something quite definite. In practice, language is always more or less vague, so that what we assert is never quite precise. Thus, logic has two problems to deal with in regard to Symbolism: (1) the conditions for sense rather than nonsense in combinations of words; (2) the conditions for uniqueness of meaning or reference in symbols or combinations of symbols. A logically perfect language has rules of syntax which prevent nonsense, and has single symbols which always have a definite and unique meaning. Mr Wittgenstein is concerned with the conditions for a logically perfect language -- not that any language is logically perfect, or that we believe ourselves capable, here and now, of constructing a logically perfect language, but that the whole function of language is to have meaning, and it only fulfills this function in proportion as it approaches to the ideal language which we postulate.

The essential business of language is to assert or deny facts. Given the syntax of language, the meaning of a sentence is determined as soon as the meaning of the component words is known. In order that a certain sentence should assert a certain fact there must, however the language may be constructed, be something in common between the structure of the sentence and the structure of the fact. This is perhaps the most fundamental thesis of Mr Wittgenstein's theory. That which has to be in common between the sentence and the fact cannot, he contends, be itself in turn *said* in language. It can, in his phraseology, only be *shown*, not said, for whatever we may say will still need to have the same structure.

The first requisite of an ideal language would be that there should be one name for every simple, and never the same name for two different simples. A name is a simple symbol in the sense that it has no parts which are themselves symbols. In a logically perfect language nothing that is not simple will have a simple symbol. The symbol for the whole will be a "complex", containing the symbols for the parts. In speaking of a "complex" we are, as will appear later, sinning against the rules of philosophical grammar, but this is

რობებს, ანუ ისეთ სიმბოლიზმს, რომელშიც ყოველი წინადადება სრულიად განსაზღვრულ რამეს „აღნიშნავს“. პრაქტიკაში, ენა მუდამ არის მეტ-ნაკლებად განუსაზღვრელი, ანუ რასაც ვამტკიცებთ არასოდესაა მთლად ზუსტი. შესაბამისად, ლოგიკას სიმბოლიზმთან დაკავშირებული ორი პრობლემის დაძლევა სჭირდება: (1) პირობები, აუცილებელი იმისათვის, რომ სიმბოლოების კომბინაციები გამოხატავდეს საზრისს და არა უაზრობას; (2) პირობები, სიმბოლოებსა ან მათ კომბინაციებში გამოხატული მნიშვნელობის ან აღნიშვნის ერთმნიშვნელობის უზრუნველსაყოფად. ლოგიკურად სრულყოფილ ენას აქვს სინტაქსის წესები, რომლებიც გამოორიცხავს უაზრობას და მარტივი სიმბოლოები, რომლებსაც მუდამ აქვს განსაზღვრული და ერთადერთი მნიშვნელობა. მისტერ ვითგენშტაინი შეისწავლის პირობებს, რომლებიც აუცილებელია ლოგიკურად სრულყოფილი ენისათვის – არა ის, რომ რომელიმე ენაა ლოგიკურად სრულყოფილი, ან ის, რომ ჩვენ შეგვიძლია, ახლა და აქ ავაგოთ ლოგიკურად სრულყოფილი ენა, არამედ ის, რომ ენის მთელი ფუნქციაა ჰქონდეს საზრისი, და ენა იმდენად ასრულებს ამ ფუნქციას, რამდენადაც უახლოვდება ჩვენ მიერ პოსტულირებულ იდეალურ ენას.

ენის არსობრივი ამოცანაა, რომ დაადასტუროს ან უარყოს ფაქტები. მოცემულია რა ენის სინტაქსი, წინადადების აზრი განსაზღვრულია იმდენად, რამდენადაც ცნობილია მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობა. იმისათვის, რომ რომელიმე წინადადებამ დაადასტუროს რომელიმე ფაქტი, აუცილებელია, რომ არსებობდეს რაიმე საერთო ენის სტრუქტურასა, რა აგებულების ენაც არ უნდა იყოს, და ფაქტის სტრუქტურას შორის. სწორედ ეს არის, ალბათ, მისტერ ვითგენშტაინის თეორიის ძირითადი თეზისი. ვითგენშტაინი ამტკიცებს, ის რაც საერთოა ენასა და ფაქტს შორის, თავის მხრივ, არ შეიძლება ითქვას ენაში. ეს შეიძლება, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ნაჩვენები იქნას, მაგრამ არა ნათქვამი, რადგან ყველაფერს რაც არ უნდა ვთქვათ, იგივე სტრუქტურა უნდა ჰქონდეს.

პირველი მოთხოვნა იდეალური ენისათვის არის ის, რომ მასში მოცემული უნდა იყოს ერთი სახელი ერთი მარტივისთვის და არასოდეს არ იყოს ერთი და იგივე სახელი ორი მარტივისთვის. სახელი მარტივი სიმბოლოა იმ აზრით, რომ მასში არ არის მოცემული ნაწილები, რომლებიც თავის მხრივ სიმბოლოებია. ლოგიკურად სრულყოფილ ენაში არც ერთი არამარტივს არა აქვს მარტივი სიმბოლო. მთლიანის სიმბოლო არის „კომპლექსი“, რომელიც შედგება ნაწილების სიმბოლოებისაგან. „კომპლექსზე“ ლაპარაკისას, როგორც ეს მოგვინებით გამოჩნდება, ჩვენ ფილოსოფიური გრამატიკის წესებს ვარღვევთ, მაგრამ თავდაპირველ-

unavoidable at the outset. "Most propositions and questions that have been written about philosophical matters are not false but senseless. We cannot, therefore, answer questions of this kind at all, but only state their senselessness. Most questions and propositions of the philosophers result from the fact that we do not understand the logic of our language. They are of the same kind as the question whether the Good is more or less identical than the Beautiful" (4.003). What is complex in the world is a fact. Facts which are not compounded of other facts are what Mr Wittgenstein calls *Sachverhalte*, whereas a fact which may consist of two or more facts is a *Tatsache*: thus, for example "Socrates is wise" is a *Sachverhalt*, as well as a *Tatsache*, whereas "Socrates is wise and Plato is his pupil" is a *Tatsache* but not a *Sachverhalt*.

He compares linguistic expression to projection in geometry. A geometrical figure may be projected in many ways: each of these ways corresponds to a different language, but the projective properties of the original figure remain unchanged whichever of these ways may be adopted. These projective properties correspond to that which in his theory the proposition and the fact must have in common, if the proposition is to assert the fact.

In certain elementary ways this is, of course, obvious. It is impossible, for example, to make a statement about two men (assuming for the moment that the men may be treated as simples), without employing two names, and if you are going to assert a relation between the two men it will be necessary that the sentence in which you make the assertion shall establish a relation between the two names. If we say "Plato loves Socrates", the word "loves" which occurs between the word "Plato" and the word "Socrates" establishes a certain relation between these two words, and it is owing to this fact that our sentence is able to assert a relation between the persons named by the words "Plato" and "Socrates". "We must not say, the complex sign ' aRb ' says that ' a stands in a certain relation R to b '; but we must say, *that* ' a ' stands in a certain relation to ' b ' says *that* ' aRb ' (3.1432).

ად ეს გარდაუვალია. “წინადადებებისა და შეკითხვების უმეტესობა, რომლებიც ფილოსოფიურ საკითხებზე დაინერა, არის არა მცდარი, არამედ საზრისის მოკლებული. აქედან გამომდინარე, მსგავს შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათი საზრისის არ არსებობა დავადგინოთ. ფილოსოფოსების შეკითხვებისა და წინადადებების უმეტესობა ეფუძნება იმას, რომ ჩვენ ჩვენი ენის ლოგიკა არ გვესმის, (ისინი ისეთი შეკითხვის მსგავსია, არის თუ არა სიკეთე მეტად ან ნაკლებად იდენტური, ვიდრე სილამაზე)” (4.003). კომპლექსური სამყაროში არის ფაქტი. ფაქტს, რომელიც არ არის შედგენილი სხვა ფაქტებიდან, მისტერ ვითგენშტაინი უწოდებს Sachverhalte, როდესაც იმ ფაქტს, რომელიც შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი ფაქტისგან ეწოდება Tatsache; ასე მაგალითად: „სოკრატე არის ბრძენი“ არის Sachverhalt და იმავდროულად Tatsache, როდესაც „სოკრატე არის ბრძენი და პლატონი მისი მოსწავლეა“ არის Tatsache მაგრამ არა Sachverhalt.

ის ადარებს ენის გამოხატულებას გეომეტრიულ პროექციას. გეომეტრიული ფიგურა შეიძლება მრავალი საშუალებით პროექცირდეს. ყოველი ეს საშუალება შესაბამეობა განსხვავებულ ენას, მაგრამ თავად ფიგურის პროექცირებული თვისებები, არჩეული საშუალების მიუხედავად, უცვლელი რჩება. მისი თეორიის თანახმად ეს პროექცირებული თვისებებია სწორედ ის, რაც საერთო უნდა იყოს წინადადებისთვის და ფაქტისთვის, თუკი წინადადება ადასტურებს ფაქტს.

გარკვეულ ელემენტარულ შემთხვევებში ეს, ცხადია, თვალნათელია. შეუძლებელია, მაგალითად, რამე გამოითქვას ორი ადამიანის შესახებ (თუკი დავუშვებთ ერთი წუთით, რომ ადამიანები განიხილება როგორც „ამარტივები“), ორი სახელის გამოყენების გარეშე, და თუკი აპირებთ გამოხატოთ ამ ორ ადამიანს შორის არსებული მიმართება, აუცილებელია, რომ წინადადება, რომელშიც ამას გამოხატავთ, ადგენდეს მიმართებას ამ ორ სახელს შორის. თუკი ვიტყვით „პლატონს უყვარს სოკრატე“, მაშინ სიტყვა „უყვარს“, რომელიც დგას სიტყვებს „პლატონს“ და „სოკრატე“-ს შორის, გარკვეულ მიმართებას ადგენს მათ შორის, და სწორედ ამ ფაქტის ძალით, შეუძლია წინადადებას გამოხატოს მიმართება იმ პირებს შორის, რომლებსაც ეწოდება „პლატონი“ და „სოკრატე“. „არ უნდა ვთქვათ: „კომპლექსური ნიშანი „aRb“ ნიშნავს, რომ „a“ დგას „R“ მიმართებაში „b“-სთან“, არამედ უნდა ვთქვათ, ის რ მ „a“ გარკვეულ მიმართებაში დგას „b“-სთან, ნიშნავს „aRb“-ს...“ (3.1432).

Mr Wittgenstein begins his theory of Symbolism with the statement (2.1): "We make to ourselves pictures of facts." A picture, he says, is a model of the reality, and to the objects in the reality correspond the elements of the picture: the picture itself is a fact. The fact that things have a certain relation to each other is represented by the fact that in the picture its elements have a certain relation to one another. "In the picture and the pictured there must be something identical in order that the one can be a picture of the other at all. What the picture must have in common with reality in order to be able to represent it after its manner – rightly or falsely – is its form of representation" (2.161, 2.17).

We speak of a logical picture of a reality when we wish to imply only so much resemblance as is essential to its being a picture in any sense, that is to say, when we wish to imply no more than identity of logical form. The logical picture of a fact, he says, is a *Gedanke*. A picture can correspond or not correspond with the fact and be accordingly true or false, but in both cases it shares the logical form with the fact. The sense in which he speaks of pictures is illustrated by his statement: "The gramophone record, the musical thought, the score, the waves of sound, all stand to one another in that pictorial internal relation which holds between language and the world. To all of them the logical structure is common. (Like the two youths, their two horses and their lilies in the story. They are all in a certain sense one)" (4.014). The possibility of a proposition representing a fact rests upon the fact that in it objects are represented by signs, but are themselves present in the proposition as in the fact. The proposition and the fact must exhibit the same logical "manifold," and this cannot be itself represented since it has to be in common between the fact and the picture. Mr Wittgenstein maintains that everything properly philosophical belongs to what can only be shown, or to what is in common between a fact and its logical picture. It results from this view that nothing correct can be said in philosophy. Every philosophical proposition is bad grammar, and the best that we can hope to achieve by philosophical discussion is to lead people to see that philosophical discussion is a mistake. "Philosophy is not one of

მისტერ ვითგენშტაინი სიმბოლიზმის თეორიას იწყებს დებულებით: (2.1): „ჩვენ ვიქმნით ფაქტების ხატებს“. ხატი, ამბობს ის, არის სინამდვილის მოდელი, და სინამდვილეში მოცემულ ობიექტებს შეესაბამება ხატის ელემენტები; თვითონ ხატი კი არის ფაქტი. ის ფაქტი, რომ საგნები გარკვეულ ურთიერთმიმართებაში დგას, გამოხატულია იმ ფაქტით, რომ ხატში მისი ელემენტები იმავე ურთიერთ-მიმართებაში დგას. „ხატსა და გამოხატულს რამე იდენტური უნდა ჰქონდეს, რათა პირველმა საერთოდ შეძლოს, რომ იყოს მეორეს ხატი. ის, რაც ხატს სინამდვილესთან საერთო უნდა ჰქონდეს, რომ სინამდვილე გარკვეული ხერხით – სწორად ან მცდარად – გამოხატოს, არის გამოხატვის ფორმა.“ (2.161., 2.17).

ჩვენ ვლაპარაკობთ სინამდვილის ლოგიკურ ხატზე, როდესაც გვსურს გამოვხატოთ ის არსებითი მსგავსება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ გვეჩვენოს ხატი, ნებისმიერი აზრით, ანუ მაშინ, როდესაც ვგულისხმობთ მხოლოდ ლოგიკური ფორმის იდენტობას. ფაქტის ლოგიკური ხატი, ამბობს ის, არის *Gedanke* (აზრი). ხატი შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს ფაქტს და აქედან გამომდინარე იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ხატსა და ფაქტს საერთო ლოგიკური ფორმა აქვს. ის აზრი, რასაც ვითგენშტაინი დებს ხატში, ჩანს გამონათქვამში: „გრამოფონის ფირფიტას, მუსიკალურ აზრს, პარტიტურას, ბგერით ტალღებს ერთმანეთთან ისეთივე გამოსახვითი შინაგანი კავშირი აკავშირებს, როგორც ენასა და სამყაროს. მათ ყველას საერთო ლოგიკური სტრუქტურა აქვს. (როგორც ზღაპარში ორ ყმაწვილზე, მათ ორ ცხენსა და შროშანზე. ისინი ყველა გარკვეული აზრით ერთია.) (4.014). წინადადების შესაძლებლობა გამოხატოს ფაქტი, ეფუძნება იმას, რომ მასში ობიექტები გამოხატულია ნიშნებით. ეგრეთ წოდებული ლოგიკური „კონსტანტები“ არ გამოიხატება ნიშნებით, მაგრამ მოცემულია როგორც წინადადებაში ისევე ფაქტში. წინადადება და ფაქტი უნდა წარმოადგენდეს ერთსა და იმავე ლოგიკურ „მრავალფეროვნებას“ და ის ვერ იქნება გამოხატული, რადგან ის საერთო უნდა იყოს ფაქტისთვისაც და ხატისთვისაც. მისტერ ვითგენშტაინი ამტკიცებს, რომ ყველაფერი ჭეშმარიტად ფილოსოფიური ეკუთვნის იმას, რაც მხოლოდ ნაჩვენები შეიძლება იქნას, იმას, რაც საერთოა ფაქტისა და მისი ლოგიკური ხატისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ფილოსოფიაში სწორად არაფერი ითქმის. ყოველი ფილოსოფიური წინადადება ცუდი გრამატიკაა და საუკეთესო რამე, რისი მიღწევაც კი შეიძლება ფილოსოფიური დისკუსიის შედეგად, არის იმის ჩვენება, რომ ფილოსოფიური დისკუსია არის შეცდომა. ფილოსოფია არ არის საბუნებისმეტყველო მეცნიერება. (სიტყვა

the natural sciences. (The word 'philosophy' must mean something which stands above or below, but not beside the natural sciences.) The object of philosophy is the logical clarification of thoughts. Philosophy is not a theory but an activity. A philosophical work consists essentially of elucidations. The result of philosophy is not a number of 'philosophical propositions,' but to make propositions clear. Philosophy should make clear and delimit sharply the thoughts which otherwise are, as it were, opaque and blurred" (4.111 and 4.112). In accordance with this principle the things that have to be said in leading the reader to understand Mr Wittgenstein's theory are all of them things which that theory itself condemns as meaningless. With this proviso we will endeavour to convey the picture of the world which seems to underlie his system.

The world consists of facts: facts cannot strictly speaking be defined, but we can explain what we mean by saying that facts are what makes propositions true, or false. Facts may contain parts which are facts or may contain no such parts; for example: "Socrates was a wise Athenian," consists of the two facts, "Socrates was wise," and "Socrates was an Athenian." A fact which has no parts that are facts is called by Mr Wittgenstein a *Sachverhalt*. This is the same thing that he calls an atomic fact. An atomic fact, although it contains no parts that are facts, nevertheless does contain parts. If we may regard "Socrates is wise" as an atomic fact we perceive that it contains the constituents "Socrates" and "wise." If an atomic fact is analyzed as fully as possibly (theoretical, not practical possibility is meant) the constituents finally reached may be called "simples" or "objects." It is not contended by Wittgenstein that we can actually isolate the simple or have empirical knowledge of it. It is a logical necessity demanded by theory, like an electron. His ground for maintaining that there must be simples is that every complex presupposes a fact. It is not necessarily assumed that the complexity of facts is finite; even if every fact consisted of an infinite number of atomic facts and if every atomic fact consisted of an infinite number of objects there would still be objects and atomic facts (4.2211). The assertion that there is a certain complex reduces to the

„ფილოსოფია“ უნდა გამოხატავდეს იმას, რაც დგას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზემოთ ან ქვემოთ, მაგრამ არა გვერდით). ფილოსოფიის მიზანია აზრების ლოგიკური განმარტება. ფილოსოფია არის არა მოძღვრება, არამედ ქმედება. ფილოსოფიური ნაშრომი ძირითადად განმარტებებისგან შედგება. ფილოსოფიის შედეგია, არა „ფილოსოფიური წინადადებები“, არამედ, წინადადებების განმარტება. ფილოსოფიამ უნდა განმარტოს და მკაცრად განაცალკევოს ის აზრები, რომლებიც სხვაშრივ ბუნდოვანი და დაბინდულია“ (4.111.; 4.112). ამ პრინციპის შესაბამისად, ის დებულებები, რომლებიც უნდა გამოითქვს, რომ მკითხველს მისტიკურ ვითგენშტაინის თეორიის გაგებისაკენ ვუბიძგოთ, უაზროდ მიიჩნევა თვითონ ამ თეორიის თანახმად. ასეთი განაცხადის შემდეგ შევეცდებით ვაჩვენოთ სამყაროს სურათი, რომელიც, როგორც ჩანს, გამოდინარეობს მისი სისტემიდან.

სამყარო შედგება ფაქტებისაგან: ფაქტები, მკაცრად რომ განვსაჯოთ, არ შეიძლება განსაზღვრულ იქნას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ თუ რას ვგულისხმობთ, თუკი ვიტყვი, რომ ფაქტები არის ის, რაც წინადადებას აქცევს ჭეშმარიტად ან მცდარად. ფაქტები შეიძლება შეიცავდეს ნაწილებს, რომლებიც ფაქტებია, ან არ შეიცავდეს ასეთ ნაწილებს. მაგალითად: „სოკრატე იყო ბრძენი ათენელი“ შედგება ორი ფაქტისაგან: „სოკრატე იყო ბრძენი“ და „სოკრატე იყო ათენელი“. ფაქტს, რომელსაც არა აქვს ნაწილები, რომლებიც არის ფაქტები, მოსტიკურ ვითგენშტაინი უწოდებს *Sachverhalt*. ეს იგივეა, რასაც ის უწოდებს ატომარულ ფაქტს. ატომარული ფაქტი თუმცა არ შეიცავს ნაწილებს, რომლებიც არის ფაქტები, მაგრამ მაინც შეიცავს ნაწილებს. თუკი განვიხილავთ „სოკრატე არის ბრძენი“ როგორც ატომარულ ფაქტს, დავინახავთ რომ ის შეიცავს შემადგენლებს: „სოკრატე“ და „ბრძენი“. თუკი შესაძლებელია ატომარული ფაქტის სრული ანალიზი (იგულისხმება თეორიული და არა პრაქტიკული შესაძლებლობა), მაშინ ბოლოსდაბოლოს მიღებულ შემადგენლებს შეიძლება ეწოდოს „მარტივი“ ან „ობიექტები“. ვიტგენშტაინი არ ამტკიცებს რომ შეგვიძლია აქტუალურად გამოვყოთ მარტივი ანდა ვიქონიოთ ემპირიული ცოდნა მის შესახებ. ეს არის ლოგიკური აუცილებლობა, რომელსაც თეორია ითხოვს, ელექტრონის არსებობის შესახებ. იმის მტკიცების საფუძველად, რომ უნდა არსებობდეს მარტივი, არის ის, რომ ყოველი კომპლექსი გულისხმობს ფაქტს. არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფაქტების კომპლექსურობა სასრულია; მაშინაც კი, თუკი ყოველი ფაქტი შედგება ატომარული ფაქტების უსასრულო რაოდენობისგან და ყოველი ატომარული ფაქტი შედგება ობიექტების უსასრულო რაოდენობისგან, მაინც

assertion that its constituents are related in a certain way, which is the assertion of a fact: thus if we give a name to the complex the name only has meaning in virtue of the truth of a certain proposition, namely the proposition asserting the relatedness of the constituents of the complex. Thus the naming of complexes presupposes propositions, while propositions presupposes the naming of simples. In this way the naming of simples is shown to be what is logically first in logic.

The world is fully described if all atomic facts are known, together with the fact that these are all of them. The world is not described by merely naming all the objects in it; it is necessary also to know the atomic facts of which these objects are constituents. Given this total of atomic facts, every true proposition, however complex, can theoretically be inferred. A proposition (true or false) asserting an atomic fact is called an atomic proposition. All atomic propositions are logically independent of each other. No atomic proposition implies any other or is inconsistent with any other. Thus the whole business of logical inference is concerned with proposition which are not atomic. Such propositions may be called molecular.

Wittgenstein's theory of molecular propositions turns upon his theory of the construction of truth-functions.

A truth-function of a proposition p is a proposition containing p and such that its truth or falsehood depends only upon the truth or falsehood of p , and similarly a truth-function of several propositions p, q, r, \dots is one containing p, q, r, \dots and such that its truth or falsehood depends only upon the truth or falsehood of p, q, r, \dots . It might seem at first sight as though there were other functions of propositions besides truth-functions; such, for example, would be "A believes p ," for in general A will believe some true propositions and some false ones: unless he is an exceptionally gifted individual, we cannot infer that p is true from the fact that he believes it or that p is false from the fact that he does not believe it. Other apparent exceptions would be such as " p is a very

იარსებებს ობიექტები და ატომარული ფაქტები (4.2211). მტკიცებულება, რომ არსებობს გარკვეული კომპლექსი, დაიყვანება მტკიცებულებამდე, რომ მისი შემადგენლები გარკვეული სერხით ურთიერთდაკავშირებულია, რაც არის ფაქტის მტკიცებულება: თუკი ამ კომპლექსს სახელს ვუწოდებთ, მას საზრისი ეწენება მხოლოდ გარკვეული წინადადების ქეშმარიტების მიხედვით, კერძოდ კი იმ წინადადების, რომელიც ამტკიცებს ამ კომპლექსის შემადგენლების ურთიერთდაკავშირებულობას. ამრიგად, კომპლექსების სახელდება გულისხმობს წინადადებებს, როდესაც წინადადება გულისხმობს მარტივთა სახელდებას. ასე ჩანს, რომ მარტივთა სახელდება ლოგიკურად პირველადია ლოგიკაში.

სამყარო სრულად არის აღწერილი, თუკი ცნობილია ყველა ატომარული ფაქტი, იმ ფაქტის ჩათვლით, რომ ისინი ყველა ცნობილია. სამყარო არ აღიწერება ყველა ობიექტის მარტივი სახელდებათ, აუცილებელია ასევე ყველა ატომარული ფაქტის ცოდნა, რომელთა შემადგენლებია ეს ობიექტები. მოცემულია რა ატომარული ფაქტების ეს ერთობლიობა, მაშინ ქეშმარიტი წინადადება, რამდენადაც კომპლექსური არ უნდა იყოს ის, შეიძლება თეორიულად გამოყვანილ იქნას. წინადადებას (ქეშმარიტს თუ მცდარს), რომელიც ადასტურებს ატომარულ ფაქტს, ეწოდება ატომარული წინადადება. ყველა ატომარული წინადადება ერთმანეთისაგან ლოგიკურად დამოუკიდებელია. არც ერთი ატომარული წინადადება არ გამომდინარეობს მეორედან და არ ეწინააღმდეგება მას. ამრიგად, ლოგიკური დასკვნის მთელი სიძნელე ეხება იმ წინადადებებს, რომლებიც არაა ატომარული. ასეთ წინადადებებს შეიძლება ეწოდოს მოლეკულური.

მოლეკულური წინადადებების ვითგენშტაინის თეორია ეფუძნება ქეშმარიტებითი ფუნქციების აგების თეორიას.

წინადადება P-ს ქეშმარიტებითი ფუნქცია არის წინადადება, რომელიც შეიცავს P-ს და თანაც მისი ქეშმარიტობა ან მცდარობა დამოკიდებულია მხოლოდ P-ს ქეშმარიტობასა და მცდარობაზე, და მსგავსად, რამდენიმე წინადადების P, Q, R...-ის ქეშმარიტებითი ფუნქცია არის ისეთი წინადადება, რომელიც შეიცავს P, Q, R... და რომლის ქეშმარიტობა ან მცდარობა დამოკიდებულია მხოლოდ P, Q, R...-ს ქეშმარიტობასა და მცდარობაზე. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქეშმარიტებითი ფუნქციის გარდა, კიდევ არსებობს წინადადების სხვა ფუნქციები, ისეთი როგორცაა, მაგალითად, „A-ს სჯერა P-სი“, რამდენად, A-ს სჯერა ზოგიერთო ქეშმარიტი წინადადების და ზოგიერთი მცდარის, - ჩვენ ვერ დავადგენთ, რომ P ქეშმარიტია, იქიდან, რომ A-ს მისი სჯერა, ან რომ P მცდარია,

complex proposition" or " p is a proposition about Socrates."

Mr Wittgenstein maintains, however, for reasons which will appear presently, that such exceptions are only apparent, and that every function of a proposition is really a truth-function. It follows that if we can define truth-functions generally, we can obtain a general definition of all propositions in terms of the original set of atomic propositions. This Wittgenstein proceeds to do.

It has been shown by Dr. Sheffer (*Trans. Am. Math. Soc.*, Vol. XIV. pp. 481-488) that all truth-functions of a given set of propositions can be constructed out of either of the two functions "not- p or not- q " or "not- p and not- q ". Wittgenstein makes use of the latter, assuming a knowledge of Dr. Sheffer's work. The manner in which other truth-functions are constructed out of "not- p and not- q " is easy to see. "Not- p and not- p " is equivalent to "not- p ," hence we obtain a definition of negation in terms of our primitive function: hence we can define " p or q ," since this is the negation of "not- p and not- q ," *i.e.* of our primitive function. The development of other truth-functions out of "not- p " and " p or q " is given in detail at the beginning of *Principia Mathematica*. This gives all that is wanted when the propositions which are arguments to our truth-function are given by enumeration. Wittgenstein, however, by a very interesting analysis succeeds in extending the process to general propositions, *i.e.* to cases where the propositions which are arguments to our truth-function are not given by enumeration but are given as all those satisfying some condition. For example, let fx be a propositional function (*i.e.* a function whose values are propositions), such as "x is human" -- then the various values of fx form a set of propositions. We may extend the idea "not- p and not- q " so as to apply to simultaneous denial of all the propositions which are values of fx . In this way we arrive at the proposition which is ordinarily represented in mathematical logic by the words " fx is false for all values of x ." The negation of this would be the proposition "There is at least one x for which fx is true" which is represented by " $(\exists x) . fx$." If we had started with not- fx instead of fx we should have arrived at the proposition " fx is true

რადგან A -ს მისი არ სჯერა, ცხადია, თუკი ის განსაკუთრებულად ნიჭიერი ინდივიდი არაა. სხვა მოჩვენებითი გამონაკლისები იქნება ისეთები, როგორიცაა: „ p არის ძალიან რთული წინადადება“ ან „ p არის წინადადება სოკრატეზე“.

მისტერ ვითგენშტაინი ამტკიცებს, იმ მიზეზებით, რომლებიც მალე გამოჩნდება, რომ ეს გამონაკლისები მხოლოდ მოჩვენებითია, და წინადადების ყოველი ფუნქცია არის მართლაც ჭეშმარიტებითი ფუნქცია. აქედან გამომდინარეობს, რომ თუკი შევძლებთ ჭეშმარიტებითი ფუნქციის ზოგადი განსაზღვრების მოცემას, მაშინ მივიღებთ ყველა წინადადების ზოგად განსაზღვრებას, პირველადი ატომარული წინადადებების ერთობლიობის ტერმინებში. რასკენაც მიემართება ვითგენშტაინი.

დოქტორმა შეფერმა აჩვენა (*Trans. Am. Math. Soc. Vol. XIV. pp. 481-488*), რომ მოცემული რაოდენობის ყველა ჭეშმარიტებითი ფუნქცია შეიძლება აგებულ იქნას ნებისმიერი ამ ორი ფუნქციიდან: « a რა p ან არა q » ან « a რა p და არა q ». ვითგენშტაინი იყენებს უკანასკნელს; სავარაუდოდ ის იცნობს დოქტორ შეფერის ნაშრომს. ადვილი დასანახია, თუ როგორ აიგება დანარჩენი ფუნქციები « a რა p და არა q »-დან. « a რა p და არა p » ეკვივალენტურია « a რა p »-სი, შესაბამისად, მივიღებთ უარყოფის განსაზღვრებას ჩვენი პირველადი ფუნქციის ტერმინებში; შესაბამისად, შეგვიძლია განვსაზღვროთ « p ან q », რამდენადაც ეს არის უარყოფა « a რა p და არა q » ე.ი. ჩვენი პირველადი ფუნქციის. დანარჩენი ჭეშმარიტებითი ფუნქციების აგება « a რა p » და « p ან q »-დან დეტალურად მოცემულია «*Principia Mathematica*»-ში. ამით მოცემულია ყველაფერი რაც საჭიროა, როდესაც წინადადებები, რომლებიც წარმოადგენს ჭეშმარიტებითი ფუნქციების არგუმენტებს, თვლით არის მოცემული. ძალიან საინტერესო ანალიზის საფუძველზე ვითგენშტაინმა შეძლო ამ პროცესის გავრცობა ზოგად წინადადებებზე, ანუ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც წინადადებები, რომლებიც წარმოადგენს ჩვენი ჭეშმარიტებითი ფუნქციის არგუმენტებს, არ არის მოცემული თვლით, არამედ მოცემულია როგორც ყველა წინადადება, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ პირობას. მაგალითად, დავუშვათ fx არის პროპოზიციული ფუნქცია (ანუ ფუნქცია, რომლის მნიშვნელობა არის წინადადება), როგორიცაა « X ადამიანი», მაშინ fx -ის განსხვავებული მნიშვნელობები ქმნის მრავალ წინადადებას. შეგვიძლია გავაფართოვოთ ცნება « a რა p და არა q » ისე, რომ მივუსადაგოთ ის ყველა იმ წინადადების ერთდროულ უარყოფას, რომელიც არის fx -ის მნიშვნელობა. ასეთი ხერხით ჩვენ მივიღებთ წინადადებას, რომელიც მათემატიკურ ლოგიკაში

for all values of x " which is represented by " $(x) . fx$." Wittgenstein's method of dealing with general propositions [*i.e.* " $(x) . fx$ " and " $(\exists x) . fx$ "] differs from previous methods by the fact that the generality comes only in specifying the set of propositions concerned, and when this has been done the building up of truth-functions proceeds exactly as it would in the case of a finite number of enumerated arguments $p, q, r \dots$

Mr Wittgenstein's explanation of his symbolism at this point is not quite fully given in the text. The symbol he uses is $[p, \bar{\xi}, N(\bar{\xi})]$. The following is the explanation of this symbol:

p stands for all atomic propositions.

$\bar{\xi}$ stands for any set of propositions.

$N(\bar{\xi})$ stands for the negation of all the propositions making up $\bar{\xi}$.

The whole symbol $[p, \bar{\xi}, N(\bar{\xi})]$ means whatever can be obtained by taking any selection of atomic propositions, negating them all, then taking any selection of the set of propositions now obtained, together with any of the originals – and so on indefinitely. This is, he says, the general truth-function and also the general form of proposition. What is meant is somewhat less complicated than it sounds. The symbol is intended to describe a process by the help of which, given the atomic propositions, all others can be manufactured. The process depends upon:

- (a) Sheffer's proof that all truth-functions can be obtained out of simultaneous negation, *i.e.* out of "not- p and not- q ";
- (b) Mr Wittgenstein's theory of the derivation of general propositions from conjunctions and disjunctions;
- (c) The assertion that a proposition can only occur in another proposition as argument to a truth-function. Given these three foundations, it follows that all propositions which

ჩვეულებრივ გამოიხატება სიტყვებით „ fx მცდარია x -ის ყველა მნიშვნელობისათვის“. ამის უარყოფა იქნება წინადადება „არსებობს ერთი x მაინც, რომლისთვისაც fx ჭეშმარიტია“, რაც გამოიხატება $\langle \exists x \rangle .fx$. თუკი დავინყებთ არა- fx -ით fx -ის ნაცვლად, მაშინ მივიღებთ წინადადებას $\langle fx \text{ ჭეშმარიტია ყველა } x \text{ მნიშვნელობისათვის} \rangle$, რაც გამოიხატება $\langle x \rangle .fx$. ზოგად წინადადეგების ვითგენშტაინის დამუშავების მეთოდი [ე.ი. $\langle x \rangle .fx$. და $\langle \exists x \rangle .fx$.] იმით განსხვავდება წინარე მეთოდებისგან, რომ ზოგადობა ვლინდება შესაბამის წინადადებათა მრავლობითობის გამოყოფისას, და ამის შემდეგ, ჭეშმარიტებითი ფუნქციის აგების მსვლელობა ზუსტად ისევე წარიმართება, როგორც არგუმენტების დასრულებადი ნუსხის p, q, r, \dots შემთხვევაში.

მისტერ ვითგენშტაინის განმარტება, რომელსაც ის ამ პუნქტში თავის სიმბოლიზმს აძლევს, ტექსტში მთლად დასრულებული არ არის. ის იყენებს სიმბოლოებს $[P, \bar{N}, N(\bar{N})]$. ქვემოთ მოცემულია ამ სიმბოლოთა განმარტებები:

\bar{P} აღნიშნავს ყველა ატომარულ წინადადებას

\bar{N} აღნიშნავს წინადადებათა ნებისმიერ მრავლობითობას

$N(\bar{N})$ აღნიშნავს ყველა წინადადების უარყოფას, რომლებიც ქმნის \bar{N} .

სიმბოლო $[P, \bar{N}, N(\bar{N})]$ აღნიშნავს ყველაფერს, რაც შეიძლება მივიღოთ, თუკი ავიღებთ ნებისმიერ ატომარულ წინადადებას, უარვყოფთ მათ ყველას, შემდეგ ავიღებთ ასე მიღებულ წინადადებათა ნებისმიერ რაოდენობას და თავდაპირველადი წინადადეგების ნებისმიერ რაოდენობას და ასე შემდეგ დაუსრულებლად. ეს არის, ამბობს ის, ზოგადი ჭეშმარიტებითი ფუნქცია და ასევე წინადადების ზოგადი ფორმა. ეს არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. სიმბოლომ უნდა აღწეროს პროცესი, რომლის დახმარებით, მოცემული ატომარული წინადადეგებიდან შეიძლება ვანარმოოთ ყველა დანარჩენი. ეს პროცესი ეფუძნება:

ა) შეფერის მტკიცებას, რომ ჭეშმარიტებითი ყველა ფუნქცია შეიძლება მივიღოთ ერთდროული უარყოფიდან, ე.ი «არა p და არა q »

ბ) ვითგენშტაინის თეორიას, ზოგადი წინადადების კონიუნქციიდან და დიზუნქციიდან გამოყვანის შესახებ.

გ) მტკიცებას, რომ წინადადება შეიძლება შედოდეს მეორე წინადადებაში მხოლოდ როგორც ჭეშმარიტებითი ფუნქციის არგუმენტი. თუკი მოცემულია ეს სამი საფუძველი, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა წინადადება, რომელიც არ არის ატომარული, შეიძლება უნიფიცირებული პროცესის საშუალებით

are not atomic can be derived from such as are, buy a uniform process, and it is this process which is indicated by Mr Wittgenstein's symbol.

From this uniform method of construction we arrive at an amazing simplification of the theory of inference, as well as a definition of the sort of propositions that belong to logic. The method of generation which has just been described, enables Wittgenstein to say that all propositions can be constructed in the above manner from atomic propositions, and in this way the totality of propositions is defined. (The apparent exceptions which we mentioned above are dealt with in a manner which we shall consider later.) Wittgenstein is enabled to assert that propositions are all that follows from the totality of atomic propositions (together with the fact that it is the totality of them); that a proposition is always a truth-function of atomic propositions; and that if p follows from q the meaning of p is contained in the meaning of q , from which of course it results that nothing can be deduced from an atomic proposition. All the propositions of logic, he maintains, are tautologies, such, for example, as " p or not p ."

The fact that nothing can be deduced from an atomic proposition has interesting applications, for example, to causality. There cannot, in Wittgenstein's logic, be any such thing as a causal nexus. "The events of the future," he says, "*cannot* be inferred from those of the present. Superstition is the belief in the causal nexus." That the sun will rise to-morrow is a hypothesis. We do not in fact know whether it will rise, since there is no compulsion according to which one thing must happen because another happens.

Let us now take up another subject – that of names. In Wittgenstein's theoretical logical language, names are only given to simples. We do not give two names to one thing, or one name to two things. There is no way whatever, according to him, by which we can describe the totality of things that can be names, in other words, the totality of what there is in the world. In order to be able to do this we should have to know of some property which must belong to every thing by a logical necessity. It has been sought to

გამოვიყვანოთ ატომარული წინადადებებიდან, და სწორედ ამ პროცესს აღნიშნავს მისტერ ვითგენშტაინის სიმბოლო.

აგების ამ უნიფიცირებული მეთოდიდან ვიღებთ დასკვნის თეორიის გამოგნებულ გამარტივებას, და ასევე იმ წყების წინადადებათა განმარტებას, რომლებიც ლოგიკას განეკუთვნება. აგების აღწერილი მეთოდი ვითგენშტაინს საშუალებას აძლევს ამტკიცოს, რომ ყველა წინადადება შეიძლება აგებულ იქნას ზემოაღწერილი მეთოდით ატომარული წინადადებებიდან და ამით განისაზღვროს ყველა წინადადების ერთობლიობა. (მოჩვენებითი გამონაკლისები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ განხილული იქნება მოგვიანებით). ვითგენშტაინი ამტკიცებს, რომ წინადადებები ყველაფერია, რაც გამომდინარეობს ატომარული წინადადებების ერთობლიობიდან (იმ ფაქტთან ერთად, რომ ეს ერთობლიობა მათ ყველას მოიცავს), რომ წინადადება მუდამ არის ატომარული წინადადების ქუშმარტებითი ფუნქცია და რომ თუ P გამომდინარეობს Q -დან, მაშინ P -ს აზრი მოცემულია Q -ს აზრში, საიდანც გამომდინარეობს, რომ ატომარული წინადადებიდან არაფრის გამოყვანაა შესაძლებელი. ლოგიკის ყველა წინადადება, ამტკიცებს ის, არის ტავტოლოგია, ისეთი, როგორცია, მაგალითად « P ან არა P ».

იმ ფაქტს, რომ ატომარული წინადადებიდან არაფრის გამოყვანაა შესაძლებელი, აქვს საინტერესო გაგრძელება, მაგალითად, მიზეზშედგობრიობასთან დაკავშირებით. ის ამბობს „ მოშავლის მოვლენები არ შეეგვიძლია გამოვიყვანოთ აწყოდან. მიზეზშედგობრივი კავშირების რწმენა არის ცრურწმენა“. ის რომ ხვალ მზე ამოვა არის ჰიპოთეზა. სინამდვილეში ჩვენ არ ვიცით ამოვა ის თუ არა, რადგან არ არსებობს არავითარი იძულება, რომლის მიხედვით რაიმე მოივლენა უნდა იმიტომ განხორციელდეს, რადგან უკვე განხორციელდა სხვა რომელიმე მოვლენა.

გადავიდეთ სხვა საკითხზე – სახელებზე. ვითგენშტაინის თეორიულ ლოგიკურ ენაში სახელები მოცემულია მხოლოდ როგორც მარტივები, ჩვენ არ ვარქმევთ ორ სახელს ერთ საგანს ან ერთ სახელს ორ საგანს. ვითგენშტაინის მიხედვით, არ არსებობს საშუალება, რომლის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა სახელდებადი საგნების ერთობლიობის აღწერა, – სხვა სიტყვებით, ყველაფრის ერთობლიობის აღწერა, რაც კი არის სამყაროში. ამის გასაკეთებლად, რომელიმე ისეთი თვისების ცოდნა იქნებოდა საჭირო, რომელიც ეკუთვნის ყველა საგანს თავისი ლოგიკური აუცილებლობის ძალით. ასეთი თვისების პოვნას ცდილობდნენ საკუთარ თავთან იდენტურობაში, მაგრამ ვითგენშტაინმა იდენტურობის

find such a property in self-identity, but the conception of identity is subjected by Wittgenstein to a destructive criticism from which there seems no escape. The definition of identity by means of the identity of indiscernibles is rejected, because the identity of indiscernibles appears to be not a logically necessary principle. According to this principle x is identical with y if every property of x is a property of y ; but it would, after all be logically possible for two things to have exactly the same properties. If this does not in fact happen that is an accidental characteristic of the world, not a logically necessary characteristic, and accidental characteristics of the world must, of course, not be admitted into the structure of logic. Mr Wittgenstein accordingly banishes identity and adopts the convention that different letters are to mean different things. In practice, identity is needed as between a name and a description or between two descriptions. It is needed for such propositions as "Socrates is the philosopher who drank the hemlock," or "The even prime is the next number after 1." For such uses of identity it is easy to provide on Wittgenstein's system.

The rejection of identity removes one method of speaking of the totality of things, and it will be found that any other method that may be suggested is equally fallacious: so, at least, Wittgenstein contends and, I think, rightly. This amounts to saying that "object" is a pseudo-concept. To say " x is an object" is to say nothing. It follows from this that we cannot make such statements as "there are more than three objects in the world," or "there are an infinite number of objects in the world." Objects can only be mentioned in connexion with some definite property. We can say "there are more than three objects which are human," or "there are more than three objects which are red," for in these statements the word object can be replaced by a variable in the language of logic, the variable being one which satisfies in the first case the function " x is human"; in the second the function " x is red." But when we attempt to say "there are more than three objects," this substitution of the variable for the word "object" becomes impossible, and the proposition is therefore seen to be meaningless.

კონცეფცია გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, და როგორც ჩანს ძალიან მართებულად. იდენტურობის განსაზღვრა როგორც განურჩევლობა უარყოფილ უნდა იქნას, რადგან განურჩევლობა როგორც იდენტურობა არ უნდა იყოს ლოგიკური აუცილებლობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, X იდენტურია Y-ს, თუკი X-ის ყველა თვისება აქვს Y-ს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ლოგიკურად შესაძლებელია, რომ ორ საგანს აბსოლუტურად ერთნაირი თვისებები ჰქონდეს. თუკი ეს ფაქტობრივად არ ხდება, ეს არის სამყაროს შემთხვევითი და არა ლოგიკურად აუცილებელი თვისება, და სამყაროს შემთხვევითი თვისებები, ცხადია, არ დაიშვება ლოგიკის სტრუქტურაში. შესაბამისად, მისტერ ვითგენშტაინი უარყოფს იდენტურობას და უერთდება შეთანხმებას, რომ განსხვავებული ასოები განსხვავებულ საგნებს უნდა გამოხატავდეს. პრაქტიკაში იდენტურობა საჭიროა როგორც სახელს და აღწერილობას, ისევე ორ აღწერილობას შორის. ის საჭიროა მსგავსი წინადადებებისათვის: „სოკრატე არის ფილოსოფოსი, რომელმაც დალია ციკუტა“. ანდა „პირველი ლუნი რიცხვი არის 1-ის მომდევნო რიცხვი“. იდენტურობის ასეთი გამოყენება ადვილი გასათვალისწინებელია ვითგენშტაინის სისტემაში.

იდენტურობაზე უარის თქმა უარყოფს საგნების ერთობლიობაზე ლაპარაკის ერთ-ერთ საშუალებას, და აჩვენებს, რომ ნებისმიერი სხვა საშუალებაც, რომელიც კი შეიძლება შემოგვთავაზონ, ასევე მცდარია, ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებს ვითგენშტაინი, და ფიქრობს სამართლიანადაც. ამას მიყევართ მტკიცებამდე, რომ „ობიექტი“ არის ფსევდოცნება. „X არის ობიექტი“ -ს თქმა არაფრის თქმას ნიშნავს. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ ასეთი დებულება, რომ „სამყაროში სამ ობიექტზე მეტია“ ან „სამყაროში ობიექტთა უსასრულო რაოდენობაა“. ობიექტები შეიძლება მოხსენებულ იქნას, მხოლოდ რომელიმე განსაზღვრულ თვისებასთან ერთად. შეიძლება ვთქვათ: „არსებობს სამ ობიექტზე მეტი, რომლებიც არის ადამიანები“, ან „არსებობს სამ ობიექტზე მეტი, რომლებიც არის წითელი“, რადგან ასეთ დებულებებში სიტყვა ობიექტი ლოგიკის ენაში ჩანაცვლებულ იქნება ცვლადით, თანაც ეს ცვლადი პირველ შემთხვევაში აკმაყოფილებს ფუნქციას «X ადამიანი», ხოლო მეორე შემთხვევაში «X წითელი». მაგრამ როდესაც ცვდილობთ ვთქვათ „არსებობს სამ ობიექტზე მეტი“, მაშინ ცვლადით სიტყვა „ობიექტის“ ჩანაცვლება შეუძლებელი ხდება და ამიტომ წინადადება განხილულ უნდა იქნას როგორც უაზრო.

შემდეგი მსჯელობა ეხება ვითგენშტაინის ძირითად თეზისს, რომ შეუძლებელია

- In short the effect must be that it becomes an altogether different world. It must, so to speak, wax and wane as a whole.
- The world of the happy man is a different one from that of the unhappy man.
- So too at death the world does not alter,

ცხადია, რომ ეთიკას არაფერი აქვს საერთო დასჯასა და ჯილდოსთან, ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ამიტომ ეს შეკითხვა, ქმედების შედეგების მიხედვით მნიშვნელობას მოკლებულია, - ყოველ შემთხვევაში ეს შედეგები არ შეიძლება იყოს მოვლენები. რადგან საკითხის ასეთ დასმაში რამე მაინც უნდა იყოს მართალი. უნდა არსებობდეს გარკვეული ეთიკური სასჯელი და ეთიკური ჯილდო, მაგრამ ისინი თვით ქმედებაში უნდა იყოს.

(და ესეც ცხადია, რომ ჯილდო რაღაც სასიამოვნოა, ხოლო სასჯელი - უსიამოვნო).

6.423 არ შეიძლება ვილაპარაკოთ ნებაზე, როგორც ეთიკის მატარებელზე.

და ნება, როგორც ფენომენი, საინტერესოა მხოლოდ ფსიქოლოგიისათვის.

6.43 თუკი კეთილი ან ბოროტი ნება სამყაროს ცვლის, მას შეუძლია მხოლოდ სამყაროს საზღვრების შეცვლა, მაგრამ არა ფაქტების, არა იმისი, რაც შეიძლება გამოიხატოს ენაში.

მოკლედ, ასეთ შემთხვევაში, სამყარო აბსოლუტურად განსხვავებული უნდა გახდეს, ის, ასე ვთქვათ, როგორც მთლიანობა, უნდა გაიზარდოს ან შემცირდეს.

ბედნიერის სამყარო სულ სხვაა, ვიდრე უბედურის სამყარო.

6.431 ისევე როგორც, სიკვდილის დროს სამყარო არ

- ändert, sondern aufhört.
- 6.4311 Der Tod ist kein Ereignis des Lebens.
Den Tod erlebt man nicht.
- Wenn man unter Ewigkeit nicht unendliche Zeitdauer, sondern Unzeitlichkeit versteht, dann lebt der ewig, der in der Gegenwart lebt.
- Unser Leben ist ebenso endlos, wie unser Gesichtsfeld grenzenlos ist.
- 6.4312 Die zeitliche Unsterblichkeit der Seele des Menschen, das heißt also ihr ewiges Fortleben auch nach dem Tode, ist nicht nur auf keine Weise verbürgt, sondern vor allem leistet diese Annahme gar nicht das, was man immer mit ihr erreichen wollte. Wird denn dadurch ein Rätsel gelöst, daß ich ewig fortlebe? Ist denn dieses ewige Leben dann nicht ebenso rätselhaft wie das gegenwärtige? Die Lösung des Rätsels des Lebens in Raum und Zeit liegt *außerhalb* von Raum und Zeit.
- (Nicht Probleme der Naturwissenschaft sind ja zu lösen.)
- 6.432 *Wie* die Welt ist, ist für das Höhere vollkommen gleichgültig. Gott offenbart sich nicht *in* der Welt.
- 6.4321 Die Tatsachen gehören alle nur zur Aufgabe, nicht zur Lösung.
- but comes to an end.
- Death is not an event in life: we do not live to experience death.
- If we take eternity to mean not infinite temporal duration but timelessness, then eternal life belongs to those who live in the present.
- Our life has no end in just the way in which our visual field has no limits.
- Not only is there no guarantee of the temporal immortality of the human soul, that is to say of its eternal survival after death; but, in any case, this assumption completely fails to accomplish the purpose for which it has always been intended. Or is some riddle solved by my surviving for ever? Is not this eternal life itself as much of a riddle as our present life? The solution of the riddle of life in space and time lies *outside* space and time.
- (It is certainly not the solution of any problems of natural science that is required.)
- How things are in the world is a matter of complete indifference for what is higher. God does not reveal himself in the world.
- The facts all contribute only to setting the

იცვლება, არამედ ნყდება.

6.4311 სიკვდილი არ არის ცხოვრების მოვლენა.

სიკვდილი გამოცდილი არ არის.

თუკი უსასრულობა გვესმის არა როგორც დროის უსასრულო მსვლელობა, არამედ უდროობა, მაშინ ის ცხოვრობს უსასრულოდ, ვინც აწმყოში ცხოვრობს.

ჩვენი სიცოცხლე ისევე უსასრულოა, როგორც უსაზღვროა ჩვენი მხედველობის არე.

6.4312 ადამიანის სულის დროში უკვდავება, რაც

ნიშნავს მის მარადიულ სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგ, არათუ არაფრითაა უზრუნველყოფილი, არამედ, პირველ რიგში, ეს ვარაუდი იმასაც კი ვერ აღწევს, რისი მიღწევაც მუდამ სურდათ.

პასუხი გაცემა კი რაიმე გამოცანას იმით, რომ მე მარადიულად ვაგრძელებ ცხოვრებას? ეს მარადიული სიცოცხლე ისეთივე გამოუცნობი ხომ არ არის, როგორც აწმყოში ცხოვრება? სივრცესა და დროში სიცოცხლის გამოცანის პასუხი სივრცისა და დროის მ ი ლ მ ა ა .

(აქ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრობლემები კი არ არის გადასაჭრელი.)

6.432 როგორია სამყარო – უზენაესისათვის სრულებით სულერთია. ღმერთი არ ვლინდება სამყარო – შ ი.

6.4321 ყველა ფაქტი ეკუთვნის მხოლოდ ამოცანას, და არა ამოხსნას.

- 6.44 Nicht *wie* die Welt ist, ist das Mystische, sondern *daß* sie ist.
- 6.45 Die Anschauung der Welt sub specie aeterni ist ihre Anschauung als - begrenztes - Ganzes.
- Das Gefühl der Welt als begrenztes Ganzes ist das mystische.
- 6.5 Zu einer Antwort, die man nicht aussprechen kann, kann man auch die Frage nicht aussprechen.
- Das Rätsel* gibt es nicht.
- Wenn sich eine Frage überhaupt stellen läßt, so *kann* sie auch beantwortet werden.
- 6.51 Skeptizismus ist *nicht* unwiderleglich, sondern offenbar unsinnig, wenn er bezweifeln will, wo nicht gefragt werden kann.
- Denn Zweifel kann nur bestehen, wo eine Frage besteht; eine Frage nur, wo eine Antwort besteht, und diese nur, wo etwas *gesagt* werden *kann*.
- 6.52 Wir fühlen, daß, selbst wenn alle *möglichen* wissenschaftlichen Fragen beantwortet sind, unsere Lebensprobleme noch gar nicht berührt
- problem, not to its solution.
- It is not *how* things are in the world that is mystical, but *that* it exists.
- To view the world sub specie aeterni is to view it as a whole – a limited whole.
- Feeling the world as a limited whole – it is this that is mystical.
- When the answer cannot be put into words, neither can the question be put into words.
- The *riddle* does not exist.
- If a question can be framed at all, it is also *possible* to answer it.
- Scepticism is *not* irrefutable, but obviously nonsensical, when it tries to raise doubts where no questions can be asked.
- For doubt can exist only where a question exists, a question *only* where an answer exists, and an answer *only* where something *can be said*.
- We feel that even when *all possible* scientific questions have been answered, the problems of life remain completely untouched. Of course there are then no

- 6.44 მისტიკურია არა ის, თუ რ ო გ ო რ ი ა
სამყარო, არამედ, ის რ ო მ სამყარო არის.
- 6.45 სამყაროს ჭვრეტა *sub specie aeterni* არის მისი (ლათ. მარადისობის
ჭვრეტა, როგორც – განსაზღვრული თვალსაზრისით)
მთლიანობის.
სამყაროს განცდა, როგორც განსაზღვრული
მთლიანობის არის მისტიკური.
- 6.5 პასუხისთვის, რომელიც არ შეიძლება
გამოითქვას, არ შეიძლება შეკითხვის დასმაც.
გამოცანები არ არსებობს.
თუკი ხაერსაუად შესაძლებელია შეკითხვის დასმა,
შესაძლებელია მასზე პასუხის გაცემაც.
- 6.51 სკეპტიციზმი არის ა რ ა დაუძლეველი, (დღიურის ჩანაწერი -1.5.15)
არამედ, ცხადია, საზრისს მოკლებული. თუკი სკეპტიციზმი არის არა
მას ეჭვები იქ ღრღნის, სადაც შეკითხმის დასმაა დაუძლეველი, არამედ,
შეუძლებელი. როგორც ჩანს, საზრისს
მოკლებული, როდესაც ეჭვი
შეაქვს იქ, სადაც
შეუძლებელია შეკითხვის
დასმა. რადგან ეჭვი შეიძლება
რადგან ეჭვი მხოლოდ იქ შეიძლება არსებობდეს, მხოლოდ მაშინ არსებობდეს,
ს ა და ც შეკითხვა არსებობს, მ ხ ო ლ ო დ თუკი არსებობს შეკითხვა,
შეკითხვა არსებობს იქ, სადაც არსებობს პასუხი, შეკითხვა მხოლოდ მაშინ
და პასუხი არსებობს მ ხ ო ლ ო დ იქ, სადაც შეიძლება არსებობდეს, თუკი
რაიმე შე ი ძ ლ ე ბ ა ი თ ქ ვ ა ს . არსებობს პასუხი, ის კი
მხოლოდ მაშინ, თუკი რამე
ნათქვამი შეიძლება იქნას.
- 6.52 ვგრძნობთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი
პასუხი გაცემმა ყველა შ ე ს ა ძ ლ ო
მეცნიერულ შეკითხვას, ეს ჩვენი ცხოვრების
პრობლემებს არც კი შეეხება. მაშინ, ცხადია,

- sind. Freilich bleibt dann eben keine Frage mehr; und eben dies ist die Antwort.
- 6.521 Die Lösung des Problems des Lebens merkt man am Verschwinden dieses Problems.
- (Ist nicht dies der Grund, warum Menschen, denen der Sinn des Lebens nach langen Zweifeln klar wurde, warum diese dann nicht sagen konnten, worin dieser Sinn bestand?)
- 6.522 Es gibt allerdings Unausprechliches. Dies zeigt sich, es ist das Mystische.
- 6.53 Die richtige Methode der Philosophie wäre eigentlich die: Nichts zu sagen, als was sich sagen läßt, also Sätze der Naturwissenschaft - also etwas, was mit Philosophie nichts zu tun hat -, und dann immer, wenn ein anderer etwas Metaphysisches sagen wollte, ihm nachzuweisen, daß er gewissen Zeichen in seinen Sätzen keine Bedeutung gegeben hat. Diese Methode wäre für den anderen unbefriedigend - er hätte nicht das Gefühl, daß wir ihn Philosophie lehrten - aber sie wäre die einzig streng richtige.
- 6.54 Meine Sätze erläutern dadurch, daß sie der, welcher mich versteht, am Ende als unsinnig erkennt, wenn er durch sie - auf
- questions left, and this itself is the answer.
- The solution of the problem of life is seen in the vanishing of the problem.
- (Is not this the reason why those who have found after a long period of doubt that the sense of life became clear to them have then been unable to say what constituted that sense?)
- There are, indeed, things that cannot be put into words. They *make themselves manifest*. They are what is mystical.
- The correct method in philosophy would really be the following: to say nothing except what can be said, i.e. propositions of natural science—i.e. something that has nothing to do with philosophy—and then, whenever someone else wanted to say something metaphysical, to demonstrate to him that he had failed to give a meaning to certain signs in his propositions. Although it would not be satisfying to the other person—he would not have the feeling that we were teaching him philosophy—this method would be the only strictly correct one.
- My propositions are elucidatory in this way: he who understands me finally recognizes them as senseless, when he has climbed

არცერთი შეკითხვა აღარ რჩება: და სწორედ ეს არის პასუხი.

6.521 ცხოველის პრობლემის გადაჭრა ამ პრობლემის გაჭრობაშია.

(ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ ის ადამიანებიც კი, რომლებმაც ხანგრძლივი ეჭვების შემდეგ ცხოვრების საზრისი იპოვეს, ვერ ამბობენ, თუ რას წარმოადგენს ცხოვრების აზრი).

6.522 ცხადია, არსებობს გამოუთქმელი. ის ა ვ ლ ე ნ ს თავს, ის მისტიკურია.

6.53 ფილოსოფიის მართებული მეთოდი იქნებოდა: არაფრის თქმა, გარდა იმისა, რისი თქმაც შეიძლება, შესაბამისად, გარდა საბუნებისმეტყველო წინადადეგებისა – ანუ იმისი, რასაც ფილოსოფიასთან არაფერი აქვს საერთო – და შემდეგ მუდამ, როდესაც ვინმე რაიმე მეტაფიზიკურის თქმას დააპირებს, მიუთითო მას, რომ მან თავის წინადადეგებში რამდენიმე წიშანს მნიშვნელობა არ მიანიჭა. ეს მეთოდი არ დააკმაყოფილებდა მეორე პიროვნებას – მას არ გაუჩნდებოდა განცდა, რომ ჩვენ მას ფილოსოფიას ვასწავლით – მაგრამ ეს იქნებოდა ერთადერთი მკაცრად დაცული სწორი მეთოდი.

6.54 ჩემი წინადადეგები იმით აიხსნება, რომ მან, ვინც მე გამიგო, ბოლოს გაიზრა ამ წინადადეგების უაზრობა, როდესაც ამ წინადადეგების

ihnen - über sie hinausgestiegen ist. (Er muß sozusagen die Leiter wegwerfen, nachdem er auf ihr hinaufgestiegen ist.)

out through them, on them, over them. (He must so to speak throw away the ladder, after he has climbed up on it.)

Er muß diese Sätze überwinden, dann sieht er die Welt richtig.

He must transcend these propositions, and then he will see the world aright.

7 Wovon man nicht sprechen kann, darüber muß man schweigen.

What we cannot speak about we must pass over in silence.

nach langen Zweifeln hat er sich
diese dann nicht sagen können.
dieser Sinn (Lauterbach?)

after long doubts he has been
unable to say these things
this sense (Lauterbach?)

Es gibt allerdings Unausgesprochenes.
Das zeigt sich, selbst das Mystische.

There are things that cannot be said.
This is shown, even the mystical.
is evident. They are what is mystical.

Die richtige Methode der Philosophie
wäre eigentlich die Methode zu sagen,
was sich sagen läßt, und Sätze der
Mehrwortigkeit - also Sätze der
Philosophie zu tun. Man
sollte, wenn man andere nicht
überzeugen kann, seine
Begriffe nicht, daß er gewisse
in seinen Sätzen keine Bedeutung
gegeben hat. Diese Methode wäre für
den anderen Unverständig - er hätte
nicht das Gefühl, daß wir mit ihm
wären - aber sie wäre die richtige
Methode.

The right method of philosophy
would be the method of saying
what can be said, and propositions of
multiplicity - i.e. propositions of
philosophy. One should, if one
cannot convince others, not give
names to his concepts, so that he
cannot say that he has given them
no meaning in his propositions.
This method would be incomprehensible
to others - they would not have the
feeling that we were in agreement
with them - but it would be the
right method.

Meine Sätze erläutern dadurch,
daß sie die Wertsache zeigen,
der, welcher nicht versteht, am
ehesten erkennt, wenn er durch sie

my propositions clarify themselves
by showing the value of the things
which do not understand, understand
most easily, when he passes through

დახმარებით მათზე – მათზე მალლა – დადგა. (მან უნდა, ასე ვთქვათ, კიბე მოისროლოს, მას შემდეგ რაც ამ კიბეზე ავა.)

მან უნდა გადალახოს ეს წინადადებები, და მაშინ ის სწორად დაინახავს სამყაროს.

7

რაზეც არ შეიძლება ლაპარაკი, იმაზე დუმილი გემართებს.

XIX საუკუნის დასასრულს ვითგენშტაინები ვენის ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ოჯახად იქცა. მაგრამ კარლ ვითგენშტაინი ცნობილი იყო არა მხოლოდ როგორც წარმატებული მენარმე, არამედ, როგორც ხელგაშლილი მეცენატი. ის ხელს უწყობდა დამწყებ ხელოვანებს, ესმარბოდა მუსიკოსებს, მხატვრებს, მათ შორის მაგალითად, გუსტავ კლიმტს და ზოგადოდ, სეცესიონისტებს. კარლის მეუღლე – **ლეოპოლდინე** (პოლდე) ვითგენშტაინი, ქალწულობაში **კალმუსი** – ნიჭიერ პიანისტად ითვლებოდა და დიდ დროს უთმობდა მუსიკას. ვითგენშტაინების სახლში ხშირად იმართებოდა მცირე კონცერტები, მუსიკალური საღამოები. ოჯახის სტუმრები იყვნენ გამოჩენილი მუსიკოსები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვითგენშტაინების ოჯახში გამართულ საღამოებში. ხშირი სტუმარი იყო იოჰან ბრაჰმი.

კარლ და ლეოპოლდინე ვითგენშტაინებს ცხრა შვილი შეეძინათ. სამწუხაროდ, შვილების უმრავლესობის, განსაკუთრებით კი ვაჟების, ცხოვრება ვერ აუწყო.

ჰერმინე ვითგენშტაინი (1874-1950) გარდაიცვალა გაუთხოვარი.

დორა ვითგენშტაინი (1876) გარდაიცვალა დაბადებისას.



ჰანს ვითგენშტაინმა (1877-1902) სიცოცხლე (სავარაუდოდ) თვითმკვლევლობით დაასრულა.

კურტ ვითგენშტაინმა (1878-1918) სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა.

ჰელენე ვითგენშტაინი (1878-1956) დაოჯახდა, მუშაობდა სახელმწიფო მოხელედ.

რუდოლფ ვითგენშტაინმა (1881-1904) სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა.

მარგარიტა/მარგარეტ ანა მარია ვითგენშტაინი (1882-1958), - 1904 წელს ამერიკელ ფაბრიკანტს, ჟერომ სტენბოროუს, გაყვა, უფრო ცნობილია მარგარეტ სტენბოროუსი.

როუ-ვითგენშტაინის სახელით. კლიმტის მიერ შესრულებული მარგარეტის პორტრეტი დღეს ინახება მიუნხენის თანამედროვეობის პინაკოთეკაში. 1923 წელს მარგარეტი გაცილდა მეუღლეს, რომელმაც 1938 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მარგარეტი დაინტერესებული იყო მათემატიკით, ფსიქონალიზით, ცოტა ხნის განმავლობაში მუშაობდა ციურისში ქიმიურ ლაბორატორიაში, მართავდა ლიტერატურულ სალონებს. 1926-28 წლებში არქიტექტორმა პოლ ენჯელმანმა, ლუდვიგ ვიტგენშტაინის უშუალო მონაწილეობით, დააპროექტა და ააგო კუბისტურ სტილში გადაწყვეტილი მარგარეტის სასახლე ვენაში, ე.წ. „ვიტგენშტაინების სახლი“. 1928 წლიდან გარდაცვალებამდე მარგარეტი უწყვეტად ამ სახლში ცხოვრობდა, ცხადია, თუ არ ჩავთვლით ემიგრაციის წლებს (1940-1947), რომლებიც მარგარეტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა. დღეს ამ შენობას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

პოლ ვიტგენშტაინმა (1887-1961) - ნიჭიერმა პიანისტმა, პირველ მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობის შედეგად მარჯვენა მკლავი დაკარგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განაგრძობდა პიანინოზე დაკვრას. ის, ალბათ, დღემდე რჩება მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ცალხელა პიანისტად.

ვიტგენშტაინების ოჯახს ბოლო, მეცხრე შვილი, 1889 წლის 26 აპრილს შეეძინათ. მას ლუდვიგი დაარქვეს.

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ბავშვობა და-ძმის ბავშვობას ჰგავდა: კერძო მასწავლებლებითა და მუსიკალური გარემოცვით განპირობებული. 14 წლის ასაკიდან ლუ-



ვიგი ლინცის საჯარო სკოლის – რეალური სასწავლებლის – მოწაფე გახდა. საყურადღებოა, რომ ლინცის სასწავლებელში იმავე დროს სწავლობდა ლუდვიგის თანატოლი ადოლფ ჰიტლერი. მაგრამ, თუკი ნიჭიერი ლუდვიგი ერთი კლასით ნინ სწავლობდა, ჰიტლერი, რომელსაც ლინცის რეალურ სასწავლებელში იმდენად გა-

უჭირდა სწავლა, რომ ბოლოს იძულებული გახდა სხვა, ნაკლებად მომთხოვნ, სასწავლებში გადასულიყო, თანატოლებზე კლასით უკან სწვლობდა. ასე რომ ვითგენშტაინი და პიტლერი კლასში ერთმანეთს არ შეხვედრილან. 2002 წელს გამოიცა ავსტრალიელი მწერლის, კიმბერლი კორნიშის ნიგინი „ებრაელი ლინციდან. პიტლერი და ვითგენშტაინი“¹, რომელშიც ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ პიტლერის ანტისემიტიზმს სწორედ ვითგენშტაინთან ურთიერთობა უდევს საფუძვლად. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ მოყვანილი დასაბუთება საკმაოდ სპეკულაციურ ხასიათს ატარებს, ვითგენშტაინსა და პიტლერს შორის რაიმე მჭიდრო ურთიერთობის კვალი არ ჩანს, გარდა იმისა, რომ ავტორმა მოიძია სკოლის მონაფეხების ფოტოსურათი, რომელზეც ორი ახალგაზრდაა გამოსახული, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია, როგორც პიტლერისა და ვითგენშტაინის. ასეა თუ ისე, არც პიტლერის და არც ვითგენშტაინის მოგონებებში, წერილებსა თუ პირად საბუთებში არ მოგვეძებნება იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ მათ ერთმანეთზე რაიმე გავლენა მოეხდინათ, თანაც ლინცში დიდხანს არც ერთი მათგანი არ დარჩენილა.

კარლ ვითგენშტაინი მიიჩნევდა, რომ შვილებს რაიმე „ნესიერი“ (Anstendiges) უნდა ესწავლეთ, ასეთ „ნესიერ პროფესიად“ მას ინიჭნობდა მიაჩნდა და ლუდვიგმაც 1906 წელს ბერლინ-შარლოტენბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა. სამი სემესტრის შემდეგ მანჩესტერის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, სადაც მრავალ სხვადასხვა პროექტში მონაწილეობდა. ძირითადად დაკავებული იყო თვითმფრინავების ძრავებისა და პროპელერების კონსტრუირებით, მაგრამ ყველა ეს პროექტი დაუსრულებელი დარჩა.

ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაინტერესდა ვითგენშტაინი ლოგიკითა და ფილოსოფიით, მაგრამ უკვე 1909 წელს ის ცდილობს რასელის ცნობილი ანტინომიის (დალაქის პარადოქსის) გადაჭრას². 1911 წელს ვითგენშტაინი ჩადის იენაში, სადაც ხედება გოტლობ ფრეგეს. სავარაუდოა, რომ სწორედ ფრეგემ უჩრია ვითგენშ-

¹ Cornish, K.: Der Jude aus Linz. Hitler und Wittgenstein. Ullstein Hc, 2002

² McGuinness, B.: Wittgenstein: A Life. Young Ludwig (1889-1921). Dt.: Wittgensteins frühe Jahre. Übers. von J. Schulte, Frankfurt a.M. 1988; S.130

ტაინს, სწავლა განეგრძო ინგლისში, რასელის ხელმძღვანელობით. მართლაც, ამ შეხვედრის შემდგომ ვიტგენშტაინი სამუდამოდ ამბობს უარს ინჟინრის კარიერაზე და 1912 წლის დასაწყისში კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტის კოლეჯში იწყებს ბერტრანდ რასელთან ლოგიკის სწავლას. ამიერიდან მის სამაგიდო წიგნებს შორის მუდმივად იდება ფრეგესა და რასელის შრომები.

იმავე წლებიდან იწყება რასელისა და ვიტგენშტაინის მრავლწლიანი ურთიერთობა. ბიოგრაფებს, როგორც წესი, აინტერესებთ, თუ ვინ ამოიცნო ყველაზე ადრე ამა თუ იმ პიროვნებაში მომავალი გენიოსი. ვიტგენშტაინის შემთხვევაში, სწორედ რასელს მიაწერება ის, რომ მან ახალგაზრდა „პილოტში“ – თავდაპირველად ასე გაეცნო მას ვიტგენშტაინი – დაინახა ფილოსოფიის ამომავალი ვარსკვლავი. ვიტგენშტაინის და – ჰერმინე ვიტგენშტაინი – იხსენებს, რომ ერთ-ერთი შეხვედრის დროს, რასელს მისთვის აღფრთოვანებით უთქვამს ლუდვიგის შესახებ „ჩვენ ველოდებით, რომ შემდეგ დიდ ნაბიჯს ფილოსოფიაში სწორედ თქვენი ძმა გადადგამს“³. სავარაუდოა, რომ რასელი გულწრფელი იყო თავის შეფასებებში, რადგან ლუდვიგთან ურთიერთობის პირველი წლებიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ვიტგენშტაინის მოსაზრებებს, ხელნაწერში აკითხებდა თავის შრომებს და ითვალისწინებდა მის შენიშვნებს საბოლოო რედაქციის მომზადების დროს. რასელი მართლ არ იყო ვიტგენშტაინის ასეთ დაფასებაში. შლიკი, კეინი, ლუდვიგის სხვა მეგობრები თუ ნაცნობები მას თითქმის ერთხმად როგორც გენიოსს ისე მოიხსენებენ, მათი მოგონებები სავსეა ისეთი ეპითეტებით, როგორცაა „ჭკუშარიტი გენიოსი“, „ყველაზე შთაბეჭდილი პიროვნება, რომელიც კი ოდესმე შემხვედრია“, „დამოუკიდებელი მოაზროვნე“ და ა.შ. ვიტგენშტაინს, რომელსაც, წელიწადის ნებისმიერ დროს, როგორც წესი, არაფრით გამორჩეული მუქი კოსტიუმი ეცვა, თანაც ძირითადად პალტუხის გარეშე, იმდენად განსხვავებული სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომ ლუდვიგის დის, ჰერმინეს, სიტყვები რომ გავიმეოროთ,⁴ ყველა მასში მაშინვე „ბატონს“ (Herrn) ამოიცნობდა, რომლისთვისაც შესაბამისი პიეტეტით უნდა მიემართა. ვიტგენშტაინი მუდამ კარგ ყავას სვამდა, არჩევდა მსუბუქ საჭმ-

³ Wittgenstein, Hermine, Mein Bruder Ludwig, S.24 in: Rhees (Hrsg.): Porträts und Gespräche. Frankfurt a.M. 1987; S. 21-34

⁴ იქვე გვ. 31

ელს, რადგან კუჭი ანუხებდა. როდესაც მუშაობდა, და თუკი მუშაობდა, ის მართლაც წარმოდგენილად ბევრს მუშაობდა, განტვირთვისთვის კინოში უყვარდა წასვლა, თანაც ამერიკულ ფილმებს არჩევდა და წინა რიგებში ჯდებოდა, ან დეტექტივებს კითხულობდა. არ უყვარდა ძაღლები, ერიდებოდა ქალებს. ვითგენშტაინის პოლიტიკურ შეხედულებებზე თუკი ვიმსჯელებთ, ის მემარცხენეების მიმართ სიმპათიით იყო განსჭვალული.

ინგლისში სწავლისას ვითგენშტაინი დაუმეგობრდა დავიდ პინსენტს, რომლის სსოვნასაც, სხვათა შორის, ეძღვნება ტრაქტატი. პინსენტი, ლუდვიგზე ორი წლით უმცროსი იყო, ის კემბრიჯის უნივერსიტეტში თავდაპირველად მათემატიკას, ხოლო შემდეგ იურისპრუდენციას სწავლობდა. 1913 წელს სწორედ პინსენტთან ერთად გაემგზავრა ვითგენშტაინი სამოგზაუროდ ჯერ ისლანდიაში, ხოლო შემდგომ ნორვეგიაში. მომავალში ნორვეგია ვითგენშტაინის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, ის მისთვის ერთგვარ ნავსაყუდელად იქცევა, სადაც სხვადასხვა განსაცდელს გავლილი ვითგენშტაინი სიმშვიდისა და „ჩუმი ბედნიერების“ ძიებაში გამუდმებით დაბრუნდება ხოლმე. 1913 წლის დასასრულს ვითგენშტაინი კვლავ ნორვეგიაშია, სადაც დიდი ხნით რჩება და განმართობაში იწყებს ფილოსოფიურ ნაშრომზე მუშაობას, რომლის ნაწილი მაინც, როგორც ჩანს, ტრაქტატის ტექსტს დაედო საფუძვლად. ნორვეგიაში ვითგენშტაინი ყიდულობს პატარა სახლს, რომელსაც ხშირად ქოხს – Hütte – უწოდებს. თუკი გავიხსენებთ, რომ ლუდვიგის მამამ თავის ფირმასაც Hütte⁵ უწოდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლუდვიგისთვის ეს მეტი იყო ვიდრე მხოლოდ სახელწოდება, არამედ გამოხატავდა მის შენაძენს, მის „საწარმოს“. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, როდესაც ლუდვიგმა მთელი თავისი ქონება გააჩუქა, მან მაინც შეინარჩუნა ეს სახლი ნორვეგიაში.

მომდევნო წლის ზაფხულში ვითგენშტაინი ავსტრიაში დაბრუნდა, რათა განეკარგა წინა წელს გარდაცვლილი მამისგან შემკვიდრეობით მიღებული ქონება. თანხ-

⁵ სიტყვა Hütte – აქვს ორი მნიშვნელობა, ქოხი და მეტალურგიული ქარხანა.

ის ნაწილით ლუდვიგი ფინანსურ გაჭირვებაში მყოფ მხატვრებსა და მწერლებს დაეხმარა, მათ შორის, კოკოშკას, თრაკლს, რილკეს.

პირველი მსოფლიო ომის დანებებასთანავე ვითგენშტაინი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. გამოჩენილი სიმამაცისათვის მან რამდენიმე სამხედრო ჯილდო და ლიტენანტის წოდება მიიღო. ოფიცერთა სკოლაში ვითგენშტაინი დაუმეგობრდა თანატოლ ოფიცრებს, მათ შორის არქიტექტორ პოლ ენგელმანს, რომლის მოგონებები⁶ საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის ვითგენშტაინის პიროვნებაზე. სწორედ მასთან ერთად ააგებს მოგვიანებით ვითგენშტაინი თავისი დის ცნობილ „ვითგენშტაინების სახლს“.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვითგენშტაინი ახერხებს ტრაქტატზე მუშაობას, რომელსაც სამხედრო შვებულების დროს, 1918 წლის სექტემბრისთვის ასრულებს. პირველი მსოფლიო ომის დამტავრებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე ვითგენშტაინი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში მან 10 თვე დაჰყო და ვენაში მხოლოდ 1919 წლის აგვისტოში დაბრუნდა.

ომმა და განსაკუთრებით მისი მეგობრის, პინსენტის, უბედური შემთვევის დროს დალუბვამ, დიდი გავლენა მოახდინა ვითგენშტაინზე, დღიურებში თავს იჩენს თვითმკვლელობის თემა („თუკი თვითმკვლელობა დაშვებულია, მაშინ ყველაფერი დაშვებულია. თუკი რაიმე არ არის დაშვებული, მაშინ თვითმკვლელობაც არ არის დაშვებული. ეს შუქს ფენს ეთიკის არსს. რადგან თვითმკვლელობა არის, ასე ვთქვათ, ელემენტარული ცოდვა [...] თუ თვითმკვლელობა თავის თავად მაინც არც კარგია და არც ცუდი!“, დღიურის ჩანაწერი -13.10.14). ლუდვიგის ოთხი ძმიდან სამმა სიცოცხლე სწორედ თვითმკვლელობით დაასრულა, ამიტომ სავარაუდოა რომ ლუდვიგი თვითმკვლელობის საკითხს ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა. ენგელმანის მიმართ მიწერილ წერილში (21.06.1920) ვითგენშტაინი წერს „ვიცი, თვითმკვლელობა მუდამ საძაგლობაა. რადგან არ შეიძლება გინდოდეს საკუთარი თავის განადგურება და ყველას,

⁶ Engelmann, Paul: Ludwig Wittgenstein Briefe und Begegnungen, Wien/München: Oldenbourg, 1970

ვისაც საკუთარი თავის მკვლელობა წარმოუდგენია, იცის, რომ თვითმკვლელობა მუდამ საკუთარი მეს *მოულოდნელ დაჯახანს* (*Überrumpelung*) ნიშნავს. არაფერია იმაზე მწარე, როდესაც იძულებული ხარ საკუთარი თავს ჩაუსაფრდე⁷. საკუთარი ცხოვრების დაჯახანა ვითგენშტაინმა სხვა ფორმით გადაწყვიტა. ვითგენშტაინმა თავი არ მოიკლა, მან ძველი ცხოვრება „მოკლა“.

ტყვეობიდან ვენაში დაბრუნებისთანავე ვითგენშტაინი „ახალ ცხოვრების“ შენებას შეუდგა. ახალი ცხოვრება მან დაძმისთვის მაშისგან დარჩენილი ქონების ჩუქებით დაიწყო. ამიერიდან ლუდვიგის ერთადერთ ქონებას ნორვეგიაში შეძენილი სახლი წარმოადგენს. ქონების გაცემის შემდეგ ვითგენშტაინი ისეთი სამსახურის ძებნას შეუდგა, რომელიც, ერთი მხრივ, მას საარსებო წყაროს მისცემდა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი „ახალი ცხოვრების“ იდეალს შეესატყვისებოდა – ანუ „ნესიერ პროფესიას“ წარმოადგენდა. ასეთი ნესიერი პროფესია მასწავლებლობა გახლდათ. ერთი წლის განმავლობაში ვითგენშტაინმა დაასრულა მასწავლებლის კურსები და 1920 წლიდან დაიწყო ქვემო ავსტრიის ერთ-ერთ სოფელში სკოლის მასწავლებლად მუშაობა.

სანამ მასწავლებლად დაიწყებდა მუშაობას, ვითგენშტაინი უშედეგოდ ცდილობდა ეპოვა გამომცემელი, რომელიც ტრაქტატის გამოცემას ითავებდა. ამ საქმეში მას დახმარება და ასევე შესავლის დაწერა რასელმა აღუთქვა. ვითგენშტაინმა ხელნაწერი ფრეგესაც გაუგზავნა, მაგრამ ფრეგე, ვითგენშტაინის აზრით, ვერ ჩაწვდა ტრაქტატის არსს. 1919 წლის 19 აგვისტოს რასელისადმი მიწერილ წერილში, ვითგენშტაინი წერს „მე ასევე გაუგზავნე ხელნაწერი ფრეგეს, მან ერთი კვირის წინ მიპასუხა, და მივხვდი, რომ მან ტრაქტატის ვერაფერი გაიგო. ასე რომ, მთელი ჩემი იმედი ისაა, რაც შეიძლება მალე შეგხვდეთ და ყველაფერი აგისხნათ, რადგან ძა-



⁷ McGuinness, B.: Wittgenstein: A Life. Young Ludwig (1889-1921). Dt.: Wittgensteins frühe Jahre. Übers. von J. Schulte, Frankfurt a.M. 1988; S.392

ლიან ძნელია, როდესაც არავის ესმის შენი.“⁸ მართლაც, 1919 წლის დასასრულს ვითგენშტაინი და რასელი ერთმანეთს პოლანდიაში შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ლუდვიგი თვლიდა, რომ რასელმაც მთლად კარგად ვერ გაიგო ტრაქტატორაც, ვითგენშტაინის აზრით, რასელის მიერ დაწერილი წინასიტყვაობიდან ჩანდა,⁹ მან წიგნის გამოცემის მთელი საქმიანობა რასელს მიანდო და თვითონ ერთგვარად ჩრდილში გადავა. რასელის მეცადინეობით ტრაქტატი თავდაპირველად 1921 წელს ვილჰელმ ოსვალდის მიერ გამოცემულ სერიაში *Annalen der Naturphilosophie* გამოქვეყნდა, ამ გამოცემაში მრავალი შეცდომა და უზუსტობა გაიპარა. 1922 წელს გამოქვეყნდა შესწორებული ორენოვანი (ინგლისურ-გერმანული) ვარიანტი. საგულისხმოა, რომ შეიცვალა ნაშრომის სახელწოდება. თავის წიგნს ვითგენშტაინმა თავდაპირველად *Logisch-philosophische Abhandlung* უწოდა, რაც შემდგომ, სავარაუდოდ, სპინოზას *Tractatus theologico-politicus* გავლენით, *Tractatus logico-philosophicus*-ად შეიცვალა. სავარაუდოა, რომ სათაურის შეცვლა რასელისა და მორის თაოსნობით მოხდა. 1922 წლის გამოცემის ინგლისურ ვარიანტს ხშირად ავტორისეულს უწოდებენ, თუმცა ის, თუ რამდენად იყო ჩართული ან ინფორმირებული თარგმნის შესახებ ვითგენშტაინი (რომელმაც თავად კარგად იცოდა ინგლისური), ბოლომდე გარკვეული არ არის. თვითონ ვითგენშტაინი უკმაყოფილო იყო ინგლისური ვარიანტის ხარისხით. თუმცა მას პქონდა საშუალება წინასწარ გაცნობოდა ინგლისურ თარგმანს, რადგან ცნობილია, რომ ფრანკ რამზეი, ნიჭიერი მათემატიკოსი და ტექსტის ერთ-ერთი უშუალო მთარგმნელი (ჩარლზ ოგდენთან ერთად) თარგმნის პროცესში ეწვია ვითგენშტაინს ქვემო ავსტრიაში, სავარაუდოდ, ინგლისურენოვანი ტექსტთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტების განსახილველად.

ქვემო ავსტრიაში ვითგენშტაინმა მასწავლებლად 6 წელი, 1926 წლამდე, იმუშავა. სოფლის მასწავლებლად მუშაობა ვითგენშტაინისათვის მკურნალობის ერთგვარ კურსს წარმოადგენდა. მასწავლებლობას ვითგენშტაინი „სათბურას“ უწოდებდა (შდრ. კეინის მიმართ მიწერილი წერილი, 18.10.1925), რომელიც ლუდვიგს „ტიკი-

⁸ Wittgenstein, L. *Letters to Russell, Keynes and Moore*. Von Wright G.H. (ed) Basil Blackwell, 1974. Edited with an Introduction by G.H. von Wright, assisted by B.F. McGuinness, S.71

⁹ იქვე, წერილი 06.05.1920, S.86

ვილის გაყურებაში“ ეხმარება. როგორც ჩანს, ამ წერილის დაწერის დროისათვის მასწავლებლობით მკურნალობამ თავი ამონურა, რადგან 11 წლიანი პაუზის შემდეგ, 1925 წელს, ვითგენშტაინი ინგლისში გაემგზავრა, რათა იქ მოემეხნა სხვა სამუშაო ადგილი.

1926 წელს ვითგენშტაინმა თავი დაანება მასწავლებლობას, თუმცა ინგლისში დაბრუნებას ჯერ კიდევ რამდენიმე წელიწადი აშორებდა. მან თავისი დისთვის, მარგარეტისთვის სახლის მშენებლობა წამოიწყო. სახლის არქიტექტორად ძველი მეგობარი, ენგელმანი, მოიწვია, თუმცა ლა თვითონ ვითგენშტაინი უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობდა სახლის მშენებლობასა და მოწყობაში.

მშენებლობამ ორ წელიწადს გასტანა და ის მხოლოდ 1928 წლის ბოლოს დასრულდა. სახლი, რომელიც ახლა „ვითგენშტაინების სახლის“ სახელითაა ცნობილი, კარგად გამოხატავს თვითონ ლუდვიგის პიროვნულ თვისებებს¹⁰. დიდი სიზუსტით დამზადებული ყოველი დეტალი, რომლის ერთადერთი მიზანია თითქოს თვითონ დეტალის არსის ჩვენება, და არა მათი ფუნქციური გამოყენება, რადგან, სხვათა შორის, ამ სახლში მაცხოვრებელთა კომფორტი სულაც არ არის გათვალისწინებული. ფორმები სადაა, სწორხაზოვანი და ღრმა შინაარსით დატვირთული, ცაში აჭრილი კუბი იდუმალ, თითქმის საკრალურ, შთაბეჭდილებას ტოვებს, იმდენად, რომ ხშირად ამ სახლს „კათედრალს“ ადარებენ¹¹. სახლი კუბისტურ ნახატს მოგვაგონებს, სადაც ფორმების უჩვეულო შეხამებამ, საგნის აქამდე დაფარული არსი უნდა გამოაშკარავოს.

მშენებლობის პროცესში ვითგენშტაინი დაუახლოვდა ვენის ფილოსოფიური წრის, ე.წ. „ვენის წრის“, წარმომადგენლებს – ფრიდრიხ ვაისმანს, რუდოლფ კარნაპს, მორიტც შლიცსა და სხვებს. ტრაქტატმა გამოცემისთანავე მიიქცია აღნიშნული წრის ყურადღება და ბუნებრივად აღწერა სურვილი გაეცნოთ ამ ტრაქტატის ავტორი. ჯერ კიდევ 1924 წლის 25 დეკემბერს შლიცმა მიწერა ვითგენშტაინს: „თქვენი *tractatus logico-philosophicus*-ით აღფრთოვანებული, დიდი ხანია განზრა-

¹⁰ Schreier, A. Claus: Wittgensteins Kristall. Ein Satzkommentar zur 'Logisch-philosophischen Abhandlung', Alber Verlag, 1991

¹¹ Schulte, J.; Wittgenstein. Eine Einführung; Reclam, Stuttgart, 2006, S.17

ხული მაქვს, თქვენთან დაკავშირება [...] ფილოსოფიის ინსტიტუტში ზამთრის სემესტრში რეგულარულად ვიკრიბებით ჩემი კოლეგები და ნიჭიერი სტუდენტები, რომლებიც დანიტერესებულები არიან ლოგიკისა და მათემატიკის საფუძვლებით, და ამ წრეში თქვენი სახელი ხშირად ისმის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემმა კოლეგამ, მათემატიკის პროფესორმა, რაიდემასტერმა თქვენ ნაშრომთან დაკავშირებით, აღწერილობითი მოხსენება წაიკითხა, რომელმაც ჩვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ანუ აქ არის თავშეყრილი მთელი რიგი ადამიანები, და მეც ჩემ თავს მათ ვაკუთვნებ, რომლებიც თქვენი მოსაზრებების მნიშვნელობასა და სისწორეში დარწმუნებულნი არიან, და ცხოველი სურვილი აქვთ, მონაწილეობა მიიღონ თქვენი მოსაზრებების გავრცელებაში. [...] განსაკუთრებულად მოხარული ვიქნებოდი, თუკი მომეცემოდა თქვენი პირადად გაცნობის შესაძლებლობა”¹². ამავე წერილში შლიკი თხოვს ვითგენშტაინს ტრაქტატის ასლის გადმოგზავნას. საპასუხო წერილში ვითგენშტაინი აღნიშნავს, რომ მას არა აქვს ტრაქტატის ასლი. ეს გასაკვირი არაა, რადგან ამ პერიოდში ვითგენშტაინი ერთდებდა ფილოსოფიასა და ლოგიკასთან ყველანაირ კავშირს. შემდეგაც, უკვე „ვითგენშტაინების სახლის“ მშენებლობის დროს, როდესაც შლიკმა, ლუდვიგის დის, მარგარეტ სტენბოროუს დახმარებით, რომელიც კარგად იყო ცნობილი ვენის ინტელექტუალურ წრეებში, როგორც იქნა პირადად გაიცნო ვითგენშტაინი, ლუდვიგი გაურბის ფილოსოფიის საკითხებზე ლაპარაკს. 1927 წლის 19 თებერვლით დათარიღებულ წერილში მარგარეტი უბოდიშებს შლიკს, რომ „ის (ლუდვიგი – ი.მ.) თვლის, რომ მას ჯერ არ შეუძლია ლოგიკურ პრობლემებზე კონცენტრირება. და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ბევრ ადამიანთან ერთად ასეთ საკითხებზე მსჯელობა. თქვენთან, მორტოკას, პატივცემულო პროფესორო, მას შესაძლებლად მიაჩნია ასეთ საკითხებზე მსჯელობა, ამასთან ერთად, კიდევაც გამოჩნდება, როგორც ის ამბობს, თუ რამდენად ძალუძს დახმარება გაგნითო თქვენთვის საინტერესო საკითხებში.“¹³ შლიკთან რამდენიმე საუბრის შემდეგ ვითგენშტაინი დათანხმდა ვენის წრის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. თუკი აქამდე ვითგენშტაინი ფილოსოფიაზე ლაპარაკს თავს არიდებდა, 1928 წლისთვის მას, თითქმის

¹² Wittgenstein L.: Werkausgabe Band II, S. 13

¹³ იქვე, S. 14

10-წლიანი პაუზის შემდგომ, კვლავ გაუღვივდა ინტერესი ფილოსოფიის მიმართ. ის დაესწრო რამდენიმე საჯარო ლექციას, ჩაერთო დისკუსიებში, მონაწილეობა მიიღო ვენის წრის შეკრებებში.

1929 წლის დასაწყისში ვითგენშტაინი კემბრიჯში დაბრუნდა და იმავე წლის ივნისში დაიცვა დისერტაცია – სადისერტაციო ნაშრომად მან ტრაქტატი წარადგინა. რასელი, რამზეი, მორი ყველანაირად ესმარებოდნენ ვითგენშტაინს – მას თავდაპირველად სტიპენდია დაენიშნა, ხოლო სულ მალევე, ვითგენშტაინმა დაიწყო ტრინიტი კოლეჯში ლექციების კითხვა. საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება ვადიანი იყო, და მისი გაგრძელება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ასე მაგალითად, 1930 წელს რასელმა ვითგენშტაინისათვის ხელშეკრულების გაგრძელების თხოვნას, დაურთო ვითგენშტაინის ჩანაწერები. რასელის აზრით, ვითგენშტაინს უნდა ჰქონოდა საშუალება დაესრულებინა თავისი მუშაობა, რაშიც მას უნივერსიტეტთან დადებულ ისელშეკრულების გაგრძელება დაეხმარებოდა. ეს ჩანაწერები, რომლებიც დღეს „ფილოსოფიური შენიშვნების“ (Philosophische Bemerkungen) სახელწოდებითაა გამოცემული, კარგად აჩვენებს თუ რა საკითხებით იყო დაკავებული ვითგენშტაინი ინგლისში ყოფნის პირველი წლების განმავლობაში. თუმცა წიგნის ფორმა ვითგენშტაინმა ამ ჩანაწებს ვერ მისცა და ისინი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. აქვე უნდა ითქვას, რომ ტრაქტატის გარდა ვითგენშტაინმა ვერ შესძლო ვერც ერთი წიგნის დასრულება და გამოცემა, ამდენად ყველა წიგნი, რომელიც დღეს ვითგენშტაინის ავტორობითაა ცნობილი, რედაქტორების განსაკუთრებულად რთული შრომის შედეგს წარმოადგენს. მართლაც, ვითგენშტაინის ნაშრომების დამუშავება და გამოცემა არ არის იოლი საქმე, რადგან თითქმის 30 000 გვერდიანი დანატოვარი ხშირად ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა წლებში გაკეთებულ ორ ან მეტ ალტერნატიულ ჩანაწერს შეიცავს, ხშიარია გამეორებები, აზრის ხტომა. რედაქტორებს ამ ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება უწევთ, გადანწყვტილების მიღება, თუ რომელი ნაწილი უნდა ჩაერთოს ამა თუ იმ წიგნში, და რომელი არა. ამდენად წიგნის საბოლოო სახე გარკვეულწილად რედაქტორის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

საყურადღებოა ვითგენშტაინის მიერ ლექციების კითხვის მანერაც. მისი ერთ-ერთი სტუდენტი, ნორმან მალქოლმი, იხსენებს „მთაღად სწორი არ არის, ამ შეხვედრებს ლექციები ვუნოდოთ, თუმცა ვითგენშტაინი ასე კი უნოდებდა მათ. ხანდახან ის სრულებით ახალ გამოკვლევას წამოიწყებდა. ისე ფიქრობდა ახალ პრობლემაზე, თითქოს სრულებით მარტო ყოფილიყო. ხანდახან ამას ცხარე დისკუსია ერთვოდა თან. ჩვეულებრივ ვითგენშტაინი რომელიმე დამსწრეთაგან შეკითხვით მიმართავდა და შემდეგ მის პასუხს გაჰყვებოდა. ხშირად სემინარები ასეთი დიალოგებისგან შედგებოდა. მაგრამ, ხანდახან, როდესაც ის საკუთარი თავიდან აზრის გამოწურვას (*herauspressen*) ცდილობდა, ხელის მკვეთრი მოძრაობით გვიკრძალავდა რაიმე შეკითხვის დასმასა თუ შენიშვნის გაკეთებას. ასეთ დროს, ხშირი იყო ხანგრძლივი პაუზები, რომლის დროსაც ვითგენშტაინი ღიღინებდა, როდესაც ყველანი ხმისამოუღებლად ყურადღებით ვუგდებდით ყურს. სწორედ ამ სიჩუმის დროს იყო ვითგენშტაინი განსაკუთრებულად დაძაბული და აქტიური. გამოსედევა კონცენტრირებული, სახე სიცოცხლით სახესე, ხელებით უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა, გამომეტყველება მკაცრი ჰქონდა“.¹⁴ ლექციების ჩატარების ასეთი სტილის მიუხედავად, ანდა სწორედ ამიტომაც, ვითგენშტაინი სტუდენტებზე დიდ გავლენას ახდენდა. ბევრმა მათგანმა ვითგენშტაინის მანერები, ფესტიკა, მოძრაობებიც კი გადაიღო.¹⁵

მალკოლმის ამ ცნობაში საგულისხმოა ის მომენტი, რომ ფიქრისას ვითგენშტაინი ხშირად ღიღინებდა. ალბათ ღირს ამ საკითხე ჩვენს ყურადღების ცოტახნით გამახვილება, რადგან ცალკე აღსანიშნავია მუსიკის როლი ვითგენშტაინის ცხოვრებაში. 1949 წელს, მის წიგნზე, „ფილოსოფიური ძიებანზე“ (*Philosophische Untersuchungen*) ლაპარაკისას ვითგენშტაინი აღნიშნავდა „შუქდებელია, ჩემ წიგნში ერთი სიტყვა მაინც ვთქვა ყველაფერ იმაზე, რასაც მუსიკა ნიშნავდა ჩემ ცხოვრებაში. როგორ შეიძლება ვიმედოვნო რომ გამიგებენ?“¹⁶. თუმცა ვითგენშ-

¹⁴ Malcolm, Norman: *Erinnerungen an Wittgenstein*. dt. von C.Frank und J.Schulte. Frankfurt, 1987, S.42 f.

¹⁵ Pascal, Fania: *Meine Erinnerungen an Ludwig Wittgenstein*, in: Rhees (Hrsg): *Porträts und Gespräche* S.35-83; Dt. von J.Schulte, Frankfurt 1987; S. 50.

¹⁶ Drury, M.O'C.: *Gespräche mit Wittgenstein*. In: Rhees (Hrsg): *Porträts und Gespräche*. S.142-235. S.220

ტიანის უფროსი ძმა, ჰანსი, ვუნდერკინდ პიანისტად ითვლებოდა, ხოლო პოლი, პროფესიონალ პიანისტად მუშაობდა, თვითონ ლუდვიგი ბავშვობაში არც ერთ მუსიკალურ საკრავზე არ უკრავდა, თუმცა ძალიან კარგად ერკვეოდა მუსიკაში, პროფესიონალურად არჩევდა ცალკეულ ნაწარმოებებს. ერთხელ, ერთ-ერთ მეგობარს ლუდვიგმა ურჩია, რომ მუზეუმში ყოფნისას მხოლოდ ერთ ნახატს დააკვირდეს, ერთს მაგრამ საფუძვლიანად. ზუსტად ასევე იქცეოდა ის თვითონ მუსიკასთან მიმართებაში, ერთი და იმავე ნაწარმოებს ლუდვიგი მრავალჯერ ისმენდა, ყოველ დეტალს ცალკე სწავლობდა და არჩევდა. ასე, ჯერ კიდევ, ბერლინში სწავლისას მან „მაისტერზინგერი“ ოცდაათჯერ (30!) მოისმინა. მეგობრები იხსენებდნენ ლუდვიგის გასაოცარ უნარს სტვენით ზედმინეწით ზუსტად გადმოცემა მუსიკალური ნაწარმოებები. სტვენის დახმარებით უხსნიდა ლუდვიგი თავის მრავალრიცხოვან ნაცნობ მუსიკოსებს, ცალკეული მუსიკალური ნაწარმოებების ხარვეზებსა თუ ღირსებებს. ტრაქტატის აგებულებას, მის ნუმერაციას, ბევრი მკვლევარი პარტიტურას ადარებს, სადაც ცალკეული დებულებების ნომერს ნოტების ჩაწერის ფუნქცია ეკისრება. არგუმენტაციის ნაკადი-სიმფონია, თითქოს მუსიკალურ ნოტებად არის დანაწევრებული, რომლის დროსაც ტემპი, აქცენტები მკაფიოდაა გამოხატული, ძირითადი აზრი-მოტივი მუდამ სხვადასხვა ვარიაციით მეორდება, მყარდება, გამოიკვეთება და მკითხველის-მსმენელის წარმოსახვაში ადგილს იკავებს.

ინგლისში დაბრუნების შემდეგ ვითგენშტაინმა აქტიურად დაიწყო მუშაობა, თითქმის ყოველ დღე წერდა, ამუშავებდა უკვე დაწერილს, ხელნაწერებს საბეჭდ მანქანაზე აკრეფინებდა, მერე კვლავ ცვლიდა ტექსტს. ამ პერიოდის (1933-1936) მრავალი ტექსტი სტუდენტების მეორ იქნა ჩაწერილი და 1958 წელს გამოიცა „ლურჯი“ და „ყავისფერი ნიღბების“ სახელწოდებით. გამუდმებით ახალ-ახალი იდეებით, ინტერესთა ახალი სფეროებით გართულ ვითგენშტაინს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უჭირდა საქმის – რომელიმე ერთი ტექსტის – ბოლომდე მიყვანა.

1935 წელს ვითგენშტაინი რამდენიმე კვირით საბჭოთა კავშირში გაემგზავრა. ჯერ კიდევ ყრმობიდან ვითგენშტაინი აღფროვანებული იყო რუსული ლიტერატურით, პირველ რიგში დოსტოვესკისა და ტოლსტოის ნაწერებით. პირველი მსო-

ფლიო ომის დროს მას „კაცს სახარებით“ უწოდებდნენ¹⁷, რადგან მუდამ თან დაჰქონდა ტოლსტოის სახარების კომენტარები. განსაკუთრებით უყვარდა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“. მაგრამ უკრიტიკო არ იყო თავისი კუშირების მიმართ, რადგან ცალსახად არ მონონდა ტოლსტოის „აღდგომა“. (შდრ. წერილი მაღლოლის მიმართ, 20.09.1945). ვითგენშტაინი ამ ნაწარმოებს ზედაპირულად მიიწინედა. როგორც ჩანს ვითგენშტაინს, ისევე როგორც იმ პერიოდის ბევრ ხელოვანს, რუსეთის შესახებ ნარმოდგენა სწორედ რომ დიდი მწერლების შემოქმედების გავლენით ჩამოუყალიბდა. გარდა ამისა, ის აღფროვანებული იყო, იმ თვისებებით, რომელსაც რუს ხალხს მიაწერდა (მორწმუნეობა, ტრადიციების დაცვა, პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოხატული სულიერება). ვითგენშტაინის ინტერესი რუსეთის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მან საგანგებოდ შეისწავლა რუსული ენა და მეტიც, არ გამორიცხავდა, რომ შესაძლოა საბჭოთა კავშირში გადასულიყო სამუშაოდ. ვითგენშტაინის რუსულის მასწავლებელი ფანია პასკალი წერს „მისი რუსეთის განცდა უფრო მეტად ტოლსტოის ზნეობრივი მოძღვრებითა და დოსტოევსკის მიერ ადამიანის სულის ხედვით იყო განპირობებული, ვიდრე რაიმე პოლიტიკური თუ სოციალური საკითხებით. მართალია არც ამ საკითხების მიმართ იყო ის გულგრილი, მაგრამ განსჯის მაშტაბად ის ზემოხსენებულ ზნეობრივ მოძღვრებასა და ფსიქოლოგიურ ნიადაგებს იყენებდა“¹⁸. პასკალის ცნობით, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ვითგენშტაინმა საბოლოოდ თქვა უარი საბჭოთა კავშირში ცხოვრების იდეაზე, თუმცა რუსეთის მიმართ დიდი სიმპათია მაინც შეინარჩუნა.

1936 წელს საბოლოოდ დასრულდა ვითგენშტაინის ხელშეკრულება ტრინიტის კოლეჯთან. ვითგენშტაინი კვლავ ნორვეგიაში გაემგზავრა, სადაც მარტოობაში განაგრძო მუშაობა. მისი მიზანი იყო მოენესრიგებინა თავისი ნაწერები და წიგნად შეეკრა. მართლაც, 1937 წლის ბოლომდე ვითგენშტაინი ნორვეგიაში დარჩა, იქ დაწერა ის (ყოველ შემთხვევაში, დიდი ნაწილი იმისა) რაც დღეს „ფილოსოფიური ძიებანი“ სახელითაა ცნობილი. ვითგენშტაინმა შეისწავლო ნორვეგიული და

¹⁷ Joachim Schulte; Wittgenstein. Eine Einführung; Reclam, Stuttgart, 2006, S.14

¹⁸ Pascal Fania; meine Erinnerungen an Ludwig Wittgenstein, in: Rhees (Hrsg) : Porträts und Gespräche S.35-83; Dt. von J.Schulte .Frankfurt 1987; S. 77

გატაცებით კითხულობდა იბსენსა და ბიორნსონს. მაგრამ წიგნის ან უფრო სწორად იქნებოდა გვეთქვა, წიგნების, დასრულება ვითგენშტაინმა აქაც ვერ შესძლო.

1938 წელს ვითგენშტაინი ინგლისში დაბრუნდა. გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსის შემდეგ, ის არჩევანის წინაშე დადგა, მიეღო ან ბრიტანეთის და ან გერმანიის მოქალაქეობა. არჩევანი საკმაოდ მძიმე იყო, ვითგენშტაინს გერმანულ და გერმანულენოვან კულტურულ სამყაროსთან ბევრი საერთო ჰქონდა, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ნაციონალ-სოციალისტების პოლიტიკის მკვეთრად გამოხატული მონინალმდეგე იყო. ასე რომ, რადგან გერმანელობა მისთვის „გულისამრევი“ (წერილი კეინის მიამრთ, 18.03.1938) იყო, ვითგენშტაინმა ბრიტანეთის მოქალაქეობა არჩია. ამავე დროს გათავისუფლდა კემბრიჯის უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრის გამგის თანამდებობა, რომელიც იქამდე მორს ეკავა, და ვითგენშტაინმა ვაკანსიის დასაკავებლად კონკურსში მიიღო მონაწილეობა. 1939 წლის თებერვალში ვითგენშტაინი ამ კათედრის გამგედ დაინიშნა.

როგორც ჩანს, ვითგენშტაინს ამ თანამდებობის მოპოვება თავისი სტატუსისა და მომავლის გასამტკიცებლად ესაჭიროებოდა, რადგან მუშაობის პირველი დღიდანვე ძალიან ზერელედ მოეკიდა თავის მოვალეობებს. ამას მეორე მსოფლიო ომის დაწყებაც დაერთო თან, და ახლადარჩეული პროფესორი უნივერსიტეტში იშვითი შესახვედრი გახდა. ვითგენშტაინი ჯერ ლონდონის ერთ-ერთ ჰოსპიტალში ჩაენერა დამხმარედ, შემდეგ მონაწილეობა მიიღო ნიუკასლის ფსიქოლოგიურ კვლევით ჯგუფში, რომელიც ასევე ფრონტის ინტერესებისთვის მუშაობდა. ომის განმავლობაში ვითგენშტაინი იშვიათად ბრუნდებოდა კემბრიჯში, ლექციების ნასაკითხად.

ომის დასრულების შემდეგ, ვითგენშტაინი იძულებული გახდა დაბრუნებოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თუმცა მალევე იგრძნო, რომ მას დაკისრებული მოვალეობების შესრულება არ აინტერესებს და შეიძლება არც შეუძლია. იმ დროისათვის ვითგენშტაინს მთავარი მიზანი წიგნის დასრულება იყო. 1947 წლის მალქოლმის მისამართით დაწერილ წერილში ის წერს „მინდა სადმე მარტო ვიყო და ვცადო წერა, რომ წიგნის ნაწილი მაინც გამოსაქვეყნებლად მზად ვაქციო. ამ-

ას ვერსადოეს შევძლებ თუკი კემბრიჯში ვასწავლი. ასე მგონია, რომ წერის გარდა, ატმოსფერო მესაჭიროება, რომ მარტოკამ ვიფიქრო, ისე, რომ არ ვიყო იძულებული ვინმეს ველაპარაკო.“ ვითგენშტაინი უკმაყოფილოა სტუდენტებითაც, თვლის რომ მათ მისი არ ესმით, მათი სწავლება დროის ფუჭი ხარჯვაა. მორის მიმართ დაწერილ წერილში (18.02.1947) ის წერს „ლირს კი, ჩემი ძალების მოკრეფა, რომ ვასწავლო მათ, რომელთა დიდ უმრავლესობას ისედაც არა აქვს სწავლის უნარი“. 1947 წლის 31 დეკემბერს, საახალწლოდ, ვითგენშტაინმა თავს საჩუქარი გაუშუქა, მან ოფიციალურად დატოვა კათედრის გამგის თანამდებობა.

მომდევნო წლებში ვითგენშტაინი ბევრს მოგზაურობდა: ირლანდიაში, შეერთებულ შტატებში, ბევრს წერდა, მაგრამ წიგნს საბოლოო სახე მანც ვერა და ვერ მისცა. ის შექიფებული იყო „ფილოსოფიური ძიებანის“ მეორე ნაწილს, მუშაობდა ფსიქოლოგიის ფილოსოფიის საკითხებზე. 1949 წელს ვითგენშტაინს პროსტატიტის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ავადმყოფობის მიუხედავად, ის კვლავ ბევრს მოგზაურობდა, ავსტრიასა და ნორვეგიაში.

ცხოვრების უკანსკნელ თვეებში ვითგენშტაინმა კატეგორიულად თქვა უარი საავადმყოფოში დაწოლაზე, და ის კემბრიჯილმა ექიმმა, ბევანმა, 1951 წლის თებერვალიდან საკუთარ სახლში მიიწვია. სწორედ ბევანის სახლის ქერ ქვეშ გაატარა ვითგენშტაინმა უკანსკნელი თვეები. ის გარდაიცვალა 1951 წლის 29 აპრილს. ქალბატონი ბევანის ცნობით¹⁹, რომლიც მის გვერდით იყო იმ ღამეს, ვითგენშტაინის უკანსკნელი სიტყვები ყოფილა „მათ გადაეცით, რომ მე შესანიშნავი ცხოვრება მქონდა.“

¹⁹ Joachim Schulte; Wittgenstein. Eine Einführung; Reclam, Stuttgart, 2006, S.25

ILLUMINATI.GE

ვითგენშტაინის Tractatus Logico-Philosophicus

მოკლე კომენტარი

„დაიბ, ჩემი სამუშაო ლოგიკის
საფუძვლებიდან სამყაროს არსს გადანვდა“²⁰

ტრაქტატის შესავალში ვითგენშტაინი აფრთხილებს მკითხველს, რომ მისი ნაშრომი არ არის „სახელმძღვანელო“. ტრაქტატის მიზანია პასუხი გასცეს ფილოსოფიის ფუნდამენტურ საკითხებს. ფილოსოფიის ერთ-ერთ ასეთ ძირეულ საკითხს აზროვნების რაობა წარმოადგენს. ვითგენშტაინიც ტრაქტატის მიზნად სწორედ აზროვნების საზღვრის დადგენას ასახელებს. შესაბამისად, ტრაქტატი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც აზროვნების კრიტიკა. კანტის მსგავსად, ვითგენშტაინი ადამიანის შემეცნებას საზღვრების ჩვენება სურს, მაგრამ კანტისგან განსხვავებით, მისი გამოკვლევა მისტიკის განხილვითა და დუმილით სრულდება, რაც მართლაც არ არის დამახასიათებელი სახელმძღვანელოსთვის.

ვითგენშტაინის აზრით, ფილოსოფიის ძირეულ პრობლემების გადაჭრა ბევრი არაფრის მომცემია. ავტორის ასეთი შეფასება, ყველაზე ცოტა უცნაურია, თუკი ფილოსოფიის პრობლემები გადაჭრილია, მაგრამ ამით არაფერი ითქვა, შეგვიძლია ეჭვი შეგვებაროს ამ პრობლემების ღირებულებასა და მნიშვნელობაშიც, და ასევე ამ პრობლემების გადაჭრის მეთოდოლოგიაშიც. გაგუგებარიც კია, თუ რა საჭირო იყო ამ ტექსტის ან დაწერა ან რისი მომცემია მისი წაკითხვა.

თუმცა ტრაქტატის შესავალი სხვანაირადაც შეიძლება აღვიქვათ: ფილოსოფიური პრობლემები გადაჭრადაი, ტრაქტატი იძლევა მათი გადაჭრის რეცეპტს. დასმულ

²⁰ Tagebuch 2.8.1916 Werkausgabe Band I, S. 174

შეკითხვებზე პასუხის პოვნა ყველას შეუძლია, მაგრამ მიღებული პასუხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულია, მისი სხვისთვის გაზიარება შეუძლებელია და შესაბამისად ის ღირებულია მხოლოდ ცალკეული ინდივიდისათვის. მაშინ უფრო გასაგები ხდება შესავლის პასაჟი, რომ „*ამ წიგნში გამოთქმულ აზრებს, ალბათ, მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თავადაც დაფიქრებულა ასეთ ან მსგავს საკითხებზე*“. ასეთი გააზრებით, ტრაქტატის მიზანია დაეხმაროს მკითხველს იპოვოს პასუხი, რომელსაც ის ისედაც ეძებს. ეს პასუხი ყველასთვის ინდივიდუალურია, ის არ-შედარებითია და არ-გაზიარებითია, რადგან ფილოსოფიური პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში, პასუხი გამოუთქმელი რჩება. .. *ფილოსოფიის მართებული მეთოდი იქნებოდა: არაფრის თქმა, გარდა იმისა, რისი თქმაც შეიძლება, შესაბამისად, გარდა საბუნებისმეტყველო წინადადებებისა – ანუ იმისი, რასაც ფილოსოფიასთან არაფერი აქვს საერთო*“ (6.53).

აქედან გამომდინარე, თუკი ტრაქტატის მართებული აღქმა სუბიექტურია, მაშინ ტრაქტატის ყველა კომენტარიც სუბიექტურია (და ვითგენშაიტნის აზრით, თანაც ფუჭი გარჯა, რადგან შეუძლებელია იმის გამოხატვა, რაც გამოუხატავია). ყველა კომენტარი ტექსტის ინტერპრეტაციის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტთაგანია, რომელსაც არანაირი პრეტენზიაც არ შეიძლება ჰქონდეს მართებულებაზე, რადგან „*ის, რაც საერთოდ შეიძლება ითქვას, შეიძლება მკაფიოდ ითქვას, ხოლო იმაზე, რაზეც შეუძლებელია ლაპარაკი, დუმილი გემართება*“.

სამყაროს მოდელი

„დიდი პრობლემა, რომლის გარშემოც ყველაფერი ტრიალებს და რომლის შესახებაც ვწერ, არის *a priori*, სამყაროს ნესრიგი, და თუ ასეა, რა ში მდგომარეობს ის?“²¹

ტრაქტატი იკვლევს იმას, თუ როგორია, ერთი მხრივ, წინადადების – ადამიანის ბუნებრივი ენის – ლოგიკური ფორმა და, მეორე მხრივ, როგორ აღწერს ეს წინადადებები არსებულ სინამდვილეს. შესაბამისად, ტრაქტატი ცდილობს უპასუხოთ ორ შეითხვას: როგორია სამყარო და როგორი ურთიერთკავშირი არსებობს სამყაროსა და ენას შორის.

როგორ არის აგებული სამყარო? ეს არის ტრაქტატის ერთ-ერთი ცენტრალური შეკითხვა. ვითგნშტაინის პასუხია, რომ სამყაროა ის, რაც მოცემულია. (1. *სამყარო არის ყველაფერი ის, რაც მოცემულია*) მაგრამ, რა არის კერძოდ მოცემული? სამყაროში მოცემულია, მაგალითად, მაგიდა, რომელსაც ახლა ვუზივარ, მოცემულია ყველა ის ნივთი, რომელსაც გარშემო ვხედავ, სამყაროში მოცემულია ის, რომ მძლოლმა შუქნიშნის წითელ შუქზე უნდა გააჩეროს მანქანა, შესაბამისად, მოცემულია, მანქანაც, შუქნიშანიც, მძლოლიც და საკუთრივ წითელი ფერიც, მოცემულია, რომ ამ წესის დარღვევა ისჯება კანონით, მოცემულია ასევე ინერციის კანონი, ამიტომ მძლოლმა მანქანის ტარებისას მუდამ გარკვეული დისტანცია უნდა შეინარჩუნოს, მოცემულია, რომ წყალი დაბალ ტემპერატურაზე ყინულად გადაიქცევა, მოცემულია, რომ 1492 წელს კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, მოცემულია რომ რომელს უყვარდა ჯულიეტა, მოცემულია ტარიელის გამიჯნულების ამბავი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მოცემულია ნივთები და ცოცხალი არსებები, მოცემულია ბუნების კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების წესები, მოცემულია ციფრები და გრძნობები, მოცემულია ნაწარმოებები და სიმფონიები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. სწორედ მათი ერთობლიობა ქმნის სამყაროს.

²¹ Tagebuch 1.6.1915 Werkausgabe Band I, S. 145

ვითგენშტაინი ამას ყველაფერს ფაქტებს უწოდებს. (1.1. სამყარო არის ფაქტების ერთობლიობა, და არა საგნების) ვითგენშტაინის ეს დებულება თითქოს და ხაზგასმით უარყოფს სამყაროს აღქმის ჩვეულ, ასე ვთქვათ, ყოფით განცდას, რომელიც გვარკნახობს, რომ სწორედ საგნები (ნივთები, ობიექტები) ქმნის სამყაროს. კი მაგრამ რა არის ფაქტი? ვითგენშტაინი განმარტავს, რომ ფაქტი არის ის რაც მოცემულია და თანაც რაც წარმოადგენს გარემოებას (2. ის რაც მოცემულია, ფაქტი, არის გარემოებების არსებობა). გარემოება (Sachverhalt). თავის მხრივ, ახსნილია, როგორც ობიექტთა²² კონფიგურაცია (2.0272 ობიექტთა კონფიგურაცია ქმნის გარემოებას), (შდრ 2.01.). თავის მხრივ, ობიექტთა „კონფიგურაცია“ ქმნის გარემოებას, რომელიც არის ფაქტი და რომელთა ერთობლიობა (ყველა ფაქტი) ქმნის სამყაროს. შესაბამისად, ტრაქტატის მიხედვით, სამყაროს მოდელი ერთგვარი ჯაჭვის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ობიექტი (საგანი, ნივთი) → გარემოება → ფაქტი → სამყარო

საკითხავია ის, თუ რამ განაპირობა ობიექტებსა და სამყაროს შორის შუალედური რგოლების – ფაქტი/გარემოება – შემოყვანის აუცილებლობა?

თუკი ზემოთხსენილ მაგალითებს დავაკვირდებით, ადვილი დასანახია, რომ ყველაფერ იმას, რაც მოცემულია, გარკვეული თვისებები აქვს, (მაგდას – ფერი, ფორმა, სიმკვრივე, ასევე იმის შესაძლებლობა, რომ მას მიუჯდეს ან მასზე სხვა ობიექტები დადო და ა.შ. და ა.შ.) ობიექტის ყველა თვისების დასახელება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ყველა იმ გარემოების დასახელება, რომელშიც ეს ობიექტი რეალურად გვხვდება ან შეიძლება შეგვხდეს. ვითგენშტაინისეული სამყაროს მოდელისათვის არსებითია ის, რომ ყველა ეს შესაძლებლობა a priori მოცემულია ობიექტის თვისებებში და ჩვენ ამ ობიექტს, მისი თვისებების გარეშე, ვერ მოვიაზრებთ. „მაგიდა“ გარკვეულ, კონკრეტულ, გარემოებაში გვხვდება მაგრამ ის გარკვეულ, სხვა გარემოებაშიც შეიძლება შეგვხდეს. ანუ გვაქვს ობიექტის გააზრების ორი შესაძლებლობა – ობიექტი, რომელიც გარკვეულ გარემოებაში – რეალობაში – არის მოცემული, და ალტერნატიული გარემოება, რომელშიც ობიექტი

²² ობიექტები, საგნები და ნივთები ტრაქტატში სინონიმებს წარმოადგენს. შდრ. 2.01

ქტი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, არ არის მოცემული, ანუ არ არის რეალიზირებული.

ალტერნატიული გარემოებების ოდენობა *რაოდენობრივად* შეზღუდვადია, თუმცა შეზღუდულია ობიექტის *თვისებებით*. ობიექტი გარკვეულ გარემოებაში არ შეიძლება შეგვხდეს, და ეს შეზღუდვა განპირობებულია ამ ობიექტის თვისებებით. და ყველა ის გარემოება, რომელშიც ობიექტი *შეიძლება* შეგვხდეს, ასევე წინასწარვეა დეტერმინირებული ობიექტის თვისებებით. საგანი თავის თავად არ არსებობს, ის მოცემულია (ან შეიძლება მოცემულ იქნას) მხოლოდ გარკვეულ გარემოებაში (კონფიგურაციაში). შესაბამისად გვაქვს ორი სახის გარემოება, არსებული (მოცემული, რეალური) და შესაძლებელი (არ მოცემული, არარეალიზირებული).

არსებული (მოცემული, რეალური) გარემოება არის ფაქტი, თუკი ვიცით ყველა მოცემული გარემოება, მაშინ ვიცით ყველა ფაქტი, ანუ ვიცით მთელი სამყარო. ასეთი გააზრების შემთხვევაში, გასაგები ხდება დებულება 2.04 (*ყველა მოცემული გარემოების ერთობლიობა არის სამყარო*). შესაბამისად სამყაროს ზემოთ მოყვანილი მოდელი გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის.

ობიექტი { → არსებული გარემოება } → ფაქტი → სამყარო
 { → არ არსებული გარემოება }

განვიხილოთ თითოეული რგოლი.

ობიექტი

(2.02 ობიექტი მარტივია)

ობიექტი წარმოადგენს სამყაროს პირველ საფეხურს, მის სუბსტანციას. (შდრ. 2.021) ვითგენშტაინის მიხედვით, სუბსტანციის არსებობა წარმოადგენს ლოგიკურ აუცილებლობას. (შდრ. 2.0211). ამ აზრის უკეთ წარმოსაჩვენათ შეიძლება შეგვხდეს მეთაფორა მოვიხმოთ: ობიექტები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც და-

ურები, ხოლო სამყარო, როგორც აშენებული შენობა, რომელშიც გამოყენებულია უკლებლივ ყველა აგური. მოცემულ და შესაძლებელ სამყაროს (გარემოებების ერთიანობის) შორისაც განსხვავება სწორედ ისაა, რომ აგურების ერთნაირი რაოდენობით შესაძლებელია (უამრავი) განსხვავებული შენობის აგება. გარკვეული „შემთხვევითობის“ შედეგად ჩვენ მივიღეთ ის შენობა ანუ ის სამყარო, რომელიც გვაქვს. თუმცა ზუსტად ასევე შესაძლებელი იქნებოდა აგურების იგივე რაოდენობით განსხვავებული შენობის (სამყაროს) აგება.

აგურები შენობის სუბსტანციას წარმოადგენს, მის პირველად „საშენ მასალას“. სუბსტანცია დაუნაწევრებელია და ამიტომაც ვითგენშტაინი წერს, რომ „ობიექტები მარტივია“ (2.02) მარტივი ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ობიექტის შემდგომი დანაწევრება შეუძლებელია, ის არ არის (ორი ან მეტი ობიექტისგან) შედგენილი ოდენობა. ერთი შენობა (სამყარო) მეორესგან შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს, მაგრამ მათ შინაც ექნებათ საერთო რამ, ეს არის ის აგურები, რომლებითაც არის ისინი ნაშენი. შესაბამისად, სწორედ აგურებია ის საერთო, რაც ყველა შესაძლო შენობას აერთიანებს. თუკი გვაქვს ყველა აგური, ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ ნებისმიერი და უკლებლივ ყველა შესაძლებელი შენობა. ახლა უფრო გასაგებია დებულება 2.0124. (თუკი მოცემულია ყველა ობიექტი, მაშინ ამით ყველა შესაძლო გარემოებაც არის მოცემული).

ობიექტებისთვის, ჩვენ მეტაფორაში – აგურებისათვის, არსებითია, რომ ისინი შენობის ნაწილს წარმოადგენს. მოცემული დაშვების თანახმად, რომ შენობაში უკლებლივ ყველა აგური აუცილებლად არის გამოყენებული, აგური შენობის გარეთ არ არსებობს, ის აუცილებლად გარკვეულ კონფიგურაციაში, სხვა აგურებთან ურთიერთქმედებაში გვხდება. (2.011. საგნისათვის არსებითია, რომ ის გარემოების ნაწილი შეიძლება იყოს). ანუ აგურის არსებითი თვისებაა იყოს შენობის ნაწილი. შესაბამისად, ობიექტი „მოულოდნელად“ ვერ გახდება რომელიმე გარემოების ნაწილი, გარდა იმ გარემოებებისა, რომელშიც ის, თავისი თვისებების გამო, შეიძლება წარმოჩნდეს. ამდენად, ობიექტის გარემოებებში წარმოჩენა მუდამ ლოგიკურია. (2012. ლოგიკაში არაფერია შემთხვევითი: თუ საგანი შეიძლება

შევიდეს გარემოებაში, მაშინ ამ გარემოების შესაძლებლობა იმთავითვე მოცემულია საგანში).

ამით აიხსნება ობიექტების დამოკიდებულობისა და დამოუკიდებლობის საკითხი. აგური დამოკიდებულია საკუთარ თვისებებზე, იმდენად რომ ის აუცილებლად შენობის ნაწილი უნდა იყოს. სხვაგვარად, ჩვენ მას ვერც კი წარმოვიდგენთ. მაგრამ, აგური დამოუკიდებელია იმდენად, რამდენადაც მან ნებისმიერი ადგილი შეიძლება დაიკავოს შენობის კონსტრუქციაში, ანუ აგური „იძულებულია“ იყოს შენობის ნაწილი, მაგრამ სრულებით შემთხვევითია ის, თუ რომელ კონფიგურაციაში შეგახდება ეს აგური.

კიდევ ერთხელ, იმის ლოგიკურად წინასწარმეტყველება, თუ რომელი გარემოება იქნება სამყაროში რელაურად მოცემული, შეუძლებელია. ლოგიკას არაფერი აქვს საერთო სამყაროს იმ სახესთან, რომელიც არის მოცემული. ჩვენი სამყარო შემთხვევითია, რადგან ჩვენ სხვაგვარი სამყაროც შეიძლება წარმოვიდგინოთ, სადაც ობიექტები სხვაგვარად არის ურთიერთდაკავშირებული. მაგრამ ის, რომ ობიექტები სხვაგვარადაც შეიძლება დაკავშირდეს, სწორედ რომ ლოგიკის სფეროა. ლოგიკას არ შეუძლია კონკრეტული სამყარო იწინასწარმეტყველოს, მაგრამ მას შეუძლია დაადგინოს, რომ აუცილებლად არსებობს კონკრეტული ობიექტები და ის ობიექტები, რომლებიც არსებობს, ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს, და რომ მოცემულია სწორედ ეს ობიექტები ამგვარად და არა სხვანაირად. რა სახის შენობა აიგება ჩვენი აგურებით, ლოგიკამ არ იცის, მაგრამ ლოგიკა გვეარწახობს, რომ შენობა აუცილებლად აიგება, რომელშიც გამოყენებული იქნება უკლებლივ ყველა აგური. და როგორი უცნაური შენობაც არ უნდა ავაგოთ, მისი აგების შესაძლებლობა *a priori* მოცემული იყო აგურების თვისებებში. „მოულოდნელ“ შენობას ვერ ავაგებთ.

ობიექტები მხოლოდ *შესაძლო* გარემოებებში მოგვეცემა, ეს არის მათი დამოკიდებულების ნიშანი. ობიექტები *ყველა* შესაძლო გარემოებაში შეიძლება მოგვეცეს. ეს არის მათი დამოუკიდებლობის ნიშანი.

გარემოება და ფაქტი

(2. ის რაც მოცემულია, ფაქტი, არის გარემოებების არსებობა).


ობიექტები გარემოებებში ერთიანდება. (2.0272). ვითგენშტაინი წერს, რომ ობიექტები გარემოებაში ერთმანეთზე *ჰკიდია*, როგორც „*ჯაჭვის რგოლები*“ (2.03). ეს დებულება პირდაპირი მნიშვნელობით არის გასაგები. გარემოებებში ობიექტები განცალკევებით არ გვხდება, ისინი „*ურთიერთქმედებს გარკვეული ხერხით*“ (2.031). ობიექტები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, და მათი განცალკევება გარემოების გაუქმების ტოლფასია, ისევე როგორც ჯაჭვის რგოლების განცალკევება ჯაჭვის დაშლას ნიშნავს.

ობიექტთა კონფიგურაცია გარემოების სტრუქტურას ქმნის (2.032). ობიექტების ერთმანეთთან დაკავშირების წესს მათი შინაგანი, ინტერნული თვისებები განსაზღვრავს, შესაბამიად ობიექტთა ერთმა და იმავე ოდენობამ განსხვავებული კონფიგურაცია შეიძლება მოგვცეს და შესაბამისად განსხვავებული გარემოებები. ალბათ, სწორედ ეს აზრი იკითხება შემდეგ დებულებაში: *ყველა არსებული გარემოების ერთობლიობა არის სამყარო* (2.04).

არსებობს ორი სახის გარემოება „მოცემული“ ანუ რელაურად არსებული და „შესაძლებელი“. ლოკიკურია, რომ თუკი ვიცით ყველა ობიექტის შინაგანი თვისება, და თუკი ვიცით ყველა „არსებული“ გარემოება, მაშინ ასევე ვიცით, ყველა არარსებული, ანუ ყველა „შესაძლო“ გარემოებაც. გარემოების ასეთი გააზრებისას ნათელი ხდება გარემოებისა და ფაქტის ურთიერთკავშირი.

ტრაქტატის პირველივე დებულება გვამცნობს, რომ სამყარო არის ფაქტების ერთობლიობა. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მოცემული გარემოება“ არის ფაქტი, ხოლო „შესაძლებელი“ გარემოება არ არის ფაქტი, ის, ნეგატიური ფაქტია, ფაქტი მინუს ნიშნით. „ნეგატიური ფაქტის“ განმარტებას იძლევა დებულებები 4.063 და 4.463. ვითგენშტაინის დღიურები კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს ნეგატიური ფაქტის არსს. „ვფიქრობ ნეგატიური ფაქტის წარმოჩენაზე მოდენ-

ლის დახმარებით: ასე თუ ისე ორი მატარებელი ერთ ლიანდაგზე ვერ იდგება. წინადადება, ხატი, მოდელი – ნეგატიური აზრით – არის როგორც მტკიცე სხეული, რომელიც სხვა სხეულის გადაადგილების თავისუფლებას ზღუდავს, – პოზიტიური აზრით – მტკიცე სუბსტანციით შემოფარგლული სივრცე, რომელსაც სხეული იკავებს.



ეს წარმოდგენა ძალიან მკაფიოა და გამოსავლისკენ უნდა მიგვითითებდეს²³.

შესაბამისად, გარემოება იკავებს სივრცეში გარკვეულ ადგილს (ამ სივრცეს ვითგენშტაინი „ლოგიკურ სივრცეს უწოდებს). როდესაც გარემოება მოცემულია, მაშინ ეს სივრცე დაკავებულია. ამით გამოირიცხა ყველა სხვა შესაძლო გარემოება, რომელსაც თეორიულად ამ სივრცის შევსება შეეძლო, მეტიც, რადგან ვიცით არსებული გარემოება, ვიცით ვიცით, რომ სხვა ყველა შესაძლებლობა გამოირიცხა. ისევე როგორც, თუკი ლიანდაგზე მატარებელი უკვე დგას, მეორე მატარებელი იმავე ლიანდაგზე, იმავე დროს, ვეღარ დადგება. შესაბამისად პოზიტიური, დადებითი, არსებული ფაქტები განსაზღვრავს ყველა არარსებულსაც. ხოლო ეს შესაძლო, მაგრამ არარსებული გარემოებები არის ნეგატიური ფაქტები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფაქტი და გარემოება ერთსა და იგივეს აღნიშნავს. ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. განვიხილოთ სამი ასეთი გამონათქვამი.

- (ა) საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.
- (ბ) საქართველოს დედაქალაქი არის საგარეჯო.
- (გ) საქართველოს დედაქალაქი არის მაგია.


²³ Tagebuch 14.11.14. Werkausgabe Band I, S. 119

პირველი წინადადება ჭეშმარიტია, ხოლო დანარჩენი ორი მცდარი. მაგრამ წინადადებები (ბ) და (გ) ხარისხობრივად განსხვავებულ „სიმცდარეს“ ავლენს. ის, რომ სწორედ თბილისია საქართველოს დედაქალაქი და არა სხვა რომელიმე დასახლებული პუნქტი, საბოლოო ჯამში, ისტორიულ შემთხვევითობას წარმოადგენს, რადგან ჩვენ იოლადა შეგვიძლია საქართველოს დედაქალაქად წარმოვიდგინოთ, სიტყვაზე, საგარეჯო, ოზურგეთი და ა.შ. ანუ (ბ) არის შესაძლებელი, მაგრამ მცდარი ფაქტი. (გ) კი არის არა მცდარი ფაქტი, არამედ უბრალოდ საზრისს მოკლებული წინადადება, რადგან მაგიადა, ყოფით გააზრებაში მინც, პრინციპულად ვერ იქნება ქვეყნის დედაქალაქი, ეს მის შინაგან თვისებებს ეწინააღმდეგება.

ტრაქტატს თუკი დაუბრუნდებით, შეგვიძლია სამყაროს შემდეგი მოდელი გამოვსახოთ. სამყაროს სუბსტანციას ქმნის ობიექტები. ობიექტებს არ შეუძლია არ გაერთიანდეს გარემოებებში, მაგრამ მათ შეუძლია გაერთიანდეს *სხვადასხვა* (ნებისმიერ) გარემოებაში. აქედან, გარემოებების ნაწილი საზრისს მოკლებულია და ამდენად მცდარობა-ჭეშმარიტობის სიბრტყის მიღმაა. საზრისს მოკლებული გარემოება ვერც ერთ სამყაროში ვერ განხორციელდება, ამიტომ მას ფსევდოგარემოება მინდა ვუნოდო. ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ ფსევდოგარემოებები [გამონათქვამი (გ)], მაგრამ ისინი რეალიზაციის შესაძლებლობას მოკლებულია და სწორედ ამიტომ არის ისინი საზრისს მოკლებული.

გარემოებების მეორე ნაწილი საზრისის შემცველია, მათი რეალიზება თეორიულად შესაძლებელია, თუმცა, ცხადია, მათი მხოლოდ ნაწილი იკავებს ადგილს სამყაროში ანუ რეალიზდება, ვითგენშტაინის მეტაფორის თანახმად, ლიანდაგზე იკავებს ადგილს [და მათ ფაქტებს ვუნოდებთ - წინადადება (ა)], ხოლო, ის გარემოებები, რომლებიც არ განხორციელდა - არის ნეგატიური ფაქტი. როდესაც ვიცით ყველა ფაქტი, ვიცით ყველა ნეგატიური ფაქტიც, თუკი ვიცით რომ თბილისია საქართველოს დედაქალაქი, ვიცით რომ საგარეჯო, ოზურგეთი და ა.შ. არ არის საქართველოს დედაქალაქი. სამყარო, თავის მხრივ, არის ყველა არსებული ფაქტის ერთობლიობა, ანუ სამყარო გათანაბრებულია სინამდვილესთან, იმ რეალობასთან, რომელიც არის ჩვენ გარშემო, ანუ იმასთან რაც მოცემულია.

სამყარო ასეთ ფორმას იძენს :



ენის თეორია

„ჩემი მთელი ამოცანა ისაა, რომ განვმარტო
წინადადების არსი. რაც ნიშნავს, ყველა ფაქტის
არსის წარმოჩენას, რომელთა ხატიც არის წინადადება“²⁴ „

ტრაქტატში მოცემული ენის თეორია, ერთი მხრივ იკვლევს, თუ როგორ არის შე-
საძლებელი წინადადებების საშუალებით სამყაროს აღწერა, ანუ არსებულის (ფა-
ქტის) გადმოცემა, და მეორე მხრივ, თუ რა ფორმა და სტრუქტურა აქვს ბუნებრივ
ენას. პირველ ამოცანას ჩვენ შეგვიძლია „გამოხატვის თეორია“ ვუწოდოთ, ხოლო
მეორეს – „ჭეშმარიტების თეორია“. პირველი თეორიისათვის არსებითია იმის და-
დგენა, თუ რა აკავშირებს სამყაროსა და წინადადებებს²⁵, ხოლო მეორესათვის,
თუ რა აკავშირებს წინადადებებს ერთმანეთთან.

რადგან სინამდვილე, როგორც ასეთი, მოცემულია და ის მოცემულია ლოგიკურად
(ჩვენი მეტაფორის ფარგლებში – აგურები მოცემულია და ისინი, ლოგიკური აუც-
ილებლობის ძალით, ქმნის ერთ მთლიან შენობას), მაშინ, ვითგენშტაინის აზრით,
შესაძლებელია ამ სამყაროს ადეკვატური, ლოგიკური აღწერაც. („კარგეობა მოა-
ზრებადია“ ნიშნავს: შეგვიძლია შევექმნათ მისი ხატი. 3.001). სამყაროს ხატები წი-
ნადადებებით გადმოიცემა. სამყაროს ადეკვატური აღწერა ნიშნავს ისეთი წინა-
დადებების არსებობას, რომლებიც ცალსახად და მართებულად აღწერს სამყარო-
ში მოცემულ თითოეულ ფაქტს. ის, თუ რამდენად ცალსახად აღწერს ეს წინადა-
დებები სამყაროს, არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა წინადადებებზე, რადგან
ასეთ შემთხვევაში, მოჯადოებულ წრეში ვხვდებით: ვერასოდეს დავადგენთ, თუ
რამდენად ცალსახად აღწერს ესა თუ ის წინადადება სამყაროს მოცემულ მონაკვე-
თს, თუკი ამის დასამტკიცებლად სხვა წინადადებას მოვიხმობთ, რომლის მართე-

²⁴ Tagebuch 22.1.1915 Werkausgabe Band I, S. 129

²⁵ გასათვალისწინებელია, რომ ვითგენშტაინი ბუნებრივ ენას როგორც ყველა წინადადების
ერთობლიობას ისე წარმოადგენს (4.001. წინადადებების ერთობლიობა არის ენა).

ბულების დასამტკიცებლად, კიდევ სხვა წინადადებას გამოვიყენებთ და ასე შემდეგ დაუსრულებლად. ვითგენშტაინის თანახმად, წინადადების ადეკვატურობა დამოკიდებული უნდა იყოს არა სხვა წინადადებებზე, არამედ თავად სამყაროზე. ამგვარად ვითგენშტაინის „გამოხატვის თეორია“ სამყაროსა და ენას შორის უშუალო კორესპონდენციის არსებობას გულისხმობს.

ასეთი სახის თეორიები ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ წინადადება მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც მის მიერ პოსტულირებული წინააღმდეგობა მართლაც არსებობს. ასეთ შემთხვევაში წინადადების ჭეშმარიტება არც ჩვენ ემოციებისა და განწყობებზეა დამოკიდებული და არც კონტექსტზე, ისინი, ასე ვთქვათ, *მუდმივად* ჭეშმარიტია. თავისთავად ასეთი მიდგომა ახალი არ არის, ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა „წინადადებები იმდენად ჭეშმარიტია, რამდენადაც მოცემულია საგნები“²⁶. ვითგენშტაინის აზრით, ჭეშმარიტი წინადადება გამოხატავს ფაქტს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მთელი სამყარო აღინერება ჭეშმარიტი წინადადებებით. და შესაბამისად, თუკი თითოეული ფაქტის გამოხატვა შესაძლებელია ჭეშმარიტი წინადადებით, მაშინ მართებულია ისიც, რომ, თუკი მოცემულია ჭეშმარიტი წინადადება, არსებობს მისი შესატყვისი ფაქტიც. მთლიანი სამყარო, სამყაროს სტრუქტურა აირეკლება ენაში და პირიქით, ენის სტრუქტურაში აირეკლება სამყარო.

ენა და სამყარო იზომორფულია. სამყაროს თითოეული ელემენტი ენის სტრუქტურის რომელიმე ელემენტი უნდა შეესაბამებოდეს. ენისა და სამყაროს იზომორფულობა ტრაქტატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეზისად მეჩვენება.

ენა sic წინადადება კომპლექსური მოვლენაა, მაგრამ შესაძლებელია მისი დანაწევრება, შემდგომი ანალიზი. ასეთი ანალიზის მიზანია ენის სტრუქტურის ანუ ისეთი სუბსტანციის დადგენა, რომლის შემდგომი ანალიზი, შემდგომი დანაწევრება შეუძლებელია. თუკი სამყაროს სტრუქტურის აღწერისას, ვითგენშტაინი მიიჩნევდა, რომ ობიექტები ქმნის სამყაროს სუბსტანციას – არა სამყაროს თავად, არამედ

²⁶ Aristoteles, Lehre vom Satz, (De Interpretatione), Hamburg: Meiner, 1974; 9, 19 a 33

მის, ასე ვთქვათ, საშენ მასალას, ენის სტრატურაში ასეთ საშენ მასალად სახელეუბი წარმოგვიდგება.

ენის სუბსტანციას ქმნის სახელები, რადგან მათი შემდგომი დანანევრება შეუძლებელია²⁷. სახელები, ისევე როგორც ობიექტები, გარკვეულ კონფიგურაციაში ერთიანდება, ისინი ერთ აცმას წარმოადგენს (შდრ. 4.22), ისინი ერთმანთს ჯაჭვის რგოლებით უკავშირდება. და, თუკი ობიექტების კონფიგურაცია ქმნის გარემოებებს, რომლებიც შემდგომ, თავის მხრივ, ქმნის ფაქტებს, სახელების კონფიგურაცია ქმნის წინადადებებს.

ვითგენშტაინის ენის თეორიის საკვანძო შეკითხვებიც სწორედ ესაა: როგორ არის დაკავშირებული წინადადება სამყაროსთან? და როგორ არის ურთიერთდაკავშირებული წინადადებები?

²⁷ ენათმეცნიერებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ენის უმცირესი ელემენტია ფონემა. ფონემა არის ენის უმცირესი ელემენტი, რომელსაც არა აქვს საკუთარი მნიშვნელობა, მაგრამ აქვს სიტყვაგანმასხვავებელი ფუნქცია. მაგ. ქართულში მოცემულია სიტყვები „ბალი“ და „ბარი“, შესაბამისად „ლ“ და „რ“ ორი განსხვავებული ფონემა. მაგრამ იგივე „ლ“ და „რ“ იაპონურში ერთ ფონემას წარმოადგენს, რადგან მათ სიტყვაგანმასხვავებელი ფუნქცია არა აქვს. რუსულ ენაში რბილი და მკაფიი „ლ“ ორი სხვადასხვა ფონემაა, შეადარე „yrol“ და „yrols“, ხოლო ქართულში რბილი და მკაფიი „ლ“ ერთი ფონემაა, (უფრო სწორად, ერთი ფონემის ორი ალომორფი, ერთი და იმავე ბგერის რეალიზაციის ორი ვარიანტი). პრინციპი, თუ რატომ სახელებთან (ფონემები კი სხვა ფონემებთან) ურთიერთქმედების შედეგად იძენს. ცალკე აღებული სიტყვა არაფრის მთქმელია (ისევე როგორც ცალკე აღებული ბგერა), მისი მკადრობა/ჭეშმარიტების გადაზომება შეუძლებელია, მხოლოდ სხვა სიტყვებთან ურთიერთქმედებაში ელინდება სიტყვის არსი (მხოლოდ სხვა ბგერებთან შედარების გზით ელინდება ფონემა). ტრაქტატში გამოყენებული მეტაფორა, რომ სიტყვები ჯაჭვის აცმას წარმოადგენს, კარგად გამოხატავს ზემოთყვანილ იდეას, რომ მხოლოდ სხვა სიტყვებთან ურთიერთქმედებაში ელინდება სიტყვის არსი, ისევე როგორც მხოლოდ სხვა ფონემებთან ურთიერთქმედებაში ელინდება ფონემის არსი.

გამოხატვის თეორია

„გაუგებრობა, როგორც ჩანს, სწორედ იმ შეკითხვითაა გამოწვეული, თუ რაში გამოიხატება ალსანიშნისა და აღმნიშვნელის ლოგიკური იდენტობა! და ეს შეკითხვა (კელავაც) არის მთელი ფილოსოფიის საკვანძო პრობლემა“²⁸

ენა ქმნის სამყაროს მოდელს, ქმნის რა მის ხატს, რომელშიც სამყარო აირეკლება. წინადადებები ქმნის ხატებს, რომლებიც ჩვენ გონებაში სამყაროს მოდელს წარმოქმნის. ტრაქტატში ვკითხულობთ: *წინადადება არის სინამდვილის ხატი. წინადადება არის სინამდვილის მოდელი, ისეთი როგორც ის წარმოგვიდგენია.* (4.01) მეტიც, წინადადება მხოლოდ მაშინ გვეუბნება რამეს, როდესაც ის ხატს წარმოადგენს. (4.03) ხატი არ არის წინადადებასთან გაიგივებული, ის მისი ფორმაა. „შეგვიძლია კი ხატი ვუარყოთ? არა. და სწორედ ესაა ხატსა და წინადადებას შორის არსებული განსხვავება. ხატი შეიძლება წინადადებად მოგვეცეს. მაშინ მას კიდევ რაღაც ემატება, რაც იმას ქმნის, რომ ის ახლა რაღაცას ამბობს. მოკლედ: მე შემოიძლია მხოლოდ ის უარყო, არის ხატი [სინამდვილის ი.მ.] შესატყვისი თუ არა, მაგრამ თავად ხატს ვერ უარყოფ“²⁹. ჩვენ შეგვიძლია წინადადების შინაარსი უარყოფთ, მაგრამ თავად წინადადების ფორმას ვერ უარყოფთ. თუ გვაქვს სურათი, ჩვენ შეგვიძლია სურათის შინაარსი უარყოფთ, და დავადგინოთ, რომ ის სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ვერ უარყოფთ სურათს, როგორც ასეთს.

თუკი წინადადება სინამდვილეს გამოხატავს, მაშინ ლოგიკურია, რომ სინამდვილესა და მის გამოხატულებას შორის გარკვეული მსგავსება იყოს, თანაც ეს მსგავსება ლოგიკური უნდა იყოს. (*წინადადება სიტუაციას გვიზიარებს, შესაბამისად ის არსობრივად დაკავშირებული უნდა იყოს სიტუაციასთან. და კავშირი სწორედ ისაა, რომ წინადადება არის სიტუაციის ლოგიკური ხატი.* 4.03) ვითგენშტაინის დღიურებში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „ენის საშუალებით გამოხატვის ლოგი-

²⁸ Tagebuch 3.9.1914 Werkausgabe Band I, S. 90

²⁹ Tagebuch 26.11.1914 Werkausgabe Band I, S. 123

კური თეორია ამბობს – ძალიან ზოგადად: შესაძლებელი რომ იყოს იმის თქმა, რომ წინადადება ქვეშარიტია ან მცდარი – რომ ის სინამდვილეს ემთხვევა ან არა – ამისათვის წინადადებას სინამდვილესთან რაიმე *იდენტური* უნდა ჰქონდეს³⁰. ეს აზრი, ერთი შეხედვით ტრივიალური ჩანს, რადგან წინადადებას, თუკი არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მისი საშუალებით სინამდვილის აღწერა. მაგრამ რა არის ეს *იდენტური*?

იდენტობაზე ლაპრაკისას ვითგენშტაინი გულისხმობს ენისა და სამყაროს *ფორმალურ* მსგავსებას. სამყაროს გარკვეულ ელემენტებს ენაში შესაბამისი შესატყვისები მოეძებნება და პირიქით: ენა შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ ის გამოხატოს რა არსებობს, არამედ ისიც რაც არ არსებობს და ოდენ შესაძლებელია. (რაც შეიძლება მოცემული ყოფილიყო). (*ხატი წარმოადგენს ლოგიკურ სივრცეში არსებულ შესაძლო სიტუაციას. 2.202*). სამყაროსა და ენას შორის არსებული ფორმალური მსგავსება ყველა საფეხურზე ვლინდება – სახელებიდან მოყოლებული კომპლექსური წინადადებით დასრულებული.

სახელეპი

ზემოთ დავინახეთ, რომ სამყაროს სუბსტანციას ობიექტები ქმნის. ობიექტები დაუნაწევრებელი ელემენტებია. მსგავსი, მარტივი ელემენტების არსებობას ვითგენშტაინი ენაშიც ვარაუდობს. „ცხადია, რომ ჩვენ ჩვენი წინადადებების შემადგენელი ნაწილები დეფინიციებით შეიძლება და უნდა დავანაწევროთ, თუკი წინადადების საკუთრივ სტრუქტურას გვინდა მივუახლოვდეთ. *ყოველ შემთხვევაში მოცემულია ანალიზის პროცესი*. და ნუთუ ახლა არ შეიძლება ვიკითხოთ, ოდესმე თუ დასრულდება ეს პროცესი? და თუ კი: რა იქნება მისი დასასრული?? თუკი ქვეშარიტია, რომ ყველა განსაზღვრული ნიშანი *via* თავისი განსაზღვრებით აღნიშნავს, მაშინ დეფინიციების ჯაჭვს დასასრული უნდა ჰქონდეს. დანაწევრებული წინადადება მეტს ამბობს, ვიდრე დაუნაწევრებელი. დანაწევრება წინადადებას უფრო

³⁰ Tagebuch 20.10.1914 Werkausgabe Band I, S. 104

რთულს ხდის ვიდრე ის იყო, მაგრამ ის არ და ვერ გახდება უფრო რთული, ვიდრე ის, რაც მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო. როდესაც წინადადება იმდენადვე რთულია, როგორც მისი მნიშვნელობა. მაშინ ის სრულად არის დანაწევრებული. ჩვენი წინადადებების მნიშვნელობა არ არის უსასრულოდ რთული.^{31*}

დღიურების ამ საკმაოდ ვრცელ ამონარიდში ჩვენთვის რამდენიმე მომენტია საყურადღებო. ანალიზი ვითგენშტაინისთვის ნიშნავს „სირთულისა“ და „მნიშვნელობის“ დაახლოებას, როდესაც ისინი ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ ანალიზი დასრულებულია. ვითგენშტაინი თვლის, რომ წინადადება შემადგენელი ნაწილებისგან შედგება, მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ისინი?

ვითგენშტაინი წერს: „ნებისმიერი საღი გონებისთვის ნათელია, რომ წინადადების „საათი დევს მაგიდაზე“ საზრისი, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე თვითონ წინადადება. ჩვენი ვნის შეთანხმებები განუზომლად რთულია. აზრებში წარმოდგენილად ბევრს ვამატებთ თითოეულ წინადადებას ისეთ რამეს, რაც არ თქმულა^{32*}.³³ „საათი დევს მაგიდაზე“ წინადადების გასაგებად, ჩვენ გვინევს გონებაში დავამატოთ მთელი ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს ქმნის ამ წინადადების მართებულად გაგებას და ეს არის სწორედ წინადადების შემადგენელი ნაწილები, ჩვენ ვიცით თუ რა არის საათი და რა არის მაგიდა, და ასევე ისიც თუ რა არის დედა. ჩვენ ვიცით რა არის „დევეს მაგიდაზე“ და ასევე ისიც, თუ რა არის „საათი დევს“. ჩვენი ცოდნა გულისხმობს, ყველა აღნიშნული სახელების ყველა შესაძლო კონფიგურაციის ცოდნას. წინადადების სრულფასოვანი ანალიზი ნიშნავს ყველა ამ ართქმული მნიშვნელობის გამოშვურებას. როდესაც ვიცით ყველა ის შესაძლებლობა, თუ სად შეიძლება გამოვიყენო სიტყვა, მაშინ ვიცით მისი მნიშვნელობა. წინადადების „საათი დევს მაგიდაზე“ ანალიზი, ნიშნავს ყველა მისი შემადგენელი ნაწილის ანალიზს, შესაბამისად იზრდება ამ წინადადების სირთულე, რომე-

³¹ Tagebuch 9.5.1915 Werkausgabe Band I, S. 137-138

³² Tagebuch 22.6.1915 Werkausgabe Band I, S. 163

³³ იგივე აზრი ვითგენშტაინის დღიურებში რამდენჯერმე გვხვდება. „წინადადება „ეს სავარძელი ყვეისფერია“ ძალიან რთულ რამეს ამბობს, რადგან თუკი გვინდა, ისე გამოვთქვათ ის, რომ არაფერი შეგვეკავიათოს ამ წინადადების მრავალმნიშვნელობის გამო, მაშინ უსასრულოდ გრძელი წინადადების თქმა მოგვიწევს.“ Tagebuch 19.9.1914 Werkausgabe Band I, S. 92

ლიც თავის მაქსიმუმს მიაღწევს მაშინ, როდესაც ყველა შემადგენელი ნაწილი განალიზებული იქნება. სწორედ ამიტომ, როდესაც სირთულე დაემთხვევა მნიშვნელობას, მაშინ დასრულება ანალიზის პროცესი.

აქედან გამომდინარეობს, რომ სახელები იზოლირებულად არაფერს ამბობს³⁴, არამედ მხოლოდ „კონფიგურაციაში“. ტრაქტაში ვკითხულობთ: *არსებობს წინადადების ერთი და მხოლოდ ერთი სრული ანალიზი. (3.25)*. ეს ანალიზი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი, ის ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება. რადგან „წინადადება არ არის სიტყვათა ნაზავი. (იხევე როგორც, მუსიკალური თემა არ არის ბგერების ნაზავი.) წინადადება არტიკულირებულია.“ (3.141).

დღეს ძნელი სათქმელია, იცნობდა თუ არა ვითგენშტაინი ჰუმბოლდტის შრომებს, ყოველ შემთხვევაში, ამის პირდაპირი მინიშნება არ გვაქვს, მაგრამ საყურადღებოა ის კონტექსტი, რომელშიც ვითგენშტაინი იყენებს სიტყვა „არტიკულაცია“. ჰუმბოლდტთან ტერმინი „არტიკულაცია“ ერთ-ერთი ცენტრალური ტერმინია. „არტიკულაცია“ და „არტიკულირებული ბგერა“ აღნიშნავს პირველ ყოვლისა არა ფონეტიკურ მოვლენას, რადგან ჰუმბოლდტი აკუსტიკურად აღქმად ბგერას „გაგონილ ბგერას“ (hörbarer Laut) უწოდებდა, არამედ ბგერითი ნაკადის ფუნქციონალურ დანაწევრებას. არტიკულირებულ ბგერებს აქვთ „მნიშვნელობა (Bedeutsamkeit)“. მნიშვნელობის მქონე არტიკულირებული ბგერა განსხვავდება „ერთი მხრივ ცხოველური ხმისა და, მეორე მხრივ, მუსიკალური ტონისგან“³⁵ არტიკულაცია წარმოადგენს ენის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს ბუნებრივ ენას. მისი დახმარებით შესაძლებელია სამყაროს დანაწევრება, ცალკეული შინაარსების გამოყოფა. ყრუ-მუნჯებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ბგერების გამოთქმა, აქვთ „მეტყველების“ უნარი. „ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ მათში მოცემულია არტიკულაციის უნარი“ ამბობს ჰუმბოლდტი. არ-

³⁴ ვითგენშტაინის დღიურებში ვკითხულობთ: „როგორ შეიძლება იყოს სიტყვა ჭეშმარიტი ან მცდარი? მას არ შეუძლია აზრების გადმოცემა, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამება ან არ შეესაბამება. ის ხომ დანაწევრებული უნდა იყოს. სიტყვა ვერ იქნება ჭეშმარიტი ან მცდარი ამ გააზრებით, რადგან ის სინამდვილეს არ შეესატყვისება, ანდა პირიქით.“ Tagebuch 5.10.1914 Werkausgabe Band I, S. 97

³⁵ Humboldt W.v.: Ueber die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaus und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts, Berlin, 1880, S. 89.

ტიკულაციის ფუნქცია „გულისხმობს ბგერის იმგვარ გეშტალტიზაციას, რაც მას აქცევს აზრის მატარებლად“³⁶. ვითგენშტაინის დებულება, არტიკულირებული წინადადების თაობაზე, ნიშნავს რომ ის მნიშვნელობის მატარებელია, და, რომ ის დანაწევრებადია. წინადადება, ასეთი გააზრებით, წარმოგიდგება, როგორც საბაზო მნიშვნელობის – სახელის - „გეშტალტიზია“, რომელიც სახელს კონტექსტში მოაქცევს, რომელიც სახელს მნიშვნელობას ანიჭებს.

სახელის ფუნქციაა, რომ ის „გამოყენებულ“ იქნას. იზოლირებული სახელი არაფერს ამბობს.³⁷ (*მხოლოდ ფაქტებს შეუძლია საზრისის გამოხატვა, სახელთა კლასის ეს არ შეუძლია. 3.142*). სახელები არის ენის სუბსტანცია, ისინი ერთიანდება წინადადეგებში (*მხოლოდ წინადადებას აქვს საზრისი. მხოლოდ წინადადების კონტექსტში ეძლევა სახელს მნიშვნელობა. 3.3*)

ვითგენშტაინის შემომოყვანილ დღიურში ვკითხულობთ, რომ „ჩვენი წინადადებების მნიშვნელობა არ არის უსასრულოდ რთული“, რაც ანალიზის პროცესის დასრულებას გულისხმობს, ანუ საბოლოოდ ელემენტარული ნაწილების არსებობას. ტრაქტატში იგივე აზრი რამდენჯერმე მეორდება. ეს ელემენტები, როგორც უკვე დავინახეთ, სახელებია.

სახელბსა და ობიექტებს შორის *ფორმალური* მსგავსება ისაა, რომ ისინი მუდამ გარკვეულ „კონფიგურაციაში“ გვეძლევა. ასეთ დროს, სახელები ობიექტებს აღნიშნავს. ვითგენშტაინი წერს, რომ ხატი უნდა შეიცავდეს „ელემენტებს“, რომლებიც ობიექტებს „შეესატყვისება“, რომლებიც ხატში ობიექტებს „ჩაენაცვლებს“ (2.13.; 2.131). მნიშვნელოვანია ის, რომ „ხატს ქმნის ის, რომ მისი ელემენტები გარკვეული ხერხით ურთიერთქმედებს.“(2.14) შესაბამისად, შესაძლებელია იმავე ელემენტებით სხვა, განსხვავებული კონფიგურაციის, სხვა ხატის შექმნა. სწორედ ეს კონფიგურაცია განაპირობებს ხატისა და სინამდვილეს მსგავსებას. „პროპოზიციულ

³⁶ რამიშვილი, გ. ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბილისი 1978; გვ. 60

³⁷ პრიმიტიული სახელების დროსაც კი, საქმე გვაქვს წინადადებასთან. გამონათქვამი „სოკრატე“ აღნიშნავს რა კონკრეტულ პიროვნებას, ამბობს „ეს არის სოკრატე“, ანუ ერთსიტყვიან გამონათქვამშიც კი, რომელიც კონკრეტულ ინდივიდს აღნიშნავს, ყოველთვის მოიქმნება ფუნქციური რელაცია, რაც ამ სახელს წინადადებად აქცევს.

ნიშანში მარტივი ნიშნების კონფიგურაცია შესაბამემა სიტუაციაში ობიექტთა კონფიგურაციას.“ (3.21). ობიექტებისა და სახელების ურთიერთკავშირს მკაფიოდ გამოხატავს დებულება 4.0312 – წინადადების შესაძლებლობა ეფუძნება ობიექტების ნიშნებით ჩანაცვლების პრინციპს.

სახელების უნარია დაუკავშირდეს ერთმანეთს, მათი კავშირი თუკი მსგავსია სინამდვილეში მოცემული ობიექტთა კონფიგურაციისა, მაშინ გვაქვს სამყაროს ადეკვატური ხატი.

სახელების ურთიერთდაკავშირება ქმნის წინადადების „შემადგენელ ნაწილებს“, ანუ იმ ნაწილებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია წინადადების გაგება. რა არის ეს შემადგენელი ნაწილები ?

ვიტგენშტაინის თეზისი, რომ წინადადების „საათი დეეს მაგიდაზე“ გასაგებად დამატებითად ისეთი რამის გააზრება გვესაჭიროება, რაც „არ თქმულა“, განმარტებას საჭიროებს. მართლაც, ნებისმიერი წინადადების გასაგებად, ჩვენ მეტი ინფორმაცია გვესაჭიროება, ვიდრე ეს უშუალოდ გამონათქვამშია მოცემული. პრაქტიკულად ნებისმიერი გამონათქვამის მართებულად გეგება, კონტექსტის ცოდნას საჭიროებს. კონტექსტი არის გამონათქვამის სირთულე, რომელიც მის მნიშვნელობას განსაზღვრავს. ამ კონტექსტის გამოხატვა, ხშირ შემთვევაში, შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია, მთელი იმ ცოდნის გამოხატვა, რაც წინადადების „საათი დეეს მაგიდაზე“ გასაგებად არის საჭირო. თუკი გავითვალისწინებთ, რომ სახელების კონსტიტუციური თვისებაა გაერთიანდეს „კონფიგურაციაში“, ხოლო დასრულებული წინადადების გასაგებად ბევრი რამის „დამატებაა“ საჭირო, ანუ აუცილებელია მისი „დანაწევრება“, მაშინ ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სახელსა და წინადადებს შორის არის ინსტანცია, რომელშიც, ერთი მხრივ, სახელები ერთიანდება, და რომელშიც, მეორე მხრივ, მოიცემა წინადადების შემადგენელი მნაწილების აზრი.

ასეთ ინსტანციას ვიტგენშტაინი ელემენტარულ წინადადებას უწოდებს. ელემენტარული წინადადების არსებობა ენის ფორმალური აღწერის ლოგიკურად აუცილებელ შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, მკაფიო ხდება ენისა და სამყაროს იზ-

ომორფულობა, სამყაროს სტრუქტურულ ელემენტებს ენის შესაბამისი საფეხურები შეესატყვისება: ობიექტებს – სახელები, გარემოებებს – ელემენტარული წინადადებები; ფაქტებს – (კომპლექსური) წინადადებები და ბოლოს, სამყაროს – ენა.

ელემენტარული წინადადება

1930 წლის 2 იანვარს შლიტან საუბრისას ვითგენშტაინი ამბობს: „მინდა განვმარტო ელემენტარული წინადადებების ჩემეული ხედვა და გითხრათ თუ რა პოზიციას გამოვხატავდი ადრე და თუ რა მგონია სწორი ახლა.“

ადრე ელემენტარულ წინადადებაზე ორი წარმოდგენა მქონდა, რომელთაგანაც ერთი დღესაც სწორი მეჩვენება, ხოლო მეორე სრულებით მცდარი. პირველი იყო ის, რომ წინადადების ლოგიკურ ანალიზს, საბოლოო ჯამში, ისეთ წინადადებებამდე მივყვართ, რომლებიც უშუალოდ აკავშირებს ობიექტებს, თანაც ლოგიკური კონსტანტების გარეშე, რადგან „არა“, „და“, „ან“, და „თუ“ ობიექტებს არ აკავშირებს. ამისი დღესაც მტკიცედ მჯერა. მეორე იყო წარმოდგენა, რომ ელემენტარული წინადადებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო.“³⁸

ცალკე აღებული სიტყვები არაფერს ამბობს, ასე ვთქვათ, სიტყვა თავისთავად არ არსებობს, ის მუდამ „კონფიგურაციაშია“ მოცემული. ეს კონფიგურაციები სიტყვებს (ობიექტებს) აკავშირებს. ეს კავშირი ელემენტარული ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც ის სიტყვის თვისებიდან გამომდინარეობს. ამ კონფიგურაციებს ვუნოდეთ ელემენტარული წინადადებები. ისინი უზრუნველყოფს „ნამდვილი“ ანუ კომპლექსური წინადადებების გაგებას.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ელემენტარული წინადადებები ენის სტრუქტურის ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენს. ტრაქტატში არ ჩანს თუ რა სახისაა ეს წინადა-

³⁸ Wittgenstein und der Wiener Kreis; Werkausgabe Band III, S. 73-74

დედები, მეტიც, იმავე შლიკთან 1929 წლის 22 დეკემბერს საუბრისას, ვითგენშტაინი ამბობს „ახლა მგონია: ელემენტარული წინადადეგების მთელი სფეროსთვის მართებულია პრინციპი, რომელიც ამბობს: ელემენტარული წინადადეგების ფორმის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. უბრალოდ სასაცილოა, თუკი ვინმეს ჰგონია, რომ ამ შემთხვევაში გამოსავალი საძებნია სალაპარაკო ენის ჩვეულ ფორმებში, სუბიექტ-პრედიკატში, დუალურ მიმართებაში და ასე შემდეგ. [...] ელემენტარული წინადადეგების ლოგიკურ აგებულებას წინადადეგების ლოგიკურ აგებულებასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს.“³⁹

ელემენტარული წინადადეგების ფორმა უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ელემენტარული წინადადეგები ერთიანდება სახელები. თუკი მათი „კონფიგურაცია“ სამყაროში მოცემული ობიექტების „კონფიგურაციის“ იდენტურია, მაშინ საქმე გვაქვს ჭეშმარიტ ელემენტარულ წინადადეგებთან. ჭეშმარიტი ელემენტარული წინადადება გამოხატავს სამყაროში შესაძლებელ რეალობას, ანუ საზრისის მქონე წინადადებას. საზრისის მქონე ელემენტარული წინადადეგები საფუძვლად უდევს ისეთ კომპლექსურ წინადადეგებს, რომლებიც ქმნის ხატს. ანუ ხატის არსებობა, თავის თავად, არ არის იმის გარანტია, რომ ის სინამდვილეს ჭეშმარიტად გამოხატავს. მაგრამ ხატის არსებობა არის იმის გარანტია, რომ ის ან ჭეშმარიტია ან მცდარი. (არ არსებობს *a priori* ჭეშმარიტი ხატი. 2.225). მაგრამ შესაძლებელია ხატის მცდარობა/ჭეშმარიტობის გადამოწმება. ამისათვის ის სინამდვილეს უნდა შევადაროთ. ცალკე აღებულ ხატზე ვერ ვიტყვი, ის აუცილებლად ჭეშმარიტია თუ აუცილებლად მცდარი (*მხოლოდ ხატის საფუძველზე, ვერ განესჯით, ჭეშმარიტია ის თუ მცდარი.* 2.224)

ხატის – თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი – ჭეშმარიტობა დგინდება სინამდვილესთან შედარებით.

ხატის – საგარეჯო არის საქართველოს დედაქალაქი – მცდარობა ასევე სინამდვილესთან შედარებით დგინდება.

³⁹ Wittgenstein und der Wiener Kreis; Werkausgabe Band III, S. 42

შესაძლებელია ისეთი გამონათქვამის⁴⁰ დასახელება, რომლებიც საზრისს მოკლებულია. გამონათქვამი „სოკრატე იდენტურია“ არ არის ხატი, და მისი გადამოწმება შეუძლებელია, რადგან ის საზრისს მოკლებულია. ეს გამონათქვამი იმიტომ არის საზრისს-მოკლებული რომ მის საფუძვლად მყოფი ელემენტარული წინადადებები მცდარია. (სახელების ასეთი კონფიგურაცია, ანუ ელემენტარულ წინადადებებში სახელების ასე გაერთიანება შესაძლებელია – რამდენადაც ეს კონკრეტული გამონათქვამი ფიზიკურად მოცემულია, მაგრამ ის საზრისს მოკლებულია, რადგან შეუძლებელია მიღებული წინადადებების მცდარობა/ჭეშმარიტების გადამოწმება).

ენის სტრუქტურის⁴¹ ასეთი გააზრება მკაფიოდ გამოხატავს, თუ რატომ არის შესაძლებელი ისეთი გრამატიკულად გამართული წინადადებების წარმოება, როგორცაა, მაგალითად, ჩომსკის ხშირად ციტირებული „მწვანე უფერო იდეებს სძინავთ განრისხებულებს“, რომელშიც ყოველი მომდევნო სიტყვა წინას გამორიცხავს და რომელიც, შესაბამისად, საზრისს მოკლებულია.

ვითგენშტაინის აზრით, საზრისის შემცველია თუ არა ელემენტარული წინადადება, დამოკიდებულია ენის „სინტაქსზე“. სინტაქსი, ამ შემთხვევაში, არ უნდა იქნას, გაგებული როგორც სიტყვების ურთიერთდაკავშირების წესი. სინტაქსი არის ის, რაც შესაძლებელს ხდის ელემენტარულ წინადადებებში მოცემული აზრის გაგებას. „მაშინ ვიტყვით: და რა არის წრე? თუ შენ სიტყვა „წრე“ იმავე მნიშვნელობით იცი, როგორც მე, მაშინ სინტაქსის წესები გვიკრძალავს წრის კოორდინატიები (რადიუსი) ორჯერ განვსაზღვროთ. სინტაქსის წესები უბრალოდ წრის განსაზღვრებას ეყრდნობა, ხოლო ეს განსაზღვრება გეკარნახობს, თუ წრის შესახებ რომელ

⁴⁰ ვითგენშტაინი ასეთი გამონათქვამებს წინადადებას არც უწოდებს.

⁴¹ ენის იერარქიულ სტრუქტურად წარმოჩენა საფუძვლად უდევს ჩომსკის ენის გენერატორულ თეორიას. წინადადებების სიღრმისიული სტრუქტურა ბევრ ასპექტში მსგავსია ვითგენშტაინის ელემენტარული წინადადებებისა. ჩომსკის თეორიის მიხედვით, პირველადია სინტაქსი ანუ ფორმა, ხოლო მისი შინაარსი, ანუ სემანტიკური პლანი, მეორეა. წინადადებების სიღრმისიული სტრუქტურა გარკვეული წესების, ტრანსფორმაციის წესების, შედეგად იღებს ზედაპირულ სახეს, ანუ გამოთქმული ან დანერგილი წინადადების ფორმას, ვითგენშტაინთანაც ელემენტარული წინადადებები გარკვეული ლოგიკური კანონების შედეგად იღებს კომპლექსური წინადადების ფორმას. საგულისხმოა, რომ ჩომსკი თეორიას სინტაქსის თეორიასაც უწოდებენ. ვითგენშტაინი თვლიდა, რომ სინტაქსი ანუ ენის გრამატიკა, ბევრად მეტს ამბობს ფილოსოფიაზე, ვიდრე ანალიზის სხვა ნებისმიერი მეთოდი.

გამონათქვამებს აქვთ აზრი. თუ მე წინადადების აზრი მესმის, მაშინ მასში მოცემული გამონათქვამების სინტაქსიც უნდა მესმოედეს. გრამატიკაში არაფრის აღმოჩენაა შესაძლებელი, მხოლოდ გამოხატვა.⁴²

წრის სინტაქსის ცოდნა გვეკარნახობს, რომ რადიუსის განსაზღვრა მხოლოდ ერთხელ არის საკმარისი, ყოველი შემდეგი ცდა საზრისს მოკლებულია, რადგან ის პირველის გამეორება იქნება. თუ ასეთ ცოდნას ელემენტარულ წინადადებებს მოვარგევთ, აღმოჩნდება რომ გვექნება ინსტრუმენტი, რომელიც გვეკარნახობს თუ რომელი წინადადებაა საზრისის შემცველი. ამ ინსტრუმენტს ვითგენშტაინი სინტაქს უწოდებს.

სინტაქსი ვითგენშტაინის გააზრებული აქვს, როგორც *წესები*, რომლებიც შესიტყვებას მნიშვნელობას ანიჭებს. სინტაქსი გამოირიცხავს საზრისმოკლებული წინადადებების შექმნას. „წინადადება A ნერტილი მდებარეობს B ნერტილის ჩრდილოეთით, და B ნერტილი მდებარეობს A ნერტილის ჩრდილოეთით“ ააფერს გამოხატავს, რადგან მას არა აქვს ფაქტის ფორმა, რომელსაც ის უნდა გამოხატავდეს⁴³. ის ცოდნა, რომელიც გვეკარნახობს რომ ერთი და იგივე ნერტილი ვერ იქნება ორ ადგილას არის სინტაქსი. ვინაიდან შესიტყვებების რაოდენობა მგზობა გარემოებების რაოდენობაზე (ანუ შესაძლო ფაქტებზე) გვესაჭიროება ინსტრუმენტი, რომლის დახმარებით განვასხვავებთ:

თუ რომელი შესიტყვება (წინადადება) აღწერს ფაქტს (ანუ შესაძლებელ გარემობას) და შესაბამისად, ვადგენთ რომ ეს შესიტყვება საზრისის შემცველია;

და

თუ რომელი შესიტყვება (წინადადება) აღწერს შეუძლებელ გარემობას (A და B ნერტილების მაგალითი) და შესაბამისად, ვადგენთ რომ ეს შესიტყვება საზრისს მოკლებულია.

⁴² Wittgenstein und der Wiener Kreis; Werkausgabe Band III, S. 78

⁴³ Wittgenstein und der Wiener Kreis; Werkausgabe Band III, S. 239

სწორედ ასეთი ინსტრუმენტი სინტაქსი. სინტაქსის დახმარებით შესიტყვებებიდან გამოვყოფთ ელემენტარულ წინადადებებს. ელემენტარული წინადადებების საფუძველზე გამოითქმება (კომპლექსური) წინადადებები.

კომპლექსური წინადადებები და ჭეშმარიტების თეორია

წინადადებების ერთობლიობა არის ენა. 4.001.

ვიტგენშტაინისთვის „აზრი არის საზრისის შემცველი წინადადება.“ (4.). წინადადება არის სინამდვილის მოდელი, იმ სინამდვილისა რომელიც არსებობს, მაგრამ ასევე იმ სინამდვილისა, რომლის ოდენ წარმოდგენა შეგვიძლია, ანუ მხოლოდ შესაძლებელისაც. მეტიც, ჩვენ არ ვიცით სინამდვილის ისეთი მოდელი (შდრ. 4.01), რომლის წარმოდგენაც არ შეგვიძლია. თუკი ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოდელი ემთხვევა სინამდვილეს, მაშინ მოცემულია ჭეშმარიტი წინადადება, და პირუკუ, თუკი ჩვენ მიერ წარმოდგენილი სინამდვილე არ ემთხვევა რეალობას, მაშინ მოცემულია მცდარი წინადადება. შესაბამისად წინადადება არის საზრისის შემცველი გარემოების ასახვა ენაში. („წინადადება არის გარემოების აღწერილობა“ 4.023.) როგორც გვახსოვს, საზრისის შემცველი გარემოება საფუძვლად უდევს „დადებით“ ფაქტს, თუკი ის მოცემულია და „უარყოფით“ ფაქტს, თუკი ის მხოლოდ შესაძლებელია. შესაბამისად, წინადადებაც, რომელიც ასეთ გარემოებებს აღწერს, შეიძლება მართებულად ასახავდეს სინამდვილეს, და შეიძლება მცდარად ასახავდეს მას. დავარქვათ იმ წინადადებას რომელიც რეალობას მართებულად ასახვს „პოზიტიური“ ან „დადებითი“ წინადადება, ხოლო იმ წინადადებას, რომელიც აღწერს შესაძლო, მაგრამ მცდარ სინამდვილეს - „ნეგატიური“ წინადადება.

ემთხვევა თუ არა წინადადების აღწერილობა სინამდვილეს, დამოკიდებულია მასში შემავალი ელემენტარული წინადადებების ჭეშმარიტობაზე. მეექვსე და მომდევნო დებულებებში ვკითხულობთ: „ჭეშმარიტობის ფუნქციის ზოგადი ფორმაა:

$[\bar{p} (\bar{X}) N (\bar{X})]$ ეს არის წინადადების ზოგადი ფორმა. (6) და „ეს სხვა არაფერს ამოძობს, გარდა იმისა, რომ ყოველი წინადადება ელემენტარულ წინადადებებზე ოპერაცია $N (\bar{X})$ სუქცესიული გამოყენების შედეგია.“ (6.001.) ანუ წინადადების, როგორც საზრისის შემცველი სიდიდის, ქვეშარიტება წარმოდგენილია მასში შემავალი ელემენტარული წინადადებების ქვეშარიტობით. დადებითა წინადადება თუკი მასში წარმოდგენილი ელემენტარული წინადადებები აღწერს არსებულ რეალობას და შესაბამისად წინადადება წარმოგვიდგება სინმადვილის ხატად. ასეთ შემთხვევაში წინადადება წარმოადგენს მასში შემავალი ელემენტარული წინადადებების ქვეშარიტობის ფუნქციას. მეორე მხრივ, თუკი ვერ დგინდება ელემენტარული წინადადებების ქვეშარიტობა, მაშინ საქმე გვაქვს „ნეგატიურ“ წინადადებასთან.

წინადადების ზოგადი ფორმა გვეხმარება სხვა წინადადებების აგებაში. „თუკი მოცემულია იმის ზოგადი ფორმა, თუ როგორ უნდა აიგოს წინადადება, მაშინ მასთან ერთად მოცემულია იმის ზოგადი ფორმაც, თუ როგორ შეიძლება ოპერაციის საშუალებით ერთი წინადადებიდან აიგოს მეორე“. (6.002) ეს დებულება ეხშიანება ჩომსკის გენერატორული გრამატიკის თეორიას, რომლის თანახმად, თუკი მოცემულია წინადადების სიღრმისული ფორმა, მაშინ გარკვეული – ზაგადი – ოპერაციების დახმარებით, შესაძლებელია სხვადასხვა ზედაპირული სტრუქტურის წინადადების წარმოება ანუ გენერირება. ჩომსკისათვის წინადადებები „კატამ დაიჭირა თავი“ და „თავი დაჭერილ იქნა კატის მიერ“ ორი განსხვავებული ზედაპირული სტრუქტურის შემცველი წინადადებებაა, რომლებსაც საერთო სიღრმისეული სტრუქტურა აქვს. ვფიქრობ, მსგავსი სახის ოპერაციებს გულისხმობს ასევე ვითგენშტაინი, რომელიც ერთი წინადადებიდან მეორის გამოყვანაზე მსჯელობს.

განვიხილოთ ოთხი ასეთი წინადადება:

- (ა) საათი დევს მაგიდაზე
- (ბ) დევს საათი მაგიდაზე?
- (გ) დადუ საათი მაგიდაზე!
- (დ) ნეტავ მაგიდაზე საათი იდოს!

ოთხივე წინადადება წარმოადგენს საზრისის შემცველ წინადადებას. პირველში მოცემულია ფაქტი, რომელიც ან ქვშმარიტია ან მცდარი, იმისდა მიხედვით მართლაც დევს თუ არა საათი მაგიდაზე. მეორე შემთხვევაში გვაქვს შეკითხვა, რომლის ქვშმარიტება/მცდარობის გადამოწმება გართულებულია, რადგან ის თავად ცდილობს ქვშმარიტების დადგენას, მესამე შემთხვევაში გვაქვს ბრძანება, რომელიც, დიდი ალბათობით, გულისხმობს რომ საათი არ დევს მაგიდაზე, და სწორედ იმ სუბიექტის ქმედებზეა დამოკიდებული, დაიდება თუ არა საათი მაგიდაზე, ვიხეც არის მიმართული ეს ბრძანება. დაბოლოს, გამოხატულია ნატვრა, რომ საათი იდოს მაგიდაზე, რომელზეც ის საეარაუდოდ არ დევს. წინადადება (დ) განსხვავდება წინადადება (გ)-სგან იმით, რომ საათის მაგიდაზე დადების შესაძლებლობა დამოკიდებულია უცნობ გარემოებაზე.

თუკი დავაკვირდებით ოთხივე წინადადებას შევამჩნევთ, რომ მათი აღწერითი შინაარსი იდენტურია – საათი დევს/არ დევს მაგიდაზე - წინადადება (ა) ვარაუდობს, რომ საათი დევს მაგიდაზე, წინადადებები (გ) და (დ) რომ – არ დევს, ხოლო წინადადება (ბ) – ორივეს. რაც ამ ოთხივე წინადადებას განასხვავებს, ეს არის მათი მოდალობა. მოდალობა ძირითადად გამოიხატება ან განსხვავებული კილოს (თხრობითი, ბრძანებითი ან კავშირებითი კილოს ფორმები) ან მოდალური ზმნებისა და მოდალური სიტყვების საშუალებით. წინადადება არის სინამდვილის ხატი, მაგრამ ხატისათვის უცნობა ასეთი მოდალურობა. ასეთი მოდალურობა უცნობა ასევე ვითგენშტაინის წინადადების აღწერილობისთვისაც. მართლაც, მოდალობა თითოეულ წინადადებაში განსხვავებულია⁴⁴, განსხვავებული მათი ქვშმარიტობა/მცდარობის გადამოწმების საშუალებაც, თუმცა მათ უდავოდ ბევრი რამ აქვს საერთო. ყოფითი გააზრებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს წინადადებები ერთმანეთისგან არის წინარმოები. მაგრამ რომელი მათგანია ის პირველი წინადადე-

⁴⁴ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თითოეულ წინადადებას განსხვავებული ქვშმარიტობის ფუნქცია აქვს, წინადადება (ა) – სინამდვილესთან თანხედრა, წინადადება (ბ) სინამდვილეს გადამოწმების შესაძლებლობა, წინადადება (გ) – სუბიექტის შესაძლებლობების შემოწმება, წინადადება (დ) – ნატვრის ასრულების გადამოწმება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ოთხ (ან მეტ) განსხვავებულ ელემენტარულ წინადადებებთან მოგვიწევს კონფორმირება, რაც ეწინააღმდეგება იმ ვარაუდს, რომ ოთხივე წინადადებას საერთო აქვს აღწერილობითი შინაარსი.

ბა, რომელზეც ლაპარაკობს ვითგენშტაინი? ეს არ შეიძლება იყოს თხრობითი წინადადება, რადგან, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ვითგენშტაინი, კიტხვითი წინადადებაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, თხრობითი წინადადების შემცველად, თუკი მას მარტივად დასტურის ნიშანს დავამატებთ. „წვიმს? დიახ“ ანუ „წვიმს“⁴⁵.

იქვე, „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“ ვითგენშტაინი 22-ე პარაგრაფის შენიშვნებში წერდა „წარმოვიდგინოთ ასეთი ხატი, რომელიც გამოხატავს მოკრივეს გარკვეულ საბრძოლო პოზიციაში. ეს ხატი იმისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული, რომ ვინმეს ვამცნოთ თუ როგორ უნდა იდგეს, რა პოზა უნდა ჰქონდეს მოკრივეს, ან როგორი პოზა არ უნდა ჰქონდეს მას, ან რომ კონკრეტული ადამიანი იქა და აქ იდგა და ა.შ. და ა.შ. ამ ხატს (ქიმიური ტერმინებით რომ ვთქვათ) შეიძლება წინადადების რადიკალი ვუნწოდოთ.“

თუკი ასეა, მაშინ ტრაქტატში სწორედ ასეთ წინადადების რადიკალთან გვაქვს საქმე. ქიმიიდან ვიცით, რომ ორგანულ ნაერთებში ზოგი ნაერთი დამოუკიდებლად ბუნებაში არ არსებობს, და მხოლოდ სხვა კომპონენტებთან კავშირში გვხვება. ასეთია ალკოჰოლის სხვადასხვა სახის ნაერთი: ერთ-ერთი მათგანია $C_2H_5(OH)$, მისი კომპონენტები C_2H_5 და OH იზოლირებულად არ გვხვდება. მაგრამ OH -ს აქვს უნარი დაუკავშირდეს ეთილის ჯგუფის სხვადასხვა ტიპებს. ასევე არის ვითგენშტაინის წინადადებებიც. ვითგენშტაინის წინადადებები მიღებულია წინადადების რადიკალიდან, რომელსაც აღწერილობითი შინაარსი აქვს, მაგრამ არა აქვს მოდალობის პლანი⁴⁶. ანუ წინადადების რადიკალიდან შესაძლებელია მსგავსი აღწერილობითი შინაარსის მქონე სხვადასხვა წინადადების მიღება, რომლებიც ერთმანეთისგან მოდალობით განსხვავდება. ასეთი გააზრებით მსგავსება ვითგენშტაინის ენის მოდელისა და ზომსკის თეორიას დიდ მსგავსებას ავლენს. განმარტებული ხდება კითხვითი, ბრძანებითი და ა.შ. წინადადებებს შორის არსებული მსგავსებები და სხვაობები.

⁴⁵ შდრ. Philosophische Untersuchungen, Werkausgabe Band I, §22; S. 248-249

⁴⁶ შდრ. Stenius, E. Wittgensteins Traktat, aus d. Englischen von Wilhelm Bader, Frankfurt/Main, 1969, S.209

ამრიგად, სწორედ რადიკალი, რომელიც წარმოადგენს ელემენტარული წინადადებების კავშირს, შესაძლებელს ხდის იდენტური აღწერილობითი შინაარსის, მაგრამ განსხვავებული მოდალობის წინადადების წარმოებას.

ენა და სამყარო, მათი საზღვრები

„ის ტრივიალური ფაქტი, რომ სრულყოფილად გაანალიზებული წინადადება იმდენივე სახელს შეიცავს, რამდენსაც მისი მნიშვნელობა საგანს, არის მაგალითი იმისა, რომ ენა სამყაროს ყოვლისმომცველად წარმოაჩენს“⁴⁷

ტრაქტატის ერთ-ერთი ცენტრალური დებულება ამბობს „*შ ე მ ი ე ნ ის ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ნ ი შნ ავ ს ჩე მი სამყაროს საზღვრებს.*“ (5.6). ვითგენშტაინის მიხედვით, დადებითი წინადადება აღწერს სამყაროში მოცემულ ფაქტს. შესაბამისად, შესაძლებელია წინადადებების საშუალებით მთლიანი სამყაროს აღწერა, მაგრამ ენას შეუძლია აღწეროს არა მხოლოდ არსებული, არამედ ასევე შესაძლებელი, მაგრამ არმოცემული სამყაროც. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძლებელი სამყაროც დეტერმინებულია ენაში არსებული სიტყვების შინაგანი თვისებებით, არსებული „კონფიგურაციებით“. ეს შეზღუდვა ქმნის ენის საზღვარს, რომელსაც ჩვენ ვერ გავცდებით. „ვერ გავცდებით“ აღნიშნავს ლოგიკურ შეუძლებლობას, ჩვენ ჩვენსავე ენაში ვართ დატყვევებული. ჩვენ ვერ აღწერთ, ვერ დავასახელებთ და ვერ გავიაზრებთ იმას, რაც არ არის ენაში მოცემული.

თითოეული ინდივიდის სამყარო განსხვავებულია მეორე ინდივიდის სამყაროსგან, რადგან ყოველი ჩვენთაგანი განსხვავებულ „ენას“ მოიხმარს. ძნელია ამასთან დაკავშირებით არ გავისხნოთ უორფისა და სეპირის ლინგვისტური ფარდობითობის თეორია, რომლის თანახმად, ადამიანის შემცენება რელატიურია ცალკეული ენების სისტემების შესაძლებლობების გათვალისწინებით. „ადამიანები, რომლებიც ძალზე განსხვავებული გრამატიკების მქონე ენებს

⁴⁷ Tagebuch 12.10.1914 Werkausgabe Band I, S. 99

იყენებენ, ამ გრამატიკებს ტიპობრივად განსხვავებულ დაკვირვებამდე და გერეგულად მსგავს დაკვირვებათა განსხვავებულ შეფასებამდე მიჰყავთ. ამიტომ ისინი ერთმანეთის ეკვივალენტური დამკვირვებლები კი არ არიან, არამედ სამყაროს ერთგავრად განსხვავებულ ხედვას (different views of the world) იძენენ.⁴⁸ არა მხოლოდ სამყაროს აღქმაა უშუალოდ იმ ენაზე დამოკიდებული, რომელსაც მოვისმართ, არამედ ჩვენი აზროვნებაც, მისი საზღვარი. „რაც არ შეგვიძლია გავიფიქროთ, იმას ვერ გავიფიქრებთ, შესაბამისად ჩვენ ვერ ვ ი ტ ყ ვ ი თ იმას, რისი გაფიქრებაც არ შეგვიძლია“.(5.61)

ასეთ შემთხვევაში გაუგებარი გვეჩვენება ის გარემოება, თუ როგორ არის შესაძლებელი ახალი ფაქტების, ახალი ობიექტების აღწერა. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენის საზღვრები გამუდმებით ფარდოვდება, რადგან დროს ახალი ობიექტი (მაგ. კომპიუტერი) და შესაბამისად ახალი სახელები მოაქვს. მაგრამ საკითხის ასე დასმა ალბათ მართებული არაა. ცხადია, რომ სახელდების პროცესი სამყაროში ახალი ობიექტის თუ პროცესის აღწერის საშუალებას იძლევა. ასევე ცხადია, რომ სახელდების შესაძლებლობა იმთავითვე მოცემულია ენაში. (რადგან ენა ენერგიაა და არა ერგონი – როგორც იტყოდა ჰუმბოლდტი). სახელდება ლოგიკური შესაძლებლობაა, ყველა სახელი (ლატენტურად) მოცემულია ენაში. ასევე ცხადია, რომ მეორეხარისხოვანია ის საკითხი, რეალურად არსებობს ობიექტი თუ არა. რადგან ჩვენ ერთნაირი წარმატებით შეგვიძლია სახელების საშუალებით აღწეროთ როგორც არსებული, ასევე არარსებული, მოგონილი ობიექტებიც. მაგრამ ჩვენ ვერ აღწერთ იმას რასაც სახელი არა აქვს. ენაში და შესაბამისად სამყაროში (სულერთია, რეალურ თუ მხოლოდ შესაძლებელ) არაფერია სახელის გარეშე, შესაბამისად ენა ყოველი ცალკეული ინდივიდის შემთხვევაში სრულად აღწერს (თუმცა სხვებისგან განსხვავებულად) სამყაროს და მეტიც, ცალკეული ინდივიდი დროის განსხვავებულ მონაკვეთში განსხვავებულ სამყაროს ხედავს, რადგან მისი ენა და შესაბამისად სამყაროს იცვლება. მაგრამ არასოდეს და არავისთვის არ რშება სამყაროში ისეთი სივრცე, რომელიც ენის მიერ არ იყოს შევსებული. ენა სრულად ავსებს სამყაროს. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ვითგენშტაინისთვის, ალბათ,

⁴⁸ Worth, B.L. Language, thought and reality, New York/London, 1956, S.20

სწორედ ეს იგულისხმება დებულებაში, რომ ენას და სამყაროს საერთო საზღვრები აქვს.

თუკი ენა სრულად მოიცავს სამყაროს შიგნიდან, საკითხავია, არის კი რამე მის საზღვრებს გარეთ? ვითგენშტაინის დღიურებში ასეთ პასუხს ვაწყდებით: „იმას, რაც არ გამოიხატება, ჩვენ არ გამოვხატავთ. და უნდა ეკითხოთ, გამოიხატება კი ის, რაც არ გამოიხატება? არსებობს რამე სივრცე ფაქტების გარეთ?“⁴⁹ ტრაქტატი ამ შეკითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევა, სამყაროში ყველაფერი შემთხვევითია, რაც შემთხვევითი არაა ის სამყაროს მიღმა უნდა იყოს. ამიტომ „თუკი არსებობს ღირებულება, რომელსაც ღირებულება აქვს, მაშინ ის ყველაფრის მიღმა უნდა იყოს, რაც ხდება და რაც არის. რადგან ყველაფერი რაც ხდება და რაც არის შემთხვევითია“. (6.41) სამყაროს აზრის ძიება უაზრობაა, „სამყაროს აზრი მის გარეთ უნდა იყოს“ (6.41) და „ამიტომ არ შეიძლება რომ არსებობდეს ეთიკის წინადადებები“ (6.42). თუკი სამყაროში არ არის „ღირებულება“ (ეთიკა), მაშინ ის წინადადებები, რომლებიც აქამდე ეთიკის მიუწერებოდა არის „უაზრო“ წინადადებები, ფსევდონაწინადადებები. სანაწინააღმდეგო შემთხვევაში გვეჩვენოდა შემთხვევითი ეთიკა, რაც მისი არსიდან გამომდინარე შეუძლებელია. შესაბამისად, სამყაროში გვაქვს მხოლოდ საბუნებისმეტყველო წინადადებები. „საბუნებისმეტყველო“ წინადადებები აქ ფართო მნიშვნელობით არის გასაგები, ანუ ისეთი წინადადებები, რომლებიც მოცემულ (შემთხვევით) სამყაროს აღწერს, ანუ მოცემულია მხოლოდ აღწერითი წინადადებები, და რომელთა მცირე ნაწილია ჭეშმარიტი. ამ წინადადებების გამოთქმა იოლად არის შესაძლებელი. „ყველაფერი ის, რაც მოაზრებულ შეიძლება იქნას, შეიძლება მკაფიოდ იქნას მოაზრებული. ყველაფერი ის, რაც შეიძლება გამოითქვას, შეიძლება მკაფიოდ გამოითქვას.“ (4.116) მაგრამ გარკვეული რამ ენაში ვერ გამოითქმება, ვითგენშტაინი მას „მისტიკურს“ უწოდებს. „ცხადია, არსებობს გამოუთქმელი. ის ა ვ ლ ე ე ნ ს თ ა ვ ს, ის მისტიკურია“. (6.522) როგორია ეს მისტიკური, ჩვენ არ ვიცით.

მისტიკურის არსს ჩვენ შეკითხვასაც ვერ დავუსვამთ „რადგან ეჭვი მხოლოდ იქ შეიძლება არსებობდეს, ს ა დ ა ც შეკითხვა არსებობს, მ ხ ო ლ ო დ შეკითხვა არსებობს იქ, სადაც არსებობს პასუხი, და პასუხი არსებობს მ ხ ო ლ ო დ იქ.

⁴⁹ Tagebuch 27.5.1915 Werkausgabe Band I, S. 144

სადაც რაიმე შეიძლება ითქვას.“ (6.51) ეს მისტიკური არ არის ფაქტი, რადგან სამყაროა ფაქტებით განსაზღვრული. მისტიკური არის ის, რაც ფაქტი არ არის, თორემ შესაძლებელი იქნებოდა მისთვის შეკითხვის დასმა და შემდეგ მისი აღწერა. „თუკი საერთოდ შესაძლებელია შეკითხვის დასმა, შესაძლებელია მასზე პასუხის გაცემაც“ (6.5)

მისტიკური არ არის დამოკიდებული ჩვენს გამოცდილებაზე ან იმაზე თუ როგორია სამყარო. ის აბსოლუტურია. „მისტიკურია არა ის, თუ როგორია სამყარო, არამედ, ის რომ სამყარო არის.“ (6.44) მისტიკური წინ უსწრებს სამყაროს, ის მის ზემოთ არის, მაგრამ არც მასში და არც მის გვერდით. „წინადადებებს არ შეუძლია უფრო მაღალის გადმოცემა. ცხადია, რომ შეუძლებელია ეთიკის გამოთქმა. ეთიკა ტრანსცენდენტულია“ (6.421). ამრიგად, მისტიკურია ეთიკა.

ეთიკა ტრანსცენდენტულია ნიშნავს, რომ ის სიტყვებით (წინადადებებით) ვერ გამოითქმება. ის აკლენს თავს, იმდენად, რამდენადაც არსებობს სამყარო. „ეთიკა სამყაროს არ შეეხება. ეთიკა უნდა იყოს სამყაროს პირობა, როგორც ლოგიკა⁵⁰“. აქედან გამომდინარეობს, რომ ეთიკა არ არის შემდეგნების ობიექტი, ის არ არის მოძღვრება, რომელიც ფაქტებით შეიძლება წარმოვადგინოთ. შედეგად, ეთიკის განსჯა ან სწავლება შეუძლებელია. და შესაბამისად ყოველი წიგნი რომელიც ეთიკაზე იწერება უაზროა, რადგან ვერ დაინერება ეთიკის სახელმძღვანელო, არც ტრაქტატია ასეთი სახელმძღვანელო.

ტრაქტატის მიზანი გადაჭრას ფილოსოფიის პრობლემები, იმდენად არის მიღწეული, რამდენადაც „ფილოსოფიის მართებული მეთოდი იქნებოდა: არაფრის თქმა, გარდა იმისა, რისი თქმაც შეიძლება, შესაბამისად, გარდა საბუნებისმეტყველო წინადადებებისა – ანუ იმისი, რასაც ფილოსოფიასთან არაფერი აქვს საერთო – და შემდეგ მუდამ, როდესაც ვინმე რაიმე მეტაფიზიკურის თქმას დააპირებს, მიუთითო მას, რომ მან თავის წინადადებებში რამდენიმე ნიშანს მნიშვნელობა არ მიანიჭა. ეს მეთოდი არ დააკმაყოფილებდა მეორე პიროვნებას – მას არ გაუჩნდებოდა განცდა, რომ ჩვენ მას ფილოსოფიას

⁵⁰ Tagebuch 24.7.1916 Werkausgabe Band I, S. 172

ვასნაველით – მაგრამ ეს იქნებოდა ერთადერთი მკაცრად დაცული სწორი მეთოდი.“ (6.53). ფილოსოფიაზე მსჯელობა უაზრობაა, რადგან მისი ობიექტები, ეთიკა და ლოგიკა ენისა და სამყაროს საზღვრებს მიღმაა, ამიტომ „რა ზედ არ შეიძლება ლაპარაკი, იმაზე დუმილი გვმართებს“.

... (6.53) ფილოსოფიაზე მსჯელობა უაზრობაა, რადგან მისი ობიექტები, ეთიკა და ლოგიკა ენისა და სამყაროს საზღვრებს მიღმაა, ამიტომ „რა ზედ არ შეიძლება ლაპარაკი, იმაზე დუმილი გვმართებს“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	4
Introduction By Bertrand Russell.....	6
შესავალი. ბერტრან რასელი.....	7
Tractatus Logico-Philosophicus.....	38
ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი.....	39
ლუდვიგ ვითგენშტაინის ცხოვრება.....	296
ვითგენშტაინის Tractatus Logico-Philosophicus მოკლე კომენტარი.....	314
სამყაროს მოდელი.....	316
ობიექტი.....	318
გარემოება და ფაქტი.....	321
ენის თეორია.....	325
გამოხატვის თეორია.....	328
სახელები.....	329
ელემენტარული წინადადება.....	334
კომპლექსური წინადადებები და ჭეშმარიტების თეორია.....	338
ენა და სამყარო, მათი საზღვრები.....	342



„ამ წიგნში გამოთქმულ აზრებს, ალბათ, მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თავადაც დაფიქრებულა ასეთ ან მსგავს საკითხებზე. შესაბამისად, ეს წიგნი არ არის სახელმძღვანელო. მისი მიზანი მიღწეული იქნება, თუკი ერთი მკითხველი მაინც, რომელიც გაგებით მოეკიდება ამ წიგნს, კითხვისას სიამოვნებას მიიღებს.

წიგნი განიხილავს ფილოსოფიურ პრობლემებს და აჩვენებს – როგორც მგონია – რომ ეს პრობლემები ჩვენი ენის ლოგიკის მცდარ გააზრებას ეფუძნება. წიგნის მთელი არსი, დაახლოებით ასე შეიძლება გამოიხატოს: ის, რაც საერთოდ შეიძლება ითქვას, შეიძლება მკაფიოდ ითქვას, ხოლო იმაზე, რაზეც შეუძლებელია ლაპარაკი, დუმილი გემართებს.“

ISBN 978-9941-427-18-3



9 789941 427183